დიდი გაქრისტიანება პანკისში A2

"თქვენი აფხაზეთი" A8

ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 18 აგვისტო, 2004 წელი. №195 (744)

ფასი 50 თეთრი

# ცნობენ თუ არა ფანტომები შეთანხმებას?



*რამდენად მყარია ის შეთანხმებები, რომელსაც გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში მიაღწიეს? - ამ კითხვას პასუხს უახლოესი დღეები გასცემს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ცეცხლის რეალური შეწყვეტა, ცხინვალის რეგიონის სრული დემილიტარიზაცია და გზებზე შეუფერხებელი მოძრაობის აღდგენა - ეს ის სამი საკითხია, რომელთა შეთანხმებაც გუშინ შერეული საკონტროლო კომისიის წარმომადგენლებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრაზე მოხერხდა. რამდენად გრძელვადიანი აღმოჩნდება დღისით მიღწეული შეთანხმება, ამას, ალბათ, უახლოესი ღამეც ცხადყოფს.*

სოფო ბუკია

საქართველოს ხელისუფლება მზად არის, დაიწყოს მოლაპარაკებები ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. **"ტერიტორიაზე, სადაც ვერ გაიგებ, ვის და რატომ უჭირავს იარაღი, სადაც არ არის განსაზღვრული ძირითადი საკითხები... ტერიტორია გაურკვეველი სტატუსითა და უამრავი კითხვის ნიშნით, მუდმივად იქნება დაძაბულობისა და კონფლიქტების კერა,"** - აღნიშნა ზურაბ ჟვანიამ გუშინ კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე.

პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენციას წინ უძღოდა შერეული საკონტროლო კომისიის წარმომადგენლების შეხვედრა ზურაბ ჟვანიასთან, რომელიც ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელი თეიმურაზ კუსოევი, სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი, ცხინვალის ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ლევ მირონოვი. ქართულ მხრეს სხდომაზე სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა წარმოადგენდა.

როგორც შეხვედრის დასასრულს ბორის ჩოჩიევმა აღნიშნა, მიღწეულია შეთანხმებები კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა

გაგრძელება A2 გვერდზე

# როგორ უნდა გახდეს გენერალური პროკურატურა დემოკრატიული ქვეყნის შესაფერისი სტრუქტურა?

სოფიკო ჩხაიძე

*დამოუკიდებელი საქართველოს თითქმის თხუთმეტწლიანი ისტორიის მანძილზე საქართველოს გენერალური პროკურატურა პირნათლად ასრულებდა საბჭოური პროკურატურის ღირსეული მემკვიდრის როლს. ხელისუფლებაში მყოფთა ერთგული სამსახური, თუნდაც, კანონისა და სამართლიანობის უგულებელყოფის ხარჯზე - ამ, არცთუ დაფარული ლოზუნგისთვის, გამსახურდიას მმართველობიდან მოყოლებული, შევარდნაძის თორმეტწლიანი მმართველობის ჩათვლით, არც ერთ გენერალურ პროკურორს არ უღალატია.*

ცხადია, პოსტშევარდნაძისტული ეპოქა, სხვა არაერთი სისტემის გარდა, სამართალწარმოების ღერძად წოდებული პროკურატურის სახეცვლილებასაც ითვალისწინებს. უმაღლესი ხელისუფლების ნება - განსაკუთრებულად მიუდგეს ამ სისტემას, სახეზეა: პრეზიდენტი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე რჩეულ კადრებს - ძველ, საქმეში გამოცდილ თანამებრძოლებს აგზავნის. შედეგიც ერთგვარად სახეზეა - გაბრიჩიძის დროინდელ "უძრაობაში" ჩაფლული გენერალური პროკურატურა ამოქმედდა და ამოძრავდა. თვით გენერალური პროკურატურის დერეფნებში ხშირად მოისმენთ საუბრებს იმის თაობაზე, რომ პროკურორებმა საკუთარი ძალისა და მნიშვნელობის შესახებ მხოლოდ ახლა შეიტყვეს. თუმცა, ერთ პიროვნებაზე დამყარებული სისტემა თავისთავად არამყარია, თუ მას შესაბამისი, ძირეული საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ცვლილებები არ გაუმყარებს საფუძველს.

თუმცა, რევოლუციის შემდეგ პირველი კონსტიტუციური უზუსტობის მოწმენი სწორედ პროკურატურასთან მიმართებაში გავხდით. კერძოდ, თებერვალში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ გაურკვეველი რჩება პროკურატურის ადგილი სახელისუფლებო სისტემაში.

**"კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა 91-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, პროკურატურა სასამართლო სისტემას მიეკუთვნებოდა,** - ამბობს იურიდიულ საკითხთა ექსპერტი დავით უსუფაშვილი, - **შემდგომში კი მისი ადგილი კონსტიტუციურად აღარ განსაზღვრულა. ამჟამად კონსტიტუციაში მხოლოდ ერთხელ არის პროკურატურა ნახსენები, სადაც წერია, რომ გენერალური პროკურორის კანდიდატურას პრეზიდენტი წარადგენს. ამასთანავე, წერია, რომ პროკურატურის სტატუსი განისაზღვრება ორგანული კანონით. მაგრამ ივნისში, ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანისას, პროკურატურის ადგილი სახელისუფლებო სისტემაში არავის განუსაზღვრავს"**.

ეს მოვლენა კი, ექსპერტთა აზრით, თავისთავად ანტიკონსტიტუციურია, რადგანაც საქართველოს კონსტიტუცია ხელისუფლების დანაწილების პრინციპზეა აგებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ეკონომიკა

### ბენდუქიძის არაპოპულარულ ნაბიჯს ანტიმონოპოლიური სამსახური უპირისპირდება



როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე ირწმუნება, ოპტიმიზაციის შედეგად, ამ უწყების თანამშრომელთა რიცხვი 98 პროცენტით შემცირდება.

A4

## უცხოეთი

### ამერიკელი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდებიან




პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, აშშ უახლოეს ათ წელიწადში საზღვარგარეთ დისლოცირებულ 70 ათას სამხედრო მოსამსახურესა და დაახლოებით 100 ათასამდე სამოქალაქო პირს შინ დააბრუნებს.

A5

## საზოგადოება

### დავა "ბილბორდების" გამო



ქალაქის მთავარ მხატვარს ლევან ლომინაშვილს გია ბუღაძის შემოქმედების ეს ნაწილი არ ხიბლავს.

A6

## სამართალი

### გატაცებულმა ქალბატონმა საკუთარ გათავისუფლებაში დიდი წვლილი შეიტანა

გატაცების საქმის მშვიდობიანად დასრულებაში დიდი წვლილი თავად მძევალს - 70 წლის ზინა ქავთარაძეს მიუძღვის.

A7

## ამინდი

| | 18/8 | 19/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 36 |
| ქუთაისი | 40 | 33 |
| ბათუმი | 37 | 26 |
| სოხუმი | 36 | 28 |
| ფოთი | 37 | 27 |
| თელავი | 36 | 35 |
| ზუგდიდი | 38 | 31 |
| გორი | 34 | 31 |
| ახმეტა | 35 | 35 |
| ჭიათურა | 38 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.2570 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3566 |
| რუბლი | 0.0626 |

## ნაცნობი ბლეფი - "მესამე მხარე"

17 აგვისტოს ღამეს კონფლიქტის ზონაში ოსური მხარის მიერ გახსნილი საარტილერიო ცეცხლის შედეგად, შს სამინისტროს შინაგანი ჯარის ერთი ჯარისკაცი დაიღუპა და ოთხი დაიჭრა. დაღუპული და დაჭრილები ტყვიავის საავადმყოფოში გადაიყვანეს. საარტილერიო სროლები ოსური სოფლებიდან - სარაბუკიდან და კოხათიდან ხორციელდებოდა. ძირითადად, იბომბებოდა კონფლიქტის ზონაში განლაგებული საქართველოს შინაგანი ჯარის პოზიციები და სოფელი ერედვი, სადაც ხუთი ჭურვი ჩამოვარდა.

ოსური მხარის საარტილერიო დარტყმებზე ქართული მხარის მიერ საპასუხო ცეცხლის გახსნის შემდეგ ოსურმა და კაზაკთა შენაერთებმა სოფელ ხეითის მაღლობი დატოვეს.

ამის შესახებ გუშინ ერედვის შტაბში განაცხადეს, რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობს.

შტაბის მონაცემებით, მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ საპასუხო ცეცხლი გახსნა, დილით ოსურმა ქვედანაყოფმა და მასთან ერთად მყოფმა კაზაკებმა დატოვეს ხეითის მაღლობი, რომლიდანაც ისინი პატარა ლიახვის ხეობის შემოვლით გზას აკონტროლებდნენ. სიჩქარეში მათ ვერ მოასწრეს დიდი რაოდენობით ტყვია-წამლის წაღება, რომელიც ადგილზე დარჩა.

შტაბში მიღებული ინფორმაციით, უკანასკნელ დღეებში ოსური მხარე ქართული სოფლების დაბომბვას სწორედ ხეითის მაღლობიდან ახორციელებდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მიხეილ სააკაშვილის მიმართვა

ნინო გომართელი

მაშინ, როდესაც ცხინვალის რეგიონში ვითარება დღითი დღე მძიმდება, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მსოფლიო თანამეგობრობას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებაში დახმარებას სთხოვს. პრეზიდენტი საერთაშორისო საზოგადოებას შუამდგომლობას სთხოვს, რათა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა მოხერხდეს.

საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს ესაუბრა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მისი დასრულების შემდეგაც კომენტარი არც ერთ ოფიციალურ პირს არ გაუკეთებია, თუმცა ცნობილი გახდა, რომ მინისტრმა ელჩებს ის წერილი გადასცა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უცხოეთის ყველა ქვეყნის მეთაურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით გაუგზავნის.

სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრას არ ესწრებოდა რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილი. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში აცხადებენ, მას ქართული მხარე განსხვავებული შინაარსის წერილს გადასცემს.

სამწუხაროდ, არც ერთი ოფიციალური წყარო, მათ შორის, არც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და არც სახელმწიფო კანცელარია, მიმართვის ტექსტის ზუსტ შინაარსს არ ახმაურებს, თუმცა გუშინ ამერიკულ **"THE WALL STREET JOURNAL"**-ში გამოქვეყნდა თავად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წერილი სახელწოდებით - **"საქართველოს ხანგრძლივი და ცხელი ზაფხული"**, რომელიც თავისი შინაარსით, გარკვეულწილად, წარმოადგენს მიმართვას საერთაშორისო საზოგადოებისადმი და, შესაძლოა, იგი იმ პოსტულატებს იმეორებდეს, რაც ელჩებისათვის გადაცემულ მიმართვაშია ჩამოყალიბებული.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები A3 მთავარი თემა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ბიზნესი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

# "ჩვენ ამ ჯგუფს გავანადგურებთ!"

## თავდაცვის მინისტრი N-ჯგუფის არსებობას რეალურად მიიჩნევს

*"ოსურმა მხარემ ჩვენთან საუბარში აღიარა, რომ არსებობს ჯგუფი, რომელსაც ისინი ვერ აკონტროლებენ და შემოგვთავაზეს თანამშრომლობა ამ ჯგუფის აღმოჩენასა და განადგურებასთან დაკავშირებით," - გუშინ თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ოფიციალური განცხადება გააკეთა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული გაურკვეველი ჯგუფის არსებობის თაობაზე, რომელიც ორივე მხარის პროვოცირებას ახდენს. მინისტრის პოზიციიდან ირკვევა, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად აღიქვამს ოსური მხარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას N-ჯგუფის შესახებ.*

**"ჩვენ ამ ჯგუფს გავანადგურებთ!"** - აცხადებს თავდაცვის მინისტრი და განმარტავს, რომ ეს არის კარგად გაწვრთნილი დაჯგუფება 15-20 კაცის შემადგენლობით.

ბარამიძის თქმით, ხსენებული ჯგუფის მიზანია, მოდავე მხარეებმა ვერ მიაღწიონ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ: **"წუხელ, ღამის პირველ ნახევარში, ჯგუფის მიერ შეტევა განხორციელდა ქართულ შენაერთზე. ღამის მეორე ნახევარში იგივე ჯგუფი დაფიქსირდა სოფელ სარაბუკთან... ეს არის კიდევ ერთი დამატებითი საბუთი იმისა, რომ ჯგუფი ორივე მხარის პროვოცირებას ცდილობს".**

როგორც ბარამიძემ გუშინ განაცხადა, ჯგუფი, **"სავარაუდოდ, რუსეთის ტერიტორიიდან არის გადმოსული".** თავდაცვის მინისტრი, ერთი მხრივ, რეალურად აღიქვამს ოსების დაინტერესებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ: **"ჩვენმა საპასუხო ქმედებებმა ბოლო დღეებში ოსი სეპარატისტები სერიოზულად ჩააფიქრა და დაარწმუნა, რომ ჩვენი დამარცხება სამხედრო კონფრონტაციაში მათ არ ძალუძთ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ ოსური მხარის გარკვეულ დაინტერესებას, რომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი იქნეს შენარჩუნებული".** მეორე მხრივ, ბარამიძე აცხადებს: **"ნამდვილად არ გვაქვს ილუზია, რომ ბოლომდე ვენდოთ სეპარატისტების პოზიციას"...**

გიორგი ბარამიძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ შეეცდება, ბოლომდე შეინარჩუნოს სამშვიდობო პოლიტიკა. იმავდროულად, იგი ქართული სოფლების დაწიოკებას და ეთნიკურ წმენდას არ დაუშვებს.

თავდაცვის მინიტრმა გუშინ ჟურნალისტებს ისიც აუწყა, რომ ამერიკის კონგრესმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 4,9 მილიონი დოლარი გამოუყო, ხოლო თურქეთის მთავრობამ - 2,5 მილიონი.

გუშინვე, შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა კონფლიქტის ზონაში მესამე ძალის არსებობა უარყო. გიორგი ბარამიძემ კი თავად ოქრუაშვილის განცხადება უარყო. **"ირაკლი ოქრუაშვილს ეს არ განუცხადებია,"** - უპასუხა მან ჟურნალისტის შეკითხვას. ეს იმის მაუწყებელია, რომ გაურკვეველი N-ჯგუფის შესახებ, ჯერჯერობით, ჩვენი ხელისუფლების პოზიციებიც გაურკვეველი რჩება.

*ვერიკო თევზაძე*

# მიხეილ სააკაშვილის მიმართვა



*მიხეილ სააკაშვილის მიმართვას სახელმწიფოს მეთაურებს საქართველოში აკრედიტებული ელჩები გადასცემენ.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

წერილს მიხეილ სააკაშვილი საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმოხილვით იწყებს და ქვეყნის გამთლიანებაში ქართველი ერის დამსახურებას უსვამს ხაზს. იგი, ასევე, არ ივიწყებს მაისში განვითარებულ აჭარის მოვლენებს და ავტონომიის ყოფილ დიქტატორ მმართველს:

**"გასული წლის ბოლოს, პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, ჩემს უმთავრეს მიზნად ქვეყნის გამთლიანება, კონტრაბანდასა და კორუფციასთან ბრძოლა დავისახე, სწორედ ესენია ნებისმიერ სახელმწიფოში დესტაბილიზაციის სათავე და მას ეკონომიკური კრახისკენ მიაქანებს. საქართველოს მშვიდობიანად გაერთიანებისთვის პირველი ნაბიჯი მაისში გადაიდგა. შავიზღვისპირეთის რეგიონ აჭარაში მამაცმა აქტივისტებმა გააძევეს ადგილობრივი დიქტატორი, რომელიც წლების განმავლობაში ახშობდა პოლიტიკურ პლურალიზმსა და თავისუფალ მედიას, ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლით იმუქრებოდა. იმის გამო, რომ მას არ ეყო ძალა, თვალებში შეეხედა ხალხისთვის, რომელსაც ადრე ტერორის ქვეშ ამყოფებდა, აჭარის ყოფილი დიქტატორი მოსკოვში გაიქცა, სადაც კომპრომისების მოწინააღმდეგეებმა თავშესაფარი მისცეს."**

ვითარების მიმოხილვის შემდეგ, პრეზიდენტი უშუალოდ სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონში სეპარატისტების აგრესიის იმპულსად საქართველოს წარმატებები იქცა.

**"იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ცოტა ხნის წინ სერიოზული ზომები მიიღო სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მისი გავლით კონტრაბანდის აღსაკვეთად, ამ რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ თავისი შემოსავლების შემცირების საფრთხე იგრძნო და ძალისმიერი მოქმედება გადაწყვიტა. კონფრონტაციის პროვოცირების იმედით, რაც, თავის მხრივ, საქართველოს რეპუტაციას მსოფლიო თანამეგობრობის თვალში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა, მათ ქართველი სამხედროები დახოცეს."**

და, აი, მიხეილ სააკაშვილის თხოვნა საერთაშორისო თანამეგობრობისადმი: **"საქართველო მთელი ძალისხმევით ცდილობდა, საშიშ პროვოკაციებზე პასუხი არ გაეცა. მე ნათლად დავანახე, რომ ჩემი უმთავრესი პრიორიტეტი -ჩემი ერის უსაფრთხოებაა, და რომ ჩვენ ჩვენს მოსახლეობას აგრესიისგან დავიცავთ. სწორედ იმის გამო, რომ საქართველოს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით სურს, მე მოვუწოდებ ვაშინგტონს, ბრიუსელსა და მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის განმუხტვაში უფრო აქტიურად ჩაერთონ.**

**კონკრეტულად რით შეუძლია საერთაშორისო თანამეგობრობას პოლიტიკური დიალოგის გზით ვითარების მშვიდობიანად მოგვარება?**

**დასაწყისისთვის, ცუდი არ იქნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობის, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირისა და ეუთო-ს აქტიური ჩართვა კონფლიქტის უშუალო მონაწილეთა შორის მაღალი დონის მოლაპარაკებებში".**

დიალოგის უმთავრეს თემად პრეზიდენტს რამდენიმე საკითხი მიაჩნია. ეს არის სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაცია, შემდეგ საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციებისთვის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლის მანდატის მიცემა, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობის უსაფრთხოებას და პოლიტიკური მოლაპარაკებებისათვის აუცილებელ პირობებს უზრუნველყოფდა. მიხეილ სააკაშვილს, ასევე, მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო დამკვირვებელთა მანდატის გაფართოება.

თავის წერილში პრეზიდენტი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთში, როკის გვირაბის გავლით, რუსეთიდან შედის კონტრაბანდული საქონელი - იარაღი, ნარკოტიკები თუ სხვა რამ. ამის გამო, პრეზიდენტს მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯად ესახება მომავალში როკის გვირაბთან ქართულ-რუსული ერთობლივი საკონტროლო გამშვები პუნქტის შექმნა, რომელიც ცხინვალის რეგიონში უცხოელი ბოევიკების, კონტრაბანდული იარაღის და სხვა ტვირთის შესვლას შეაფერხებდა.

**"საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ნათელია. საერთაშორისო თანამეგობრობამ წამყვანი როლი უნდა იკისროს და აღნიშნული კრიზისის გადაწყვეტაში აქტიურად ჩაერთოს,"** - წერს მიხეილ სააკაშვილი.

# ნაცნობი ბლეფი – "მესამე მხარე"

პირველი გვერდიდან

ოსი სეპარატისტები 17 აგვისტოს ღამეს ქართული მხარის მიმართულებით ცეცხლის გახსნის ფაქტს ადასტურებენ, თუმცა კვლავ აცხადებენ, რომ ცეცხლი ცხინვალის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, ე.წ. "მესამე ძალამ" გახსნა.

ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გოგა ხაინდრავამ განუცხადა.

მისი თქმით, გუშინ ცხინვალის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ მოლაპარაკებებზე ოსურმა მხარემ აღიარა, რომ წვერიახოს მიდამოებიდან ქართული პოზიციების მიმართულებით ცეცხლი გაიხსნა. თუმცა, ოსური მხარე ამ ფაქტს კვლავ "მის მიერ არაკონტროლირებად მესამე ძალას" უკავშირებს და ცეცხლის გახსნაში სწორედ მას ადანაშაულებს. საქართველოს უშიშროების მინისტრი ვანო მერაბიშვილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში კონტროლსდაუქვემდებარებელი მესამე ძალის მონაწილეობას არ ადასტურებს.

"აშკარაა, რომ ქართული პოზიციების დაბომბვას უშუალოდ ოსი სეპარატისტები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უკანონო შეიარაღებული ფორმირებები აწარმოებენ. თუმცა, ოსური მხარე ერთხმად ამტკიცებს, რომ მისი პოზიციებიდან სროლა ცხინვალის ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად წარმოებს," - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს მერაბიშვილმა. მისი თქმით, ოსურ მხარეს არგუმენტად მის პოზიციებზე ჯერჯერობით დაუდგენელი წარმომავლობის მებრძოლთა გვამების აღმოჩენა მოჰყავს, რომლებიც, მისი მტკიცებით, ცხინვალის ხელისუფლებას არ ემორჩილებიან. "შექმნილ სიტუაციას საქართველოს ხელისუფლება უახლოეს მომავალში გაარკვევს," - დასძინა მერაბიშვილმა.

მის მოსაზრებას საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც იზიარებს, რომლის განცხადებით, ოსური მხარის მტკიცება კონფლიქტის ზონაში "მესამე, უკონტროლო ძალის" მოქმედების შესახებ "ბლეფია".

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით საქართველოში რუსეთის საელჩოს წინ საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები ერთმანეთს ინტერნეტის მეშვეობით დაუკავშირდნენ და აქციაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღეს. როგორც აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, საპროტესტო აქცია მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდება და სულ უფრო მასშტაბური გახდება. აქციის მონაწილეებს საელჩოდან ჯერჯერობით არავინ გამოხმაურებია, საელჩოს დაცვა მათ არც შენობასთან მიახლოების საშუალებას აძლევს. პროტესტის გამოსახატად მომიტინგეებმა ვიდეოპროექტორი დაამონტაჟეს და საელჩოს შენობაზე სპეციალური წარწერა "რეაქცია" დააფიქსირეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და მხარეებს კონფლიქტის უსწრაფესი მოგვარებისკენ მოუწოდა. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, პარიზში ყურადღებით სწავლობენ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესახებ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე მოუწოდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, "ყველაფერი გააკეთოს" კონფლიქტური სიტუაციის უსწრაფესი მოგვარებისათვის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ ავსტრიაში გაემგზავრა. ქალაქ ვენაში ეუთო-ს მუდმივი საბჭოს საგანგებო სხდომაზე ზურაბიშვილი საბჭოს წევრებს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პრეზიდენტის სპეციალურ მიმართვას გააცნობს. სალომე ზურაბიშვილი აპირებს, პირისპირ შეხვდეს ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარეს სოლომან პასის. მისი თქმით, პასი უახლოეს პერიოდში საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** კრემლში მიიჩნევენ, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში თბილისის მხარეზე გადაიბირონ. ამის შესახებ რუსული საინფორმაციო სააგენტო "რია-ნოვოსტი" იუწყება. "არის მცდელობები, საქართველოს შიდა ტერიტორიული პრობლემები სხვა ხარისხში, კერძოდ, საქართველოს და რუსეთის ურთიერთობების სიბრტყეში გადაიტანონ. ძირითადი მიზანი გასაგებია - აიძულონ რუსეთი, ამ საკითხების მოგვარებაში მეტი მონაწილეობა მიიღოს ოფიციალური თბილისის მხარეზე," - განუცხადა ჟურნალისტებს კრემლის წყარომ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარულ აქციებს აგრძელებს. მორიგი დახმარება გუშინ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სამედიცინო დაწესებულებებმა მიიღეს. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ჯულელმა გუშინ დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ქურთის საავადმყოფოს, სამკურნალო საშუალებებთან ერთად, დიზელ-გენერატორი ჩაუტანა. ლევან ჯულელმა ქურთაში შემოვლითი გზით, უსაფრთხოდ ჩააღწია და უსაფრთხდ დაბრუნდა. მისი განცხადებით, აღნიშნული პროგრამა არა მარტო სტაციონარში მყოფი ავადმყოფების მკურნალობას, არამედ დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები მოსახლეობისთვის სამკურნალო საშუალებების გადაცემასაც ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

# დიდი გაქრისტიანება პანკისში



ზვიად რუაძის ფოტო

*სამღვდელოებამ პეტრე ცისკარიშვილს ხატი გადასცა.*

*გუშინ პანკისის მოსახლეობა უპრეცედენტო ფაქტის თვითმხილველი გახდა. ხეობაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ორმოცდაათამდე ადამიანი მდინარე "ალაზანზე" ძველი ტრადიციით მოინათლა.*

მრავალი წელია, რაც პანკისის ხეობაში მდგარი მართლმადიდებლური ეკლესია-სალოცავები უმოქმედოდ და უპატრონოდ იყო მიტოვებული. წმინდა ადგილებს კი ამჯერად უკვე თავისი მრევლი უბრუნდება. ალავერდის ეპარქიის თელავის ღვთაების ეკლესიის მღვდელმსახურები ხეობაში წირვა-ლოცვას ალავლენენ. **"როგორც მატიანეში ვკითხულობთ, პანკისი ის უძველესი ადგილია, სადაც სხვადასხვა ეროვნების უამრავი ადამიანი მოექცა ქრისტიანობაზე. ჩვენი მიზანიც სწორედ ის იყო, რომ ამ მამაპაპეულ წმინდა ადგილებში ტრადიცია გაგრძელებულიყო,"** - გვითხრა თელავის ღვთაების ეკლესიის წინამძღვარმა მამა ზაქარიამ.

პანკისელების ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა, ალავერდის ეპარქიის თაოსნობით და საპატრიარქოს კურთხევით ხდება და უკვე მესამე დღეა გრძელდება. გუშინ, ქართველებთან ერთად, მდინარე "ალაზანში" ოსი და ქისტი პიროვნებებიც მოინათლნენ. მათი განწყობა ამაღლებული იყო. **"მე ბავშვობიდანვე ქართველი ამხანაგები მყავდა და ძალიან მომწონს მათი ადათ-წესები. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ქრისტიანობას ვზიარებოდი. იმედია, ამისთვის ჩემი ხალხი არ გამიკიცხავს და ჩემი ასეთი ნაბიჯი სხვადასხვა ერის მოსახლეობისთვის მაგალითი იქნება,"** - ამბობს ქისტი თამაზ ალიაზოვი.

ქისტების მსგავსად ნათლობით აღფრთოვანებულები იყვნენ ხეობაში მცხოვრები ოსებიც. ქეთევან თედეევმა, თავად სხვა სარწმუნოების მიმდევარმა, შვილები ქრისტიანული წესით მონათლა. **"მე ჩემი შვილებით დღემდე ვამაყობდი. ამის შემდეგ უფრო ბედნიერი ვიქნები, რადგან მრავალი წლის ოცნება ავისრულე,"** - აცხადებს ქეთევან თედეევი და თანასოფლელებსაც იგივეს ურჩევს.

გუშინ ნათლობა პანკისელმა სომხებმა და ქურთებმაც მიიღეს. ამ უპრეცედენტო დღის მოწყობაში მოსახლეობა დიდ მადლობას საპატრიარქოს და პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთში პეტრე ცისკარიშვილს უხდიდა. მღვდელმსახურებმა კახეთის გუბერნატორს საჩუქრად ჯვარცმის ხატი გადასცეს. **"დღეს მართლაც ქართველებისთვის ამაღლებული დღეა. იმის გარდა, რომ აქაურები სარწმუნოებას უბრუნდებიან, დღევანდელი დღე იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ადამიანები ერთმანეთს უმეგობრდებიან, რაც მე აუცილებლად მიმაჩნია,"** - ამბობს ცისკარიშვილი.

მღვდელმსახურები, წირვალოცვები ჩასატარებლად და საცხოვრებელი ბინების მირონსაცხებად, კიდევ ორ დღეს დარჩებიან პანკისის ხეობაში. მამა ზაქარიას და მამა რაჟდენს იმედი აქვთ, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე კიდევ ბევრ ადამიანს მოაქცევენ.

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# ცნობენ თუ არა ფანტომები შეთანხმებას?

პირველი გვერდიდან

და იმ გზების დებლოკირება-დემილიტარიზაციის შესახებ, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არსებულ ცხრა ქართულ სოფელს დანარჩენ საქართველოსთან აკავშირებს.

გუშინ მიღწეული შეთანხმების თანახმად, კონფლიქტის ზონაში მხოლოდ სამშვიდობო კონტინგენტი და როგორც ოსური მილიციის, ისე ქართული ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები უნდა დარჩნენ. **"მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ შექმნილ სიტუაციაში მშვიდობისთვის უფრო მეტი შანსი გაჩნდება და საბრძოლო მოქმედებები აღარ განახლდება,"** - აღნიშნა ჩოჩიევმა და დასძინა, რომ თუ რეგიონის დემილიტარიზაცია მოხერხდება და გზები გაიხსნება, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს ცხინვალის რეგიონში თავისუფალი გადაადგილების საშუალება ექნებათ. ამასთან, მისი თქმით, ეს ცივილიზებული მეთოდებით უნდა მოხდეს, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ფორმალურად მაინც უნდა შეუთანხმოს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ცხინვალის რეგიონში ვიზიტის მიზნები და ვადები.

**"მთავარია შეწყდეს ცეცხლი, შემდეგ კი ჩვენ მზად ვართ, საქართველოსთან პოლიტიკური ომი დავიწყოთ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ეს ყველამ იცის, თუმცა საქართველოში ასე არ ფიქრობენ... ეს საკითხი უსისხლოდ, მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს,"** - აცხადებს ჩოჩიევი. გარდა ამისა, მისი თქმით, სამხრეთ ოსეთში მოქმედებს შეიარაღებული დაჯგუფება ე.წ. "მესამე ძალა", რომელსაც ცხინვალის ხელისუფლება არ აკონტროლებს და რომელიც თვითნებურად მოქმედებს.

შერეულ საკონტროლო კომისიაში ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლის თეიმურაზ კუსოვის შეფასებით, გუშინ თბილისში გამართული მოლაპარაკებები **"საკმაოდ ნაყოფიერი"** იყო. **"საქართველოს ხელისუფლების, რუსეთის ფედერაციისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ გაოცებულები ვიყავით შეხედულებების სრული თანხვედრით მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით,"** - აღნიშნავს იგი.

კუსოვის თქმით, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა მოხერხდეს.

როგორც გოგა ხაინდრავა აღნიშნავს, გუშინდელ შეხვედრაზე სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი არ განხილულა. **"მთავარია, ამ ეტაპზე მხარეები ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, ხოლო სტატუსზე საუბარი მომავალში გაგრძელდება. ამავდროულად, აუცილებელია, გაიმართოს შეხვედრა ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითს შორის,"** - აცხადებს იგი.

მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ შეთანხმებებზე საუბრობს პრემიერ-მინისტრიც.

ზურაბ ჟვანია დარწმუნებულია, რომ გუშინ საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში გამართული მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმებები აღარ დაირღვევა. **"კონფლიქტის ზონას, შეთანხმების თანახმად, ყველა შეიარაღებული ფორმირება, მათ შორის ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვითი ძალებიც დატოვებენ. იქ დარჩება მხოლოდ სამშვიდობო კონტინგენტი და პოლიცია,"** - აღნიშნა მან. გარდა ამისა, პრემიერის თქმით, ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს მისიის გაფართოებასა და ქართველი მძევლების უპირობო გათავისუფლებას ითხოვს.

ჟვანიას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების მიზანი დროებითი დაზავება არ არის: **"ჩვენ პრობლემის ერთხელ და საბოლოოდ გადაწყვეტა გვინდა, რაც ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრის გარეშე არ მიიღწევა. ამიტომ, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მეორე ეტაპი სწორედ სტატუსის განსაზღვრა იქნება. საქართველო მზად არის დაიწყოს მოლაპარაკებები და სამუდამოდ გადაწყვიტოს ეს პრობლემა,"** - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ზურაბ ჟვანიამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ოსური მხარე კონფლიქტის ზონაში არსებულ რაღაც მესამე ძალაზე საუბრობს. **"იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სამხრეთ ოსეთში რაღაც ფანტომები შეიჭრნენ, რომლებიც საომარი მოქმედებების პროვოცირებას ახდენენ. თუ იქ მართლაც იმყოფებიან ძალები, რომელთა მოქმედებაზე პასუხისმგებლობას ვერც ერთი მხარე ვერ იღებს, ჩვენ შეგვწევს ძალა, ნებისმიერი ამგვარი დაჯგუფება გავანადგუროთ. ჩვენ ვთავაზობთ სამხრეთ ოსეთს, ერთობლივად შევებრძოლოთ ამ უცნაურ ძალას,"** - აღნიშნა მან.

რაც შეეხება კოკოითთან შეხვედრას, როგორც ჟვანიამ აღნიშნა, იგი მზად არის შეხვდეს დე ფაქტო პრეზიდენტს და იმედი აქვს, რომ კოკოითიც შემხვედრ ნაბიჯებს გადადგამს.

დღეს შერეული საკონტროლო კომისიის წარმომადგენლები ედუარდ კოკოითს შეხვდებიან, სადაც, სავარაუდოდ, საქართველოს პრემიერისა და დე ფაქტო პრეზიდენტის შეხვედრის ბედი გადაწყდება.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჟანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# როგორ უნდა გახდეს გენერალური პროკურატურა დემოკრატიული ქვეყნის შესაფერისი სტრუქტურა?

პირველი გვერდიდან

თავად უსუფაშვილის აზრით კი, პროკურატურის დღევანდელი მოდელი ერთგვარად გარდამავალი მოდელია:

**"დღევანდელი სიტუაცია გარდამავალი ვარიანტია, პროკურატურის ადგილი სახელისუფლებო სისტემაში მოსაძებნია. თავად პროკურატურა გარდაქმნის პროცესშია, იგი სასამართლო ხელისუფლებაში იყო, ახლა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი უნდა გახდეს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის დამოუკიდებელ ორგანოდ დარჩეს, როგორიც, ვთქვათ, ეროვნული ბანკი ან კონტროლის პალატაა. თანაც, პროკურატურა დე ფაქტო ყოველთვის იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი და ჩვენს სიტუაციაში ეს სწორიცაა. მე, საერთოდ, იდეაში მხარს ვუჭერ, რომ პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ნაწილი გახდეს"**.

დავით უსუფაშვილის ამ მოსაზრებას ეთანხმება "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან რამიშვილიც. მეტიც, მას მიაჩნია, რომ რეფორმების გარკვეულ სტადიამდე მისვლის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს არა მარტო გენერალური პროკურატურა, არამედ ყველა სამართალდამცველი სტრუქტურა: შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებიც. თუმცა, ეს უფრო შორეული მომავლის პერსპექტივაა. მანამდე კი, იმისათვის, რომ პროკურატურამ საბჭოური ელფერი მოიშოროს და დემოკრატიული ქვეყნისთვის შესაფერის სტრუქტურად იქცეს, რეფორმა კიდევ ორი მიმართულებით უნდა გაიშალოს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*უმაღლესი ხელისუფლების ნება - განსაკუთრებულად მიუდგეს ამ სისტემას, სახეზეა: პრეზიდენტი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე რჩეულ კადრებს - ძველ, საქმეში გამოცდილ თანამებრძოლებს აგზავნის.*

**"პირველი, პროკურატურის რეფორმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, რომლის პროექტზე მუშაობაც უკვე, ფაქტობრივად, სრულდება და სექტემბერ-ოქტომბერში პარლამენტის განხილვის საგანიც გახდება,** - ამბობს ლევან რამიშვილი, - **ამ პროექტის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი სისტემის ახალი კონცეფცია ყალიბდება. შესაბამისად, ხდება პროკურატურის როლის გადააზრებაც. ბევრი საბჭოური ინსტიტუტის გაუქმებასა და გამოძიების სტადიების შემცირებასთან ერთად შემცირდება ამ პროცესში ჩართულ ადამიანთა რაოდენობაც. პროკურატურის როლის შეცვლაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის, ზეპირობისა და უშუალობის დანერგვა. ამით პროკურორის ფუნქცია შეიცვლება, შეიცვლება სახელმწიფოს მოთხოვნები პროკურორებისადმი. დიდი გავლენის მომხდენი იქნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება. ეს იქნება გარანტია ობიექტურობისა, რადგან პროკურორები მნიშვნელოვნად იქნებიან შეზღუდულნი მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის თვალსაზრისით. საერთოდ, ახალი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაამკაცრებს მტკიცებულებათა დაშვებადობას".**

რეფორმის მეორე მიმართულებად არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ რეფორმას მიიჩნევს, რომლის ფარგლებშიც პარალელური სტრუქტურების გაუქმება უნდა მოხდეს.

**"პროკურატურის ორგანიზაციული სისტემა უნდა გამარტივდეს,** - აცხადებს რამიშვილი და მიაჩნია, რომ გენერალური პროკურატურის ქვემოთ მხოლოდ ერთი დონე უნდა არსებობდეს, - **რამდენიმე დონის არსებობა ძალიან ძვირიც არის და არაეფექტურიც. თანაც, კორუფციისთვის საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ჩემი აზრით, სრულიად ოპტიმალურია რეგიონულ-რაიონული სტრუქტურების შერწყმა და 25-მდე ტერიტორიულ ერთეულად ჩამოყალიბება. ვფიქრობ, იმავე თბილისის პროკურატურის, ანდა საოლქო პროკურატურების არსებობა სულაც არ არის საჭირო. ამ მხრივ, ცვლილებების დაჩქარებას ერთგვარად წმენდაც მოჰყვება".**

თუ რეფორმის პროცესი არ დაჩქარდა, პროკურატურის ქვედა რგოლებში არსებული განუკითხაობა, პირველ რიგში, იმ ხელისუფლების იმიჯს შეარყევს, რომელსაც ხალხმა სწორედ რეფორმების გატარების დაპირების გამო დაუჭირა მხარი, - მიაჩნია ლევან რამიშვილს. რეფორმა კი, გატარებული ისე, როგორიც უნდა იყოს, "თავისუფლების ინსტიტუტის" ლიდერის აზრით:

**"იმის პირობას შექმნის, რომ პროკურატურა სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ინსტრუმენტად იქცეს და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ გარანტად სახელმწიფოში, და არა პირიქით, როგორც ეს დღეს არის".**

# "სერიოზული შედეგი ძალზე მალე იქნება"

*პოსტრევოლუციურ გენერალურ პროკურატურაში არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიზიდულ კადრებს რეფორმის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ. ერთ-ერთი ასეთი - გენერალური პროკურორის მოადგილე ნონა წოწორიაა, რომელსაც პროკურატურის სისტემაში აქამდე არასოდეს უმუშავია, ახლა კი რეფორმების მიმდინარეობას უშუალოდ კურირებს.*

- რეფორმის პრაქტიკული განხორციელება, ჯერჯერობით, არ დაწყებულა, - ამბობს ნონა წოწორია, - ჩვენ შევიმუშავეთ გეგმა რაიონული პროკურატურების გამსხვილებისა და საოლქო პროკურატურების გაუქმების შესახებ და საკადრო რეფორმა მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება. რაიონული პროკურატურები გამსხვილდება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. მაგალითად, ხაშურის პროკურატურის შემადგენლობაში გადავა ქარელის პროკურატურა, ანუ, ორი, სამი პროკურატურა ერთ პროკურატურად გაერთიანდება. აქვე გეტყვით, რომ ანალოგიური ცვლილებები ამ მიმართულებით განხორციელდება სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურებშიც, რათა რეფორმის პროსეცი პროკურატურასა და სასამართლოში პარალელურად წარიმართოს.

**- ბუნებრივია, ამ გამსხვილებას საკადრო ცვლილებებიც მოჰყვება...**

- რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივი პროცესია, პროკურატურის სისტემა ერთი მესამედით შემცირდება, ანუ, დაახლოებით ხუთასი ადამიანით. ჩვენი მიზანია, პროკურატურის სისტემა დაკომპლექტდეს ოპტიმალურად, მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრით.

**- რა კრიტერიუმებით ხდება თანამშრომელთა შემცირება და ამ სისტემის ახალი კადრით დაკომპლექტება?**

- მომავლისთვის ჩვენ ძალიან საინტერესო გეგმა გვაქვს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კადრების შერჩევის პროცესი გამჭვირვალედ, კონკურსის წესით, რასაც, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, მიმდინარე საკადრო ცვლილებების ფონზე ვერ ვახორციელებთ. სისტემის შიგნით არიან ადამიანები, რომლებიც პროფესიონალიზმითა და პატიოსნებით გამოირჩეოდნენ, და ამიტომაც, ასეთ ადამიანებს მივცემთ საშუალებას, თავი ახალ სარბიელზე წარმოაჩინონ. მათი გამოცდილების გამოყენება მაქსიმალურად მოხდება, მაგრამ ახალი სახეებიც გამოჩნდებიან. საერთოდ, საკადრო ცვლილებები ყოველთვის ხდება, მაგრამ ახლა მასშტაბური სახე აქვს. აქვე ვიტყვი, რომ ამ პროცესში საზოგადოება მაქსიმალურად იქნება ჩართული.

**- საკადრო შემცირებები გენერალური პროკურატურის ცენტრალურ აპარატშიც მოხდება?**

- ვფიქრობთ, როგორ მოვახდინოთ ცენტრალურ აპარატის ოპტიმიზაცია. საკადრო შემცირებაზე მუშაობა მიმდინარეობს და ის აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

**- არსებული ინფორმაციით, 25-წლიანი სტაჟის მქონე ძველმა თანამშრომლებმა პროკურატურა უკვე დატოვეს.**

- პროკურატურის ყველა თანამშრომელი კადრების განკარგულებაშია გადაყვანილი. პროკურატურის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით განისაზღვრა საპენსიო ასაკის თანამშრომელთა სოციალური გარანტიები. თანამშრომლები, რომლებსაც შესაფერისი სტაჟი და საპენსიო ასაკი აქვთ, მიიღებენ დამატებით თანხას - ბოლო ხელფასის 60 პროცენტს. სხვათა შორის, თანამშრომელთა გარკვეულმა ნაწილმა განცხადება უკვე დაწერა და ისინი პენსიის დანიშვნას ითხოვენ.

**- გარდა საკადრო ცვლილებებისა, თუ იგეგმება სტრუქტურული ცვლილებები?**

- ცენტრალური აპარატის ბევრი სტრუქტურული ერთეული, ფაქტობრივად, უცვლელი რჩება, თუმცა მიმართულებების მიხედვით შეიქმნა ახალი განყოფილებები, მაგრამ კონკრეტულად რაიმე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება არ მომხდარა.

ახლა პროკურატურაში საკადრო რეფორმა მიმდინარეობს.

**- როგორია კადრების შერჩევის პრინციპი? ახალი სახეები რა კრიტერიუმებით შეირჩევიან?**

- ჩემი შემთხვევა იდეალური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოხვდეს ახალი სახე პროკურატურაში. მე ამ სისტემაში არ მიმუშავია, საჯარო პირი არ ვყოფილვარ, მაგრამ ნდობა გამომიცხადეს.

**- და რა კრიტერიუმია საჭირო?**

- პატიოსნება, პროფესიონალიზმი და გამძლეობა, რომ ამ დაძაბულ რეჟიმში იმუშაონ. პროკურატურაში უნდა დარჩეს ადამიანთა ის კატეგორია, რომელთაც შეუძლიათ პატიოსნად და დატვირთულ რეჟიმში იმუშაონ. არიან ადამიანები, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ მომატებული საქმის, ახალი, დამძიმებული რეჟიმის პირობებში ვერ იმუშავებდნენ და ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება, დატოვონ პროკურატურა.

**- პროკურატურა სამართალწარმოების ღერძია, წლების მანძილზე ის ძალიან სუსტი იყო, თავის ფუნქციებს ვერ ასრულებდა და შედეგებიც სახეზეა.**

- ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ პროკურატურა ისევ ისეთია, როგორიც იყო. განვითარების პროცესი ნელ-ნელა მიმდინარეობს და სერიოზული შედეგი ძალზე მალე გვექნება.

*ესაუბრა ინგა ალავიძე*

პროკურატურის რეფორმის ფარგლებში სტრუქტურული ცვლილებების სურათის წარმოდგენა ამ ორი სქემის შედარებით ადვილად შეიძლება. ოღონდ, სპეციალიზებულ პროკურატურებზე უარის თქმა და სამმართველოთა რიცხვის შემცირება ამ ცვლილებების მხოლოდ ერთი ნაწილია, თუმცა, ამ მხრივაც შეიძლება გარკვეული კორექციები მოხდეს. კერძოდ, ირაკლი ოქრუაშვილის დროს ჩამოყალიბებული სისტემა ჯერაც არ დამტკიცებულა და გარკვეული სახეცვლილება, შესაძლოა, მანაც განიცადოს, ისევე როგორც არ არის გამორიცხული ცალკეული სპეციალიზებული პროკურატურების შექმნა. ამ თვალსაზრისით, პროკურატურის შესახებ ორგანული კანონი გენერალურ პროკურორს სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

რაც შეეხება რაიონულ და სამხარეო პროკურატურებს, როგორც ცნობილია, მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდება. ეს არა მარტო ქართველი რეფორმატორების ახირება, არამედ უცხოელ ექსპერტთა რჩევაცაა. თუმცა, კონკრეტულად რომელი პროკურატურები გაუქმდება, ვინ ვის გაუერთიანდება და საბოლოოდ როგორ სახეს მიიღებს, ჯერჯერობით უცნობია.




ასე გამოიყურებოდა პროკურატურის სისტემა ირაკლი ოქრუაშვილის გენერალურ პროკურორად დანიშვნამდე.




ზურაბ ადეიშვილის მმართველობის პირობებში გენერალური პროკურატურა ჯერ კიდევ ოქრუაშვილის დანატოვარი სისტემით მუშაობს.

# სტაჟიანი, მაგრამ არა საპენსიო ასაკის მქონე პროკურორები სისტემას ემშვიდობებიან

*პროკურატურაში შემცირებები დაწყებულია და როგორც ხელმძღვანელობა ირწმუნება, საკადრო პოლიტიკა, უპირველესად, სისტემის გაახალგაზრდავებისკენ არის მიმართული. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ პროკურორთა რიგებს, ძირითადად, ასაკოვანი თანამშრომლები დატოვებენ.*

თამარ კაციტაძე

დღემდე პროკურატურის სისტემაში საპენსიო ასაკის საკმაოდ ბევრი თანამშრომელი მუშაობდა. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ისიც იყო, რომ პენსიაზე გასულ პროკურატურის მუშაკს, რომელზეც "პროკურატურის თანამშრომელთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი" არ ვრცელდებოდა (პიროვნებას, საპენსიო ასაკთან ერთად, მუშაობის 25-წლიანი სტაჟიც უნდა ჰქონოდა, რა დროსაც პენსია ხელფასის 100 პროცენტით განისაზღვრებოდა), 14-ლარიანი პენსია ენიშნებოდა. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობაზე დათანხმება თავად ამა თუ იმ თანამშრომლისთვისაც ძნელი იყო და მათი გაწირვა ხელმძღვანელობასაც უჭირდა. ეს კი სისტემის ოპტიმიზაციას, ანუ პროკურატურის ასაკოვანი თანამშრომლების ახალგაზრდა კადრებით ჩანაცვლებას საგრძნობლად უშლიდა ხელს.

დაახლოებით ორი თვის წინ კი, "პროკურატურის შესახებ ორგანულ კანონში" შესული ცვლილებებით პენსიაზე გამსვლელ პროკურატურის მუშაკთა პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც, პროკურატურის ხელმძღვანელთა აზრით, საკადრო ოპტიმიზაციის შედარებით უმტკივნეულოდ გადატანას შეუწყობს ხელს.

კერძოდ, "პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის" მე-40-ე მუხლით, პროკურატურის თანამშრომელს, თუ მას პროკურატურის ორგანოებში და სასამართლოში მუშაობის 25-წლიანი სტაჟი აქვს, საპენსიო ასაკამდე, ანუ 65 წლამდე უფლება აქვს, პენსიაზე გავიდეს. ასეთ შემთხვევაში, მისი პენსია ხელფასის 60 პროცენტით განისაზღვრება, რაც ნამუშევარი წლების, თანამდებობრივი სარგოს და წოდების დანამატის ჯამიდან გამოიანგარიშება. თუმცა, კანონის მოთხოვნით, 25-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე პიროვნებას პენსია იმ შემთხვევაში დაენიშნება, თუ იგი სისტემას ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში ან საკუთარი სურვილით დატოვებს. საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ კი ყოფილი პროკურორის პენსია ხელფასის სრული ოდენობით განისაზღვრება. საპროკურორო პენსია, ხელფასის სრული სახით, იმ თანამშრომელსაც ენიშნება, რომელსაც 25-წლიანი სტაჟი არ აქვს, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო შრომითი საქმიანობის გაგრძელება აღარ შეუძლია. ამას კი ჯანდაცვის სპეციალური კომისია განსაზღვრავს.

ერთი სიტყვით, სხვა პენსიონერებთან შედარებით, პროკურორებს, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ნამდვილად ნორმალური დასვენება ელით. თუმცა, ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა, რაც, ჯერჯერობით, მხოლოდ ქაღალდზეა დაფიქსირებული, რადგან "პროკურატურის შესახებ ორგანული კანონის" მე-40-ე მუხლი, რომელიც პარლამენტმა, ფაქტობრივად, უკვე მიიღო, ჯერ არ ამოქმედებულა. ანუ, პროკურატურის ის თანამშრომლები, რომლებმაც, თითქოსდა, გაზრდილი პენსიის იმედით, საკუთარი სურვილით დატოვეს სამსახურები, დაპირებულ თანხას იქამდე ვერ მიიღებენ, ვიდრე პარლამენტი დასახელებულ მუხლს საბოლოო ვიზირებას არ მისცემს. ეს კი, როგორც პარლამენტში ვარაუდობენ, დაახლოებით სექტემბერში მოხდება. თუმცა, წინასწარ ძნელი სათქმელია, პენსიის მიღებამდე კიდევ რა პრობლემები წარმოიქმნება.

პრობლემად რჩება პროკურატურის იმ თანამშრომელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობაც, რომელთაც 25-წლიანი სტაჟი აქვთ, მაგრამ საპენსიო ასაკი ჯერ არ შესრულებიათ და ორგანოში მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა კვლავ ჰქონდათ. ვერ გეტყვით, რამდენად დამაჯერებელია გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ პროკურატურის 25-წლიანი სტაჟის მქონე თანამშრომლებს პენსიაზე ნებაყოფლობით გასვლის შესახებ განცხადებები ძალით დააწერინეს, თუმცა კი, ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ 60 წელს მიღწეულ ადამიანს უმუშევრად დარჩენის სურვილი ჰქონდეს, მით უმეტეს, რომ მათ უმრავლესობას მთელი ცხოვრება ამ სისტემაში აქვთ ნამუშევარი და მათთვის სხვა საქმიანობაზე გადართვა არცთუ ადვილი საქმეა. ასეთები კი არც ისე ცოტაა. მართალია, პროკურატურაში, ჯერჯერობით, გასაიდუმლოებული რჩება საპენსიო ასაკამდე პენსიაზე გასულ თანამშრომელთა ზუსტი რაოდენობა და მათი ვინაობაც, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით, მათი რაოდენობა უკვე 100-ს აღემატება და როგორც არაოფიციალურ საუბრებში აცხადებენ, სექტემბერში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ვინ მოხვდება ნაადრევ პენსიონერთა რიგებში, წინასწარ არავინ იცის, უფრო სწორედ, არავის სურს გავრცელებული ჭორების დაჯერება და თანამდებობის შესანარჩუნებლად ყველას საკუთარი დამსახურებების იმედი აქვს.

# საკადრო ოპტიმიზაცია - ასე უწოდებს პროკურატურის ხელმძღვანელობა ახალ საკადრო პოლიტიკას

*საქართველოს პროკურატურის სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კადრების ოპტიმიზაციას მიიჩნევენ. მართალია, ამ ეტაპზე ზუსტად არ არის განსაზღვრული, რამდენ თანამშრომელს მოუწევს სისტემასთან დამშვიდობება და ზუსტად რა რაოდენობით განისაზღვრება პროკურატურის თანამშრომელთა რიცხვი (საუბარია 40-პროცენტიან შემცირებაზე), მაგრამ ფაქტია - საკადრო ცვლილებები დაწყებულია.*

თამარ კაციტაძე

ჩვენი ინფორმაციით, 90-იანი წლების დასაწყისში პროკურატურაში თუ 800-მდე თანამშრომელი მუშაობდა, მოგვიანებით მათი რიცხვი 1300-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ კადრების შემცირებაზე დიდი ხნის განმავლობაში თავად პროკურატურის ხელმძღვანელობაც საუბრობდა, არსებითი საკადრო ცვლილებების განხორციელება პროკურატურაში მხოლოდ რამდენიმე თვის წინ დაიწყო და როგორც ვარაუდობენ, საბოლოოდ სისტემა დღევანდელი რაოდენობის ერთ მესამედამდე შემცირდება.

დღეს პროკურატურაში დაწყებული შემცირებები რამდენიმე მიმართულებით მიდის. ერთი მხრივ, თუ სისტემას 25 წლის სტაჟის მქონე მუშაკები პენსიაზე გასვლის მიზეზით ტოვებენ, მეორე მხრივ, როგორც პროკურატურის ხელმძღვანელობა ირწმუნება, პროკურორთა რიგებს ულირსი თანამშრომლებიც უსიტყვოდ დაემშვიდობებიან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მიზეზით პროკურატურა უკვე ათეულობით თანამშრომელმა დატოვა. თუმცა, კონკრეტულად ვინ არიან ისინი, საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა, რადგან ამის აფიშირებისგან თავს იკავებს როგორც პროკურატურის ხელმძღვანელობა (თუ, რა თქმა უნდა, გახმაურებულ დანაშაულზე არ იქნება საუბარი), ასევე თავად გათავისუფლებული თანამშრომლებიც. ამ ეტაპამდე სისტემიდან დათხოვნა არც ერთ მათგანს არ გაუპროტესტებია.

გასათავისუფლებელ თანამშრომელთა სიაში მოხვდა ამჟამად უკვე გაუქმებული ტრანსპორტის და სამხედრო პროკურატურების მუშაკების დიდი ნაწილიც. უსამსახუროდ დარჩენილი 200 თანამშრომლიდან, მართალია, ერთი ნაწილი სხვადასხვა თანამდებობაზე კვლავ დაინიშნა, მაგრამ მათი უმეტესობა პროკურორთა რიგებს საბოლოოდ დაემშვიდობა.

პროკურატურაში გამოთავისუფლებულ ადგილებს კი, მათ შორის - მაღალ თანამდებობებზეც, ახალგაზრდა კადრები იკავებენ, რომელთა უმრავლესობასაც [illegible] პროკურატურის მუშაობის [illegible] დღეს ჰქონია და, [illegible] არც გამოცდილება. [illegible] ხელმძღვანელობა [illegible] ახალი თანამშრომლები [illegible] მოვალეობას თავს [illegible] და მალე პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან. ვინც ამას ვერ მოახერხებს, ცხადია, გაათავისუფლებენ. ერთ-ერთმა ასეთმა ახალგაზრდამ, რომელსაც პროკურატურაში მისვლისთანავე საკმაოდ მაღალი თანამდებობა არგუნეს, პროკურატურის რიგები, გამოუცდელობის თუ არაპროფესიონალიზმის გამო, უკვე დატოვა.

პროკურატურაში ახალი სახეების გამოჩენა მისასალმებელია, მაგრამ, გავრცელებული ხმებით, მათ კანონით სავალდებულო საპროკურორო გამოცდებიც კი არ აქვთ ჩაბარებული, რის გარეშეც სისტემაში მუშაობის დაწყება აშკარა კანონის დარღვევაა, მაგრამ გამოსწორებადი - როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ საპროკურორო გამოცდები უკვე ჩავლილად ითვლებოდა, სექტემბერში კიდევ ერთი გამოცდის ჩატარება დაიგეგმა.

ერთი სიტყვით, პროკურატურაში "საკადრო ოპტიმიზაცია" დაწყებულია. რამდენად წარმატებულად დასრულდება იგი, მომავალი გვიჩვენებს.

## IFC გარემოსა და სოციალური დაცვის პროექტებზე ახალ კონსულტაციებს იწყებს

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) გარემოსა და სოციალური დაცვის, აგრეთვე, ინფორმაციის გავრცელების სფეროში საჯარო კონსულტაციებს იწყებს. ამის შესახებ გუშინ სპეციალურად "24 საათს" IFC-ს ვაშინგტონის ოფისიდან აცნობეს.

უახლოესი ოთხი თვის განმავლობაში IFC საკონსულტაციო სემინარებს და თემატურ შეხვედრებს გამართავს ბუენოს აირესში ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებისთვის, მანილაში - აზიის ქვეყნებისთვის, ნაირობში - აფრიკის, ხოლო სტამბოლში - აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის.

როგორც კორპორაციის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა პიტერ ვოიქმა განაცხადა, კონსულტაციების ძირითადი მიზანია ახალი პოლიტიკის განსაზღვრა, რომელმაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ურთიერთობა თავის კლიენტებთან სოციალურ და გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობის თვალსაზრისით უნდა სრულჰყოს.

IFC-ს პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კორპორაციის კლიენტებს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე სამრეწველო ასოციაციებს, ფინანსურ სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. **"ჩვენ მხარს დავუჭერთ მონაწილეებს, რომლებიც სერიოზულად არიან დაინტერესებულნი სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხებით. გვჯერა, რომ ახალი პოლიტიკის განსაზღვრა გააუმჯობესებს IFC-ს ეფექტურობას თავის საქმიანობაში,"** - აღნიშნა ვოიქმა.

საქართველოს წარმომადგენლები კორპორაციის ახალი პოლიტიკის გაცნობას მიმდინარე წლის დასასრულს, 13-15 დეკემბერს, სტამბოლში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე შეძლებენ.

*24 საათი*

## ბენდუქიძის არაპოპულარულ ნაბიჯს ანტიმონოპოლიური სამსახური უპირისპირდება

ეთერ მამულაშვილი

*მალე, შესაძლოა, ეკონომიკური განვითარების მინისტრს ახალი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდეს. ბენდუქიძის მიერ ჩაფიქრებული, სამინისტროს სტრუქტურული რეფორმა მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების ოპტიმიზაციას და თანამშრომელთა საშტატო ერთეულის მნიშვნელოვნად შემცირებას გულისხმობს. მსგავსი არაპოპულარული (თუმცა, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი) ნაბიჯი, ცხადია, მინისტრის არცთუ მაღალ რეიტინგს კიდევ უფრო დაბლა დასწევს. ბენდუქიძის ოპონენტთა რიგებს 121-კაციანი ანტიმონოპოლიური სამსახური თითქმის უკვე შეუერთდა. ეკონომიკური განვითარების მინისტრს გადაწყვეტილი აქვს ხსენებული სამსახურისა და ფასების ინსპექციის შერწყმა და, როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარიაძე ირწმუნება, ოპტიმიზაციის შედეგად, ამ უწყების თანამშრომელთა რიცხვი 98 პროცენტით შემცირდება.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ილია ზაქარიაძე: "მსგავსი ბრალდებები მაშინ ისმის ხოლმე, როცა სამსახურის გაუქმება, ან ამ სამსახურში ახალი კაცის დანიშვნა სურთ".*

- დღეს ანტიმონოპოლიურის გაუქმებაზე საუბარი, მართალია, ღიად და პირდაპირ არ მიმდინარეობს, მაგრამ ის, რასაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აპირებს, ამ სამსახურის ლიკვიდაციის ტოლფასია. ბენდუქიძის უწყებამ ორი მაკონტროლებელი ორგანოს, ანტიმონოპოლიურისა და ფასების სახელმწიფო ინსპექციის გაერთიანებაზე სიტყვიერი დირექტივა უკვე გასცა, რის შემდეგ ახალი სტრუქტურა 7-8 საშტატო ერთეულით ჩამოყალიბდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაკთა რიცხვი, დაახლოებით, 98 პროცენტით შემცირდება. შვიდკაციანი სამსახური არ შეიძლება იყოს სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურა, ის შეიძლება იყოს კომისია. საერთოდ, საკითხის დასმაც კი, უნდა არსებობდეს თუ არა ანტიმონოპოლიური სამსახური, რბილად რომ ვთქვათ, სისულელეა. დღეს ჩვენი სამსახური მთელ რიგ კანონებს კურირებს. მათ შორის კანონი რეკლამის შესახებ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, კონკურენციისა და ანტიმონოპოლიური საქმიანობის შესახებ, ქართული ნიშანდების შესახებ და სხვა. თუკი მომავალში ეს სამსახური არ იარსებებს, საკითხავია, მაშინ ვინ უნდა გაუწიოს კურატორობა ამ კანონებს? თუ, საერთოდ აღარ უნდა ვაკონტროლოთ აღარც რეკლამა, აღარც კონკურენცია, აღარც მომხმარებელი? გარდა ამისა, თავის დროზე, ამ სამსახურის შექმნაზე ძალიან დიდი ენერგია და საერთაშორისო ორგანიზაციების ფული დაიხარჯა, მათ შორის - მსოფლიო ბანკის, ტასისის ფონდის. წლების განმავლობაში მსგავსი ფონდები თანხებს იმიტომაც გამოგვიყოფდნენ, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა - მის წევრ და წევრ-კანდიდატ ქვეყნებში აუცილებლად უნდა არსებობდეს ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის რეგულირება.

**- ეკონომოკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ რეორგანიზაციის შედეგად მოხდება კადრების შემცირება და არა მთლიანად სამსახურის ლიკვიდაცია.**

- ამხელა მაკონტროლებელი სამსახურის ფუნქციების გადანაწილება შვიდ კაცზე წარმოუდგენელია და აბსურდი. შვიდკაციანი სამსახური ყველა იმ ფუნქციისა და ვალდებულების შესრულებას, რაც კანონმდებლობით დღეს ანტიმონოპოლიურს აქვს დაკისრებული, ვერ შეძლებს. მაშინ, უნდა შეიქმნას არა სამსახური, არამედ რაღაც პატარა კომისია, რომელსაც ახლო მომავალში ეყოლება 100-150 კაცი, ხელშეკრულებით მომუშავე. არ მესმის, ამ სამსახურში თუნდაც ბუღალტერი არ უნდა იყოს? ან კადრები? ჩვენი გათვლებით, ანტიმონოპოლიური სამსახურის საშტატო ერთეულის ოპტიმალური რაოდენობა შეიძლება 61 იყოს, უფრო ნაკლები წარმოუდგენელია. აქედან 30 - ცენტრალურ აპარატში იმუშავებს, დანარჩენი 31 - რეგიონებში. დღეს ანტიმონოპოლიურის თანამშრომელთა რაოდენობა 121-ია. ნებისმიერ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში ანტიმონოპოლიური სამსახური არსებობს, თანაც, სულ მცირე, 40-50-კაციანი საშტატო ერთეულით. უმრავლეს ქვეყნებში ჩვენნაირი სამსახური, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ისე ფუნქციონირებს, მაგალითად: ესტონეთში - 47-კაციანი შტატით, ლატვიაში - 46, უკრაინაში - 800.

**- თქვენი ოპონენტები ხშირად ანტიმონოპოლიური სამსახურის უმოქმედობაზე მიუთითებენ, მსგავსი ბრალდებები რამდენჯერმე ეკონომიკის მინისტრისგანაც გაისმა.**

- მსგავსი ბრალდებები, როგორც წესი, მაშინ ისმის, როცა რომელიმე სამსახურის გაუქმება წინასწარ აქვთ ჩაფიქრებული, ან როცა ამ სამსახურში ახალი კაცის დანიშვნა სურთ. რაც შეეხება ჩვენს სამსახურს, ნოემბრის რევოლუციის შემდეგ დროდადრო სულ მუსირებს აზრი, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა გაუქმდეს. ჩემს წინამორბედს ეუბნებოდნენ, რომ სამსახურში სასწრაფო რეორგანიზაცია უნდა დაიწყოს. ყოველივე ამან გარკვეული გაურკვევლობა წარმოქმნა სამსახურის თანამშრომლებს შორის, რაც დღესაც გრძელდება. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა უნდათ ჩვენგან. ამ პირობებში, მითხარით, როგორ უნდა ვიმუშაოთ, როცა არ ვიცით, რას მოითხოვენ ჩვენგან? ყოველივე ამის ფონზე, სამსახურის საქმიანობა, გარკვეულწილად, მეორეხარისხოვანი გახდა. ამ გაურკვევლობამ ჩვენს მუშაობას რაღაც დაღი, ალბათ, დაასვა, თუმცა გარკვეული ტემპებით მაინც განვაგრძობთ საქმიანობას.

**- უფრო კონკრეტულად, რას აკეთებს დღეს ანტიმონოპოლიური სამსახური?**

- ამ ცოტა ხნის წინათ მოვმზადეთ კანონში შესატანი ცვლილებათა კანონპროექტი, რაც, პირველ რიგში, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას გულისხმობს. კანონპროექტი ცალკეული სამინისტროებისა და კომპეტენტური პირების მიერ დადებითად შეფასდა.

გარდა ამისა, გრძელდება სასამართლო პროცესები "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიასთან", "ავიასაწვავსერვისთან" და "აიეტთან", სადაც ძალიან ბევრი საინტერესო და ახალი დეტალები გამოიკვეთა. ამჟამად ვსწავლობთ "საქაერონავიგაციას", არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ თვითმფრინავის ბილეთების გაძვირებაში წვლილი ამ ორგანიზაციას მიუძღვის. სამწუხაროა, რომ ამ საკითხებით არავინ დაინტერესდა, ყველა ჩაიციკლა იმ აზრზე, რომ სამსახური შვიდკაცამდე უნდა დავიდეს.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** გუშინ ქუთაისში საჯარო აუქციონი ჩატარდა, რომელზეც ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელთა სამსახურებრივი მანქანები იყო გატანილი გასაყიდად. ქუთაისის მერის "მერსედეს-ბენცი" - 16 000 დოლარად, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის "ჰიუნდაი კლარუსი" 10 000 დოლარად იყო შეფასებული, თუმცა დღეს მათ მყიდველი არ გამოუჩნდათ. აუქციონზე მხოლოდ ქალაქის ვიცე-მერების ორი "მერსედესი" გაიყიდა, ერთი - 2200, მეორე კი 2700 აშშ დოლარად. ქუთაისის მერის გია გიორგაძის განმარტებით, მერიამ მანქანების გაყიდვა იმ მიზნით გადაწყვიტა, რომ თვითმმართველობამ უფრო იაფი სატრანსპორტო საშუალებები შეიძინოს და დანაზოგი თანხა სხვადასხვა პროექტებს მოახმაროს. განმეორებითი აუქციონი უახლოეს დღეებში დაინიშნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის ფარგლებში, ამჟამად, მიმდინარე წლისთვის გათვალისწინებული სამუშაოების 75 პროცენტია შესრულებული. კონკრეტულად, საქართველოს მონაკვეთზე სამუშაოთა 74 პროცენტი დასრულდა, ამდენივეა თურქეთის მაჩვენებელიც, აზერბაიჯანის მონაკვეთზე კი ამ ციფრმა 80 პროცენტი შეადგინა. უკვე შედუღებულია ნავთობსადენის მილის 1.487 კილომეტრი, გრუნტში ჩაშვებულია 798 კილომეტრის სიგრძის მილი. რაც შეეხება ფინანსურ დანახარჯებს, საერთო ხარჯებმა 2 მილიარდი დოლარი შეადგინა, პროექტის ფარგლებში გაფორმებული კონტრაქტების მოცულობა კი დაახლოებით 2,7 მილიარდია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბორჯომის სატყეო მეურნეობაში გავრცელებულ მავნე მწერ ქერქიჭამიას წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს მსოფლიო ბანკი დააფინანსებს. თანხის გამოყოფის შესახებ მსოფლიო ბანკმა თანხმობა უკვე განაცხადა. 300 ათასი დოლარი შესაბამისი ბიოლოგიური მედიკამენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაიხარჯება. მავნებლების წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად ოპტიმალური პერიოდია გაზაფხული, თუმცა, თანხის მიღებისთანავე აქტიური მუშაობა შემოდგომაზეც დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ლონდონი.** ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე აგვისტოს ვაჭრობა ნავთობის ფასების დაწევით დაიწყო. ამ დროისთვის ნავთობის ფასი შეადგენს 42.36 დოლარს ერთ ბარელზე, რაც 33 პუნქტით ნაკლებია წინა დღის მაჩვენებლებზე (42.68 დოლარი). ექსპერტთა განცხადებით, ნავთობის ფასების დაწევა, გარკვეულწილად, გამოიწვია იმან, რომ ვენესუელაში - მსოფლიოში ნავთობის ექსპორტის თვალსაზრისით, მეხუთე ქვეყანაში - ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად პრეზიდენტი უგო ჩავესი პოსტს ინარჩუნებს. **მედია-ნიუსი**


ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი უჯვე წლიური 13%-დან

გრძელვადიანი უჯვე წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

უჯვე წლიური 17%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ქავთარაძის გამზ. 58

# ამერიკელი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდებიან

ლევან ბელაშვილი


REUTERS

2006 წლიდან ამერიკელ ჯარისკაცებს სამშობლოში დააბრუნებენ.

პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, აშშ უახლოეს ათ წელიწადში საზღვარგარეთ დისლოცირებულ 70 ათას სამხედრო მოსამსახურესა და დაახლოებით 100 ათასამდე სამოქალაქო პირს შინ დააბრუნებს. შემცირება, პირველ რიგში, გერმანიასა და აღმოსავლეთ აზიაში განთავსებულ გარნიზონებს შეეხება. ვაშინგტონს, ამგვარად, ანტიტერორისტულ ომში სახსრების დაზოგვა და არმიის მანევრირების გაუმჯობესება აქვს გამიზნული. თუ არ ჩავთვლით ერაყში დისლოცირებულ ნაწილებს, დღეისათვის, ქვეყნის საზღვრებს მიღმა, 250 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი მსახურობს.

ორშაბათს ცინცინატში (ოჰაიოს შტატი) გამართულ სამხედრო ვეტერანთა კოგრესზე ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ სამშობლოში 60-დან 70 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდება. ჯარების გამოყვანის გეგმის დეტალები ბუშს არ დაუსახელებია, თუმცა, სამთავრობო წრეებიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვაშინგტონი გერმანიაში (70 ათასი), სამხრეთ კორეასა (40 ათასი) და იაპონიაში (40 ათასი) სამხედრო კონტინგენტის კარდინალურად შემცირებას აპირებს. აღნიშნული გეგმის განხორციელება 2006 წლიდან დაიწყება.

ბუშის განცხადებას დიდი ხანია ელოდნენ. ბერლინის კედლის რღვევამდე, ოკეანის მიღმა ამერიკული შეიარაღებული ძალების დისლოცირება გარკვეულწილად მთავარი მეტოქის - საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტური მოკავშირეების არსებობით იყო განპირობებული. 15 წლის შემდეგ კი, პენტაგონში გერმანიაში სახმელეთო დივიზიების არსებობას განსაკუთრებულ ანაქრონიზმად მიიჩნევენ. აღნიშნული დივიზიები საბჭოთა კავშირის მხრიდან ატლანტიკის მიმართულებით სატანკო შეტევის მოსაგერიებლად იყო განკუთვნილი.

სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ახალი გამოწვევები მობილური კონტინგენტის არსებობას მოითხოვს, რომელთა კრიზისულ რაიონებში (ახლო აღმოსავლეთი, ავღანეთი და ა.შ) გადასროლაც ოპერატიულად განხორციელდებოდა. ამიტომ, უკან გასაწვევი ჯარების ნაწილი, შესაძლოა, აღმოსავლეთ ევროპის შედარებით მცირე სამხედრო ბაზებზე იქნას განთავსებული. თუმცა, ამ მხრივ კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერჯერობით მიღებული არ არის. სამხედრო შენაერთების რედისლოკაციის გეგმის ერთ-ერთ ვარიანტის თანახმად, რომელიც უკვე ივნისში გახდა ცნობილი, საუბარი შპანგდალემში განთავსებული F-16 ტიპის სამხედრო თვითმფრინავების ავიაპოლკის თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ინჟირლიკის სამხედრო ბაზაზე გადასროლას ეხებოდა. სანაცვლოდ, 1-ლმა ჯავშანსატანკო დივიზიამ და 1-ლმა ქვეითმა დივიზიამ მოდერნიზებული ჯავშანტრანსპორტიორები მიიღეს. როგორც ჩანს, ერაყის კამპანიის მიმართ გერმანიის პოზიციისადმი აშშ-ს უკმაყოფილებამ ჯარების შემცირების გადაწყვეტილებაზე გარკვეული, თუმცა არა გადამწყვეტი, როლი ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიამ ომში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, შეერთებულ შტატებს გერმანიის ტერიტორიიდან თავისი შენაერთების სპარსეთის ყურეში თავისუფლად გადასროლა და გერმანიის საჰაერო სივრცის გამოყენება შეეძლო. თუმცაღა, აშშ ვერც იმას გამორიცხავს, რომ მისი საომარი გეგმების მიმართ წინააღმდეგობა, შესაძლოა, გაიზარდოს.

პირველ გეგმაში ბუშმა ხაზგასმით აღნიშნა ის უპირატესობები, რაც ჯარების გამოყენების უფრო დიდ მოქნილობასა და ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, ვეტერანებთან შეხვედრის დროს აშშ-ს პრეზიდენტმა მოიყვანა არგუმენტი, რომ საზღვარგარეთ ჯარების შემცირება სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ცხოვრებას მნიშვნელოვნად გააიოლებს.

ჯორჯ ბუშის გეგმებს პრეზიდენტობის დემოკრატი კანდიდატის ბანაკის მხრიდან მყისიერი კრიტიკა მოჰყვა. ჯონ კერის მრჩეველმა, ცნობილმა დიპლომატმა რიჩარდ ჰოლბრუკმა განაცხადა, რომ უცხოეთიდან ჯარების გამოყვანა ამერიკის ეროვნულ ინტერესებს დიდ ზიანს აყენებს და მოკავშირეებთან კავშირს ასუსტებს, მაშინ, როდესაც ამგვარი კავშირები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჰოლბრუკმა სამხრეთ კორეაში სამხედრო კონტინგენტის შემცირება, სამხრეთ კორეის ბირთვული პოტენციალის გათვალისწინებით, უბრალოდ უპასუხიმგებლო გადაწყვეტილებად მიიჩნია. ამასთან, მან საეჭვოდ ჩათვალა, რომ რეორგანიზაცია სახსრების დაზოგვას შეუწყობს ხელს.

თუმცა, აშშ-ში ამერიკელი ჯარისკაცების დაბრუნების გეგმას, შესაძლოა, მხოლოდ იმიტომ დაუჭირონ მხარი, რომ ადგილობრივი სამხედრო ბაზების მოწყობა ზოგიერთ რეგიონს თავად დიდ პრობლემებს უქმნის.

# ებრაული დასახლების სამშენებლო სამუშაოები განახლდება


REUTERS

შარონი კრიტიკოსების გულის მოგებას ებრაული დასახლების სამშენებლო სამუშაოების განახლებით ცდილობს

აშშ-ს დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ისრაელის ხელისუფლებამ მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე ებრაულ სექტორში ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლის აშენების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ცნობილია, აშშ-ს გეგმის მიხედვით, რომლის სახელწოდებაცაა "საგზაო რუკა", ახლო აღმოსავლეთში ვითარების სამშვიდობო გზით რეგულირებისთვის აუცილებელია დასახლებული პუნქტების გაფართოების პროცესის გაყინვა. ისრაელის ხელისუფლება, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ სამშენებლო სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით მიღებული ამჟამინდელი გადაწყვეტილება სამშვიდობო გეგმას არანაირად არ უპირისპირდება. თუმცა, პალესტინელები სხვაგვარად ფიქრობენ და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამ, შესაძლოა, მათი ძლიერი გაღიზიანებაც გამოიწვიოს. სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ისრაელის მმართველი პარტიის "ლიკუდის" კონფერენციამდე იქნა მიღებული. ამ კონფერენციაზე კი არიელ შარონს საკმაოდ რთული საუბარი ელის დელეგატებთან. "ლიკუდის" მრავალი წევრი მას იმის გამო აკრიტიკებს, რომ იგი ღაზის სექტორიდან ებრაული დასახლების გამოყვანაზე დათანხმდა და იმავდროულად ოპოზიციურ შრომის პარტიასთან კოალიციიის ფორმირების შესახებ აწარმოებს მოლაპარაკებებს. მოლაპარაკებების დაწყება მას შემდეგ გადაწყდა, რაც მმართველ პარტიას კნესეტში მხარდაჭერა მკვეთრად შეუმცირდა. სწორედ ამიტომ, ისრაელში ბევრი მიიჩნევს, რომ ებრაულ დასახლებებში სამშენებლო სამუშაოების განახლების გადაწყვეტილება კრიტიკოსების დამშვიდებას ემსახურება.

*24 საათი*




# ვაშინგტონისა და პეკინის "სინქრონული" დიპლომატია

## აშშ-სა და ჩინეთს ერთნაირად აღელვებთ "იუკოსის" ბედი

*თანამედროვე მსოფლიოში დროდადრო დგება მომენტები, როდესაც ერთი შეხედვით დაპირისპირებულ მხარეებსაც ერთგვარ პოზიციებზე უწევთ ხოლმე დგომა. ასეთი დამთხვევები, ზოგი ანალიტიკოსის თქმით, საერთაშორისო სისტემაში"ტექტონიკურ რყევებსაც" კი იწვევს.*

ნიკა თარაშვილი

ბევრმა არ მიაქცია ყურადღება ბოლოდროინდელ ფაქტს, როდესაც აშშ-სა და ჩინეთის პოზიციები ერთი და იგივე საკითხთან მიმართებაში ანალოგიური იყო. ასეთი შემთხვევები არცთუ ხშირია და, ბუნებრივია, ყურადღებას იმსახურებს.

საქმე რუსული ნავთობგიგანტის, "იუკოსის" გარშემო განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა. ჩინეთმა და აშშ-მ თითქმის ერთდროულად განუცხადეს რუსეთს, რომ მოსკოვი უფრო მეტი პასუხისმგელობით უნდა მიუდგეს "იუკოსის" საქმეს და მათ ქვეყნებში ნავთობკომპანიის მიერ ნავთობის შეუფერხებელი მიწოდების გარანტი უნდა იყოს.

ამგვარ "სინქრონიზებულ" დიპლომატიას მნიშვნელობას, მატებს ის ფაქტიც, რომ უეჭველია, ეს ორი ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ შეთანხმებულ მოქმედებას არ აპირებდა და ძნელად სავარაუდოა, უახლოეს მომავალში გაუჩნდეთ ამის სურვილი. უბრალოდ, ორი ქვეყნის პრიორიტეტთა თანხვედრა მოხდა. რასაკვირველია, ვაშინგტონსაც და პეკინსაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ და მათი მიზანი ერთიანი ფრონტით გამოსვლა სულაც არ ყოფილა. კონკრეტულ მომენტში პრიორიტეტები დაემთხვა, რამაც ქვეყნები აიძულა, ერთმანეთთან შეუთანხმებლად, მაგრამ პრაქტიკულად ერთდროულად გაეგზავნათ მოსკოვისათვის სიგნალი, რომ იმ პერიოდშიც კი, სანამ პუტინი "იუკოს"-ის პრობლემას წყვეტს, ზოგიერთის მტკიცებით კი მის ყოფილ ხელმძღვანელთან თავის ანგარიშებს ასწორებს, არ უნდა იქნას დავიწყებული აშშ-სა და ჩინეთის ინტერესები, და რაც უფრო მთავარია, ამ ინტერესებს კრემლმა შესაბამისი პატივი უნდა მიაგოს.

უფრო მეტი სიზუსტისათვის აღვნიშნავთ, რომ დღეს "იუკოსის" წილი ჩინეთის ბაზარზე 3,6 პროცენტს შეადგენს და ყველა პირობა არსებობს, იგი გაიზარდოს. სხვათა შორის, ხოდორკოვსკის დაკავებამდე, ჩინეთის მიმართულებით რუსული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი ფრიად აქტიურად განიხილებოდა და ამის ინიციატორად სწორედ ზემოთ დასახელებული რუსი ბიზნესმენი გამოდიოდა.

აშშ-ს ინტერესებიც თვალსაჩინოა. ვაშინგტონს ერაყში გართულებული ვითარების თანმდევ ნავთობის გაძვირებასთან ერთად არაფრად ეპიტნავება ახლა უკვე "იუკოსის" გამო არარეალურ ღირებულებამდე "ავარდნილი" "შავი ოქროს" ფასები.

ნიშანდობლივია, რომ დღემდე ნათელი არ არის, თუ რა გზით წავა ჩინეთი. დაიკავებს თუ არა იგი აშშ-სადმი მკვეთრად ანტაგონისტურ პოზიციას, თუ ჩინეთის პოლიტიკური იმპერატივები ვაშინგტონის ინტერესებს ერთგვარად შეავსებს.

ისინი, ვისაც ძალიან უყვარს საერთაშორისო ურთიერთობების "დიდ თამაშთან" გაიგივება, უკვე აყენებენ საკითხს - საჭიროა თუ არა ჩინეთის მზარდი ამბიციების, როგორც ამერიკის ინტერესებისადმი საფრთხის "შეკავება"? მართალია, 11 სექტემბერმა და მისმა თანმდევმა მოვლენებმა ცოტა შეანელა ეს კამათი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს შეშფოთება (თუ გაღიზიანება არა) იმის გამო, რომ საბოლო ჯამში მსოფლიო ჰეგემონი ჩინეთის პირისპირ მარტო აღმოჩნდება.

ისინი, ვისაც არ უყვარს ჩინეთი, ვერ ხვდებიან, რომ ჩინეთის ზე-სახელმწიფოდ ჩამოყალიბება მხოლოდ და მხოლოდ აშშ-სა და განვითარებულ ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობით არის შესაძლებელი. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური ზრდა თავის მხრივ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლეგიტიმურობასაც ზრდის. მიამიტობაა იმის მტკიცება, რომ ჩინეთში რამდენიმე მობერებული რევოლუციონერის გარდა ვინმეს კიდევ სჯერა, თითქოს მარქსიზმის, ლენინიზმის და მაოიზმის პოსტულატებით სიარულია ერთადერთი გზა პროგრესისკენ. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჯერჯერობით ერთი ასეთი რევოლუციონერი, ძიან ძემინის სახით, ფაქტობრივად, კვლავაც განაგრძობს ქვეყნის მართვას. მაგრამ დრო გადის და "ახალ კომუნისტებს" უფრო მეტად პრაგმატული მოსაზრებები ამოძრავებთ. ჩინელები ხვდებიან, რომ თუ ვერ მოახერხეს თავისი პროდუქციის გასაღების ბაზრისა და დასავლური განათლების ახალგაზრდების დასაქმება, ჩინეთი ვერ გადავა განვითარებადი ქვეყნების ბანაკიდან განვითარებულებში. ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად კი დასავლეთთან თანამშრომლობის გაღრმავებაა აუცილებელი.

სტაბილური ახლო აღმოსავლეთი მათთვისაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აშშ-სთვის. პოზიციები ემთხვევა რუსეთთან დაკავშირებითაც, - არც ერთს არ სურს, უმართავი რუსეთი იხილოს; პირიქით, მათ ისეთი რუსეთი უნდათ, რომელთანაც ბიზნესის კეთება არ გაუჭირდებათ. ასევეა სხვა საკითხებშიც. მაგალითად, პეკინი ძლიერაა შეშფოთებული ისლამური ექსტრემიზმით, როგორც თავად ჩინეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. პეკინი იმასაც უნდა ხვდებოდეს, რომ ჩრდილოეთ კორეა მისი ამბიციებისთვის უფრო წარმოადგენს საფრთხეს, ვიდრე აშშ-ს ეროვნული ინტერესებისთვის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სერიოზულად ადარდებს პეკინს, აშშ-ს საზღვაო ძალების რეგიონში ყოფნაა. ამერიკული ფლოტი ერთ მხრივ საფრთხეა ჩინეთისათვის და არ აძლევს ტაივანის პრობლემის მისებური გადაწყვეტის საშუალებას. მაგრამ, მეორე მხრივ, აშშ-ს საზღვაო ძალების ყოფნა რეგიონში იაპონიის სამხედრო გაძლიერებასაც არ დაუშვებს. აქამდე ჩინეთის მთელი ძალისხმევა სწორედ იაპონიის შეკავებისკენ იყო მიმართული.

"იუკოსთან" დაკავშირებულმა სიტუაციამ გვიჩვენა, რომ ჩინელები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებში სულაც არ აპირებენ მაყურებლის როლში ყოფნას, პირიქით, ისინი კატეგორიულებიც კი იქნებიან. ფაქტია, აშშ-სა და ჩინეთის ინტერესების თანხვედრა დღეს უკვე სახეზეა. შემდგომი თანხვედრა მაშინ იქნება, როდესაც ჩინეთი მიხვდება (ის კი აუცილებლად უნდა მიხვდეს), რომ პეკინისთვის ისეთი საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ჩინეთის ინტერესების რეალიზაციას შეუწყობს ხელს, უკიდურესად აუცილებელია.

ვაშინგტონში საარჩევნო ციებცხელებაა და ცოტა თუ აქცევს ჯეროვან ყურადღებას პეკინის პოლიტიკურ ელიტაში გაჩენილ განწყობას. ჩინეთში კი, მართალია, არჩევნების საკითხი არ ანაღვლებთ, მაგრამ ძველი ინერციით მაინც არ ძალუძთ, საჯაროდ განაცხადონ ამგვარი ურთიერთობებისადმი მზადყოფნის შესახებ.

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION SDC
COORDINATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2004 წლის 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე: *http://www.gfsis.org/cabir*

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობას თბილისში. მისამართი: რადიანის ქუჩა 12 (გამსახურდიას ძეგლთან, ყოფილი ბარნოვის მეოთხე ჩიხი). ტელ.:25-36-82/83. ელ-ფოსტა: tbilisi@sdc.net

# ევროკომისიაში ცვლილებებია

გასულ კვირას ევროკომისიის ახალმა პრეზიდენტმა ხოსე მანუელ დურაო ბაროსომ პრესას ევროკომისიის წევრობის 24 კანდიდატის გვარი გააცნო. ევროკომისიის წევრები, ევროპარლამენტის თანხმობის შემთხვევაში, 1 ნოემბრიდან შეუდგებიან თავისი ფუნქციების შესრულებას. მისი თქმით, ყველა ევროკომისარს თანაბარი უფლებები ექნება, ანუ არ იქნებიან პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ევროკომისრები. შეგახსენებთ, ევროკავშირის ყველა წევრი-სახელმწიფო თითო ევროკომისრით არის წარმოდგენილი გაერთიანების აღმასრულებელ ორგანოში.

ამასთანავე ცნობილი გახდა, რომ ევროკომისიას ხუთი ვიცე-პრეზიდენტი ეყოლება, რომლებიც ამავე დროს, ევროკომისრების მოვალეობასაც შეასრულებენ. აღსანიშნავია, რომ ვიცე-პრეზიდენტებიდან არც ერთი არ გაუწევს საგარეო ურთიერთობებს კოორდინაციას. ბატონი ბაროსოს განაცხადებით, საგარეო ურთიერთობით დაკავებულ ევროკომისრებს იგი, ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან, ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, ბატონ ხავიერ სოლანასთან ერთად, კურირებას უშუალოდ გაუწევს. ევროკომისიის პრეზიდენტი პირადად უხელმძღვანელებს ევროკომისართა იმ ჯგუფსაც, რომელიც ლისაბონის სტრატეგიის რეალიზაციით იქნება დაკავებული.

ორგანიზაციის გაფართოების საკითხებზე მომუშავე ევროკომისარ ფერჰოიგენზე საუბრისას, ბატონმა ბაროსომ განაცხადა, რომ იგი ყველაზე გამოცდილი ევროკომისარია, ამიტომ, მეწარმეობისა და მრეწველობის საკითხებში ევროკომისრის ფუნქციების შესრულების გარდა მას, როგორც ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს, ანტიმონოპოლიური საბჭოს ექვსი ევროკომისრის საქმიანობის კოორდინირებაც დაევალება.

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

ბოლო დროს ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენები და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ გატარებული კურსი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ რუსეთი კვლავ ორმაგი სტანდარტის პოლიტიკით ცდილობს მსოფლიო თანამეგობრობის თვალში ნაცრის შეყრას და საქართველოს სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნისთვის ძირის გამოთხრას.

12 წლის მანძილზე ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში კი - 10 წლის მანძილზე მინიჭებული მშვიდობისმყოფელის მანდატი რუსეთმა მხოლოდ სეპარატისტული რეჟიმების დასაცავად და ამ ტერიტორიების ანექსიისათვის გამოიყენა.

ამავე მიზანს ემსახურება რუსეთის მიერ საქართველოს ამ რეგიონების მოსახლეობისათვის საკუთარი მოქალაქეობის მინიჭება და პასპორტიზაცია, თითქოს იმ მოტივით, რომ იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე დაუცველ მდგომარეობაში მყოფთა მიმართ სამართალმემკვიდრეობის პრინციპს ახორციელებს, მაშინ, როდესაც ის კატეგორიულად გაურბის თურქ-მესხთა მიმართ იგივე პროცედურას. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილის საკუთარ მოქალაქეებად გამოცხადებას რუსეთი იყენებს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბად და ამით საკუთარ თავს რეალურად თავადვე წარმოაჩენს კონფლიქტის მხარედ, რაც მას, საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, ართმევს სამშვიდობო მისიის შესრულების უფლებას.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო წლების მანძილზე კატეგორიულად ითხოვდა რუსეთისათვის, როგორც კონფლიქტის მხარისათვის, სამშვიდობო მანდატის შეწყვეტას და სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას, მაგრამ ჩვენი ეს მოთხოვნა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების არაეროვნული პოლიტიკის პირობებში არ იქნა გაზიარებული.

მოსალოდნელია, რომ საქართველოს პარლამენტმა თავის განცხადებაში, მისცა რა პრინციპული შეფასება რუსეთის პოზიციას, მიიჩნია იგი კონფლიქტის მხარედ და მოითხოვა ე.წ. მშვიდობისმყოფელებისათვის მანდატის შეცვლა და ახალი, საერთაშორისო მანდატის შემუშავება, არსებული ძალების ჩანაცვლება საერთაშორისო კონტინგენტით.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭო თვლის, რომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მოთხოვნათა რეალიზაცია, ვინაიდან რუსეთის "სამშვიდობოების" ცხინვალსა და აფხაზეთში ყოფნას ყოველ დღეს მოაქვს ახალი მსხვერპლი და სიტუაციის კიდევ უფრო მეტად ესკალაცია, რაზეც კონკრეტული ფაქტები მეტყველებენ. მხოლოდ გალის რაიონში, რუსი ცისფერჩაფხუტიანების მოქმედების ზონაში, აფხაზეთში ომის შეწყვეტის შემდეგ წამებით არის მოკლული და დახვრეტილი 2000-ზე მეტი ადგილობრივი მკვიდრი, უგზო-უკვლოდ დაკარგულია 600-ზე მეტი ადამიანი. ეს ციფრი აღემატება ომის დროს ქართული ქალაქების მასირებული დაბომბვებისას დაღუპული მშვიდობიანი მოსახლეობის რიცხვს.

დროა, საქართველოში გაღვივებულ კონფლიქტებს დაერქვას თავისი სახელი. არც აფხაზეთი და არც ცხინვალი არ არის ეთნიკური დაპირისპირების ნიადაგზე გაჩენილი ცხელი წერტილები. ორივე მათგანი რუსეთისგანაა ინსპირირებული და კატეგორიულად მოვითხოვთ რუსეთის, როგორც კონფლიქტის მხარის წარმოჩენას და მაშინ, გაეროს წესდების 27-ე მუხლის თანახმად, ის ვერ გამოიყენებს ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, რაც უპირველესად სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას გულისხმობს. ამასთან, როგორც სტრასბურგის ევროპულ, ისე ჰააგის სასამართლოზე რუსეთს პასუხისმგებლობის მთელი კასკადი დაეკისრება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მისსავე განცხადებაში დაფიქსირებული მოთხოვნა სასწრაფოდ ჰპოვებს რეალიზებას ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის ეფექტიანმა რეაგირებამ უნდა განამტკიცოს.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია*

# მე მომხრე ვარ!

*"ვარდების რევოლუციის" შემდეგ ჩინოვნიკების შემოწმებამ, ნარკოტიკებისადმი "მგრძნობელობაზე", პერმანენტული ხასიათი მიიღო, თუმცა ბევრისთვის ამ ნამდვილად უსიამოვნო მოულოდნელობას ისეთი ვნებათაღელვა არსად მოჰყოლია, როგორიც დედაქალაქის მერიაში. ექვსი დადასტურებული მომხმარებელი და ექვსი განცხადება ზურაბ ჭიაბერაშვილის მაგიდაზე; ხმაურიანი გაწევ-გამოწევა მერის მისაღებში, ღია სატელევიზიო ახსნა-განმარტებები და სასამართლოში ჩივილის სახალხო დაქადნებები, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად - ასეთია ამ სამი დღის მოკლე ქრონიკა. უფრო ღრმად კი, იქ, საიდანაც ზედაპირი ბუნდოვნად მოჩანს, სულ სხვა ვნებები ბობოქრობს.*

მაკა ჭაიანი

უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოში 150 000 ნარკომანია. მათი გვარებისა და სახელების გარკვევა, სიმართლე გითხრათ, არასდროს მიცდია. იმიტომ არა, რომ ნარკომანია, როგორც პრობლემა, არ მაინტერესებს, ან ამ ადამიანებისთვის სათქმელი არაფერი მაქვს. იმიტომ, რომ არ მგონია, ჩემს ნათქვამს მათზე გავლენის მოხდენა შეეძლოს. სამწუხაროდ, ზღვარი, რომლის მიღმაც ისინი აბიჯებენ, ყველაზე ძვირფასი ადამიანების სათქმელსაც ისხლიტავს. არც ამჯერად მაინტერესებს, ვინ არის ის ექვსი, რომელმაც გუშინ თბილისის მერის მაგიდაზე გათავისუფლების შესახებ განცხადება დადო. ჩემთვის მთავარია, ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანები სახელმწიფო, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არ იყვნენ. მიზეზი ობიექტურზე ობიექტურია - ნარკომანი, განურჩევლად იმისა, ეწევა, ყლაპავს, ყნოსავს თუ იკეთებს, ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელია და მისი ეს მდგომარეობა, სამწუხაროდ, მზარდად რეგრესულია.

ნარკოტიკების გამოყენების პირობებში, ადამიანს, სხვადასხვა შემთხვევაში, ახასიათებს იძულებითი, დაუოკებელი ლტოლვა ნარკოტიკებისადმი, რომელიც ნარკოტიკის ხმარების შეწყვეტის შემდეგ ძლიერი ფსიქიკური აშლილობით გამოიხატება; აწეული გუნება-განწყობილება, უდარდელი კმაყოფილება, პასიური სიხარული, უშფოთველი განცხრომა; დაქვეითებული, დათრგუნული განწყობილება, ინტელექტუალური და მოტორული (მოძრაობის) შეკავება, ყველაფრის მომცველი, გადაულახავი სევდა, კაეშანი; გაუკუღმართებული აღქმა, რომელიც რეალური ობიექტის გარეშე აღმოცენდება და პიროვნების მიერ განიცდება, როგორც ობიექტური სინამდვილე (ხილვები, მოჩვენებები, მოჩვენებითი ბგერები, ხმები, სუნი და ა.შ.)... საკითხისადმი ობიექტური მიდგომისთვის ყველაფერის ეს საკმარისი უნდა იყოს. არ მგონია, ვინმეს ჰქონდეს სურვილი, მისი და მისი ქალაქის, ქვეყნის ბედს ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები წყვეტდნენ.

ცალკე თემაა პრობლემა, რომელიც ნარკოტიკზე დამოკიდებულის ფულთან დამოკიდებულებაში იჩენს თავს. იმ კოშმარის შესაჩერებლად, რომელსაც წამალზე მიჯაჭვულობა იწვევს, ნარკომანი ყველაფერზე წავა - სხვაგვარად მას არ შეუძლია, საკუთარ თავს ის უკვე აღარ ეკუთვნის. ამიტომ, და კიდევ იმის გამო, რაც ზემოთ მოგახსენეთ, იმას, რაც თბილისის მერიაში და სხვა უწყებებში ხდება, მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. თუ ქალაქის მერს დღეს ამ საქმის ხმაურით, ჟურნალისტების თანდასწრებით გაკეთება უხდება, რას ვიზამთ. იმედი ვიქონიოთ, რომ ნარკომანიისადმი დამოკიდებულებაში საზოგადოება მოსეირის შაბლონს მალე მოიშორებს და ისე შეხედავს ამ საკითხს, როგორც სენს, რომელსაც ჩვენი ძმების, შვილების, ახლობლების ჯანმრთელობა და სიცოცხლე უკანმოუხედავად მიაქვს და, რომელსაც ყველანი ერთად ხელებდაკაპიწებულები უნდა ვებრძოლოთ, თუ მომავლის გადარჩენა გვინდა.

# დავა "ბილბორდების" გამო



*ქალაქის მთავარ მხატვარს ლევან ლომინაშვილს გია ბუღაძის შემოქმედების ეს ნაწილი არ ხიბლავს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თბილისის აეროპორტის მისადგომებთან, არცთუ დიდი ხნის წინათ ქალაქისთვის უჩვეულო ხასიათის სარეკლამო კონსტრუქციები გამოჩნდა. საუბარია ექვს კონსტრუქციაზე ჭაბუკიანის, ბალანჩინის, ახვლედიანის, ფიროსმანის, კაკაბაძის, ფალიაშვილისა და სხვათა ფოტოების თუ შემოქმედების ამსახველ ფრაგმენტებზე, სხვადასხვა სკულპტურული ელემენტებით. მაგალითად - ფირნიშნი, რომელიც გვიამბობს ქართულ მუსიკაზე - ასახავს ოპერას, ზაქარია ფალიაშვილს და ამავდროულად ის გაფორმებულია ვიოლინოს გასაღებით და შვიდმეტრიანი ჩელოთი; სწორედ იმ ჩელოთი, რომელმაც ქალაქის მთავრობაში გაღიზიანება გამოიწვია. კონსტრუქციები არ ატარებს სარეკლამო ხასიათს. მათი კონცეფცია გია ბუღაძეს ეკუთვნის, დამკვეთი კი "საქაერონავიგაცია" და მისი ხელმძღვანელი გიორგი კარბელაშვილია. ამ პროექტს არ იწონებს ქალაქის არქიტექტურის სამსახური. ორი თვის წინათ დანიშნულ ქალაქის მთავარ მხატვარს ლევან ლომინაშვილს გია ბუღაძის შემოქმედების ეს ნაწილი არ ხიბლავს.

**"ასეთი სახის "ბილბორდები" ისეთი ქალაქისთვის, როგორიც თბილისია, მიუღებელია. ისინი ზედმეტად არის გადაპრანჭული - ვგულისხმობ ჩელოსაც,** - აცხადებს ქალაქის მთავარი მხატვარი ლევან ლომინაშვილი, - **პრეტენზია გუდიაშვილთან და ფიროსმანთან არ გვაქვს. არ მოგვწონს ის, თუ როგორ და რა სახით არის გადმოცემული ეს ყველაფერი. ნამუშევარს ეტყობა, რომ არაპროფესიონალის მიერ არის გაკეთებული. გია ბუღაძე, სარეკლამო მხატვრობის თვალსაზრისით, არაპროფესიონალია. მე ამ ადგილზე, ორი თვეა, ვმუშაობ და რეკომენდაციაც გავეცი, რომ გაკეთებულიყო ჩვეულებრივი, ოღონდ მაღალი ხარისხის "ბილბორდი".**

სხვაგვარად ხსნის ყველაფერს გია ბუღაძე: **"კომუნისტების დროს ქუჩებში, ძირითადად, პარტიის დიდებას მოგვიწოდებდნენ. შემდეგ, უცებ საფენებსა და სასმელებზე გადავედით. ჩავთვალე, რომ შეიქმნა ვაკუუმი და თავში მომივიდა ქართული პროფესიული კულტურის შესახებ ინფორმაციის შემცველი "ბილბორდების" განთავსება ქალაქის შემოსასვლელში. ჩავთვალე, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ ყველაფერს გადმოვცემდით არასტანდარტულად, გეომეტრიული ნორმების გარეშე. ვერ გეტყვით, რა პრეტენზია აქვს ქალაქის მთავარ მხატვარს. მე მას ერთხელ შევხვდი და არაფერი უთქვამს. ეტყობა, ის არ მოსწონთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი რეკლამა, ან პოლიტიკური მოწოდება. მინდა, ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ეს რეკლამა არ არის. ეს არის ხელოვნების ნიმუში და, ამასთან, ასახავს ქართული კულტურის ღირშესანიშნავ მომენტებს. ის პრაქტიციზმს არ უსვამს ხაზს, არის თავისუფალი და შინაარსობრივად დატვირთული; თანაც, არც ქანდაკებაა, რომ საუკუნოდ დარჩეს. ის დროებითია და თავის ფუნქციას მოკლე დროში შეასრულებს. საერთოდ, ჩემი აზრით, ეს შესანიშნავი იდეაა და მინდა, დიდ მადლობა გადავუხადო გიორგი კარბელაშვილს, რომ ამ პროექტს მხარი დაუჭირა და, საერთოდ, კულტურას პატივს სცემს".**

*24 საათი*


**Projects Center Georgia**
**(პროჯექტს ცენტრ ჯორჯია)**

**აცხადებს საინვესტიციო პროექტების მიღებას ინდუსტრიის, ტურიზმის და უძრავი ქონების სფეროებში უცხოელი ინვესტორებისათვის.**

**გთხოვთ მოგვაწოდოთ პროექტის აღწერა, ინფორმაცია მფლობელის შესახებ, თანამშრომლობის ან გაყიდვის პირობები და საკონტაქტო პირის ტელეფონი.**

**ტელ: 98-99-66 99-77-10; 8 99 775 775**
**ელ.ფოსტა: cob@gol.ge**


## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს კონკურსს ქალაქ ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული საჰაერო ხომალდ იაკ-42დ საბორტო ნომერი 4L-AAR იჯარით სარგებლობისათვის

საკონკურსო პირობები:

- საწყისი საიჯარო ქირა: ერთ ფრენა-საათზე 600 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 432000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი წელიწადში.

- მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდა;
- მოიჯარემ მეიჯარეს საიჯარო ქირა უნდა გადაუხადოს ყოველთვიურად, შესრულებული ფრენა-საათების მიხედვით რომელთა რაოდენობა თვეში არ უნდა იყოს 60 ფრენა-საათზე ნაკლები, ანუ არანაკლებ 36000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის თვეში;
- თვეში 60 ფრენა-საათზე ზევით შესრულებულ ფრენა-საათებზე საიჯარო ქირა შემცირდება 20%-ით;
- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს:

საჰაერო ხომალდის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ექსპლუატაცია მისი ტექნიკური და სერვისული მომსახურება და მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ბათუმი-მოსკოვი-ბათუმის მიმართულებით არსებული რეისების შესრულება შემდეგი სიხშირით ზამთრის სეზონი (1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე) –- არანაკლებ კვირაში ერთი რეისის სიხშირით, ზაფხულის სეზონი (1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე) - არანაკლებ კვირაში ორი რეისის სიხშირით;

საჰაერო ხომალდი იჯარაზე გაიცემა ერთი წლის ვადით.

კონკურსი გაიმართება 2004 წლის 21 სექტემბერს, მისამართზე ქ. ბათუმი6 რუსთაველის ქ. №6, ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობაში, მეორე სართულზე, სააქტო დარბაზში, დღის 12 საათზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

მსურველებმა კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი "ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 36000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს: მიმღები ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიში 300121500. მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000

განაცხადებები მიიღება 30 კალენდარული დღის განმავლობაში და მთავრდება 20 სექტებრის 18 საათზე.

განცხადებები მიიღება: მისამართზე: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. №7 მეორე სართული, ოთახი №6

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 7-30-28.**

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აცხადებს კონკურსს

კინოთეატრი "იბერიას" 655,66 კვ.მ. ფართობის შენობის იჯარის (გამოსყიდვის უფლების გარეშე) უფლების მოსაპოვებლად.

ობიექტის მისამართია: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ. N 17

საწყისი წლიური საიჯარო ქირა 12785 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი;. საკონკურსო პირობები:

1. პროფილის შენარჩუნება;
2. მაქსიმალური საიჯარო ქირის გადახდა;
3. საიჯარო ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, თანაბარწილად, ლარებში, გადახდის დღისათვის აშშ დოლარის ლართან არსებული სავალუტო კურსით;
4. ობიექტის რეკონსტრუქცია და აღჭურვა 2004 წლის 25 დეკემბრამდე, კერძოდ:

- კინოთეატრ "იბერიის" ინტერიერისა და ექსტერიერის თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოყვანა;
- ციფრული "დოლბის" ფორმატის ხმისა და უმაღლესი ხარისხის საპროექციო აპარატურის დამონტაჟება;
- არანაკლებ 15 სამუშაო ადგილის შექმნა, მათგან 80% -ის ადგილობრივი მაცხოვრებლებით დაკომპლექტება;

5. ობიექტი იჯარაზე გაიცემა 10 წლის ვადით.

განმცხადებელმა კონკურსის მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოს ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ბეს სიდიდე უნდა იყოს ქონების წლიური საიჯარო ქირის მინიმუმ 10 პროცენტი. თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს: ცენტრალური შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშზე № 300121500 მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 3000

კონკურსი ჩატარდება 2004 წლის 21 სექტემბერს დღის 14 საათზე, ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. № 6, ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობაში, მეორე სართულზე მდებარე სააქტო დარბაზში.

განცხადებები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 დან 17 საათამდე, კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში და მთავრდება 20 სექტემბერს 18 საათზე, მისამართზე: ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. № 7 მეორე სართული, ოთახი № 6/

**დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 7-30-28.**

# გატაცებულმა ქალბატონმა საკუთარ გათავისუფლებაში დიდი წვლილი შეიტანა

*თბილისელმა სამართალდამცველებმა 13 აგვისტოს გატაცებული ქალბატონის გათავისუფლება და ბოროტმოქმედთა დაკავებაც შეძლეს. გატაცების საქმის მშვიდობიანად დასრულებაში დიდი წვლილი თავად მძევალს - 70 წლის ზინა ქავთარაძეს მიუძღვის.*

გატაცებულ ქალბატონს სამართალდამცველებმა მცხეთის რაიონის სოფელ წიწამურში, ერთ-ერთი ბოროტმოქმედის სახლის გომურში მიაგნეს. მძევალს აქ სულ ერთი დღის გატარება მოუხდა. გატაცებული ზინა ქავთარაძის ადგილსამყოფელის ასე ოპერატიულად დადგენას თავად ხანშიშესული ქალბატონის საზრიანობამ შეუწყო ხელი. კერძოდ, როგორც თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა გვიამბო, **"გატაცებულმა ბოროტმოქმედთა უყურადღებობით ისარგებლა და მობილური ტელეფონი ჩართული დატოვა. მთელი გზის მანძილზე კი იგი იმ გეოგრაფიულ სახელებს ან იმ ღირსშესანიშნაობებს აღნიშნავდა, რომლებსაც მოძრავი მანქანიდან ხედავდა. ასე გახდა ცნობილი ის მიმართულება, საითაც ქალი გამტაცებლებმა წაიყვანეს".** გათავისუფლების სპეცოპერაციამ ექსცესების გარეშე ჩაიარა, ზინა ქავთარაძე გათავისუფლებულია, ოთხი გამტაცებელი: ტარიელ მერაბიშვილი, გიმნოზ მამაცაშვილი, თამაზ ჩიხაშვილი და ამბროსი ბიბილეიშვილი კი - დაპატიმრებულნი. ამჟამად ზინა ქავთარაძის გატაცების საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებს და გამოძიების მიერ უკვე დადგენილია დანაშაულის ყველა დეტალი.

წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მერაბიშვილმა და ბიბილეიშვილმა გამოსასყიდის მიღების მიზნით თავიანთი ნაცნობების, სააფთიაქო ბიზნესში მოღვაწე ძმების - შავლეგ და შალვა ბურჯანაძეების დედის, ზინა ქავთარაძის გატაცება დაგეგმეს და საქმეში მამაცაშვილი, ჩიხაშვილი და ვინმე მარინა ჩართეს, რომლის ვინაობა ჯერაც დაუდგენელია. წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ბოროტმოქმედები ქავთარაძეს კოსტავას ქუჩაზე, "საჭაშნიკოსთან" მდებარე ტრანსპორტის გაჩერებასთან ელოდნენ - სწორედ აქედან მიდიოდა ყოველ დილით ზინა ქავთარაძე სამსახურში. გაჩერებაზე გამოსული ქალი მოტყუებით ჩასვეს მანქანაში და წიწამურის გზას გაუყენეს. გზიდან გატაცებულს საკუთარი ტელეფონითვე შვილთან დაკავშირება აიძულეს, რომ გატაცების შესახებ ეცნობებინა. სწორედ ამ დროს დარჩა ჩართული მობილური ტელეფონი, რომელიც მოგვიანებით, მართალია, ქავთარაძეს წაართვეს, მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო - ქალმა შეძლო მანქანის მოძრაობის მიმართულება შვილისთვის ეცნობებინა.

უკვე დანიშნულების ადგილზე მისვლისა და გატაცებულის გომურში მოთავსების შემდეგ, ბოროტმოქმედები ამჯერად საკუთარი ტელეფონით დაუკავშირდნენ გატაცებულის ვაჟს და დედის გათავისუფლების სანაცვლოდ პირველ ეტაპზე 50 ათასის, მერე კი 20 ათასი დოლარის გადახდა მოსთხოვეს. თუმცა, ბოროტმოქმედებს გეგმები ჩაეშალათ - 14 აგვისტოს, საღამოს მათ პოლიცია დაადგა თავს.

ამჟამად, ზინა ქავთარაძის გატაცების გამო დაპატიმრებულ ოთხეულს ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე და 178-ე მუხლებით და აღძრულია შუამდგომლობები მათ მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ.

**"ჯერ ერთი, გატაცების ფაქტები მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, წელს ოთხამდე ფაქტი მაინც დაფიქსირდა და ოთხივე მათგანი გახსნილია, მძევლები გათავისუფლებული და გამტაცებლები დაპატიმრებულნი არიან"**, - ამბობს ვალერი გრიგალაშვილი.

*24 საათი*

# მკაცრი სანქციები კანონდამრღვევი პოლიციელებისთვის

*გენერალური პროკურორისა და შს მინისტრის მიერ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმული სამართალდამცველებისთვის გაგზავნილ მკაცრ შეტყობინებას - რომ ყველა ის კანონდამცველი, რომელიც ადამიანის უფლებებს დაარღვევს, მკაცრად დაისჯება - საფუძველს რეალური ქმედებებიც უმაგრებს.*

ბოლო ექვსი თვის განმავლობაში შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად, 50-მდე პოლიციელი სისტემიდან დაითხოვეს, მათ შორის, საკმაოდ მაღალი რანგის პოლიციელები. **"ამ მხრივ, მინისტრს ცალსახად კატეგორიული პოზიცია უკავია, იგი ძირითად აქცენტს მაღალი რანგის პოლიციელებზე აკეთებს, უფრო ზუსტად, მათი დანაშაულებრივი საქმიანობის გამოვლენაზე,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა შს გენერალური ინსპექციის უფროსმა ზაზა ქაჩიბაიამ. სამსახურიდან დათხოვნილი პოლიციელები მხილებულნი არიან ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევაში, სხვადასხვა ბიზნესის ლობირებაში, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება-გასაღებაში, ქრთამის აღებასა და სხვა დანაშაულებში.

შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ მოკვლეული მასალები პროკურატურას გადაეცა და ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გენერალურ პროკურატურაში პოლიციელთა მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებზე 90 საქმე აღიძრა. გამოძიება დასრულდა და საბრალდებო დასკვნა დაიწერა 40 კანონდამრღვევი პოლიციელის წინააღმდეგ, რომელთა საქმეებსაც ახლა სასამართლო იხილავს. 5 საქმის გამოძიება - დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, ხოლო 3 საქმე მარეაბილიტირებელი მოტივით შეწყდა. დღეისთვის პროკურატურაში გამოძიება ხუთ საქმეზე მიმდინარეობს. პროკურატურაში აღძრულ საქმეთა გრძელი ნუსხიდან რამდენიმეს შემოგთავაზებთ.

იმერეთის საოლქო პროკურატურამ დაასრულა საქმის გამოძიება იმერეთის სამხარეო პოლიციის განსაკუთრებულ დავალებათა პოლიციის მეთაურის მოდგილის გიგა შვანგირაძისა და ამავე სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის ილია დანგაძის საქმეზე. პროკურატურამ მათ ბრალი დასდო ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-გასაღებაში.

აჭარის პროკურატურა იძიებს პოლიციის ყოფილ მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ აღძრულ რამდენიმე მსხვილ საქმეს, მათ შორის - პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის იბრაგიმ ქადაგიძის მიერ მოქალაქეებისგან 700 ათასი დოლარის თაღლითური გზით მითვისების საქმეს.

ხელვაჩაურის პროკურატურა იძიებს მოქალაქე თემურ მალაყმაძის განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღძრულ საქმეს, რომელშიც ბრალდებულია აჭარის შსს ადმინისტრაციული პოლიციის ყოფილი უფროსი თემურ რუხაძე. საქმე უახლოეს დღეებში სასამართლოს გადაეგზავნება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურამ დაასრულა საქმის გამოძიება, რომელიც პოლიციელ სამუშიას ყაჩაღობისა და მის მიერ მოქალაქის მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტზე აღიძრა. სამუშიას საქმე სასამართლომ უკვე განიხილა და ყოფილ პოლიციელს 13 წლით პატიმრობა მიესაჯა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა იძიებს პოლიციის სამი თანამშრომლის მიერ 2 400 დოლარის ქრთამის აღების ფაქტს და სამხარეო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით აღძრულ საქმეს. ყოფილი მაღალჩინოსნები ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან.

თბილისის მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა იძიებს საქმეს, რომელიც დაზარალებული მოქალაქეების - ხვიჩა კიკნაძისა და გია ჯავახიშვილის საჩივრის საფუძველზე აღიძრა. პოლიციელებმა ხსენებული პირები პოლიციის განყოფილებაში სცემეს. ბრალი წაყენებული აქვთ და პასუხისგებაში არიან მიცემული პოლიციელები - ქასრაშვილი და ბერძენიშვილი, რომელიც ამჟამადაც პატიმრობაში იმყოფება.

თბილისის პროკურატურამ გლდანი-ნაძალადევის თანამშრომლების წინააღმდეგ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე აღძრა საქმე, საუბარია დაკავებული ხვიჩა კვირიკაშვილის გარდაცვალებაზე. ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, დადგინდა, რომ კვირიკაშვილის ცხედარს მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა, რომელიც მას დაკავების პერიოდში მიაყენეს. თბილისის პროკურატურაში მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მოქალაქე ანტონ კუკულავას მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებით ჩაიდინა პოლიციელმა აკაკი ჭარბაიძემ, რომელიც ამჟამად ბრალდებულია და მიცემულია პასუხისგებაში.

გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და შს მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ხელქვეითებს საბჭოური მეთოდების დავიწყებასა და მუშაობის ცივილურ მეთოდებზე გადასვლის კატეგორიულ მოთხოვნას უყენებენ, სხვა შემთხვევაში, კანონდამრღვევ სამართალდამცველთა წინააღმდეგ მკაცრი სანქციები იქნება გამოყენებული.

*24 საათი*




*მოკლედ*

## კოკოითს საოლქო სასამართლოში უჩივლეს

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამოქალაქო განვითარების ინტერნეტ-ცენტრის" წარმომადგენელმა ირინა ცინცაძემ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერის ედუარდ კოკოითის წინააღმდეგ თბილისის საოლქო სასამართლოში საჩივარი შეიტანა. ირინა ცინცაძე სეპარატისტთა ლიდერს ცილისწამებაში ადანაშაულებს და, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, 500 ათას დოლარს სთხოვს. საქმეს საოლქო სასამართლო, სავარაუდოდ, სექტემბერში განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია "ნრგ"-ს პირდაპირი ეთერით კოკოითმა ირინა ცინცაძე მოსყიდვის მცდელობაში დაადანაშაულა. კოკოითის განცხადებით, ირინა ცინცაძემ და ცნობილმა ფეხბურთელმა ვლადიმერ გუცაევმა მას ლოიალობის სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლების სახელით დიდძალი თანხა შესთავაზეს.

*მედია-ნიუსი*

## საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე მერაბ ახობაძე, რომელსაც ბრალი თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ედება, თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს. გამოძიება მას ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტმა 11 ათასი ლარით იზარალა.

ბრალდება ეხება სასამართლოებისათვის ინვენტარის შესაძენად გადარიცხულ თანხებს. შუალედური რევიზიის აქტით, საქონლის მიმწოდებელი ფირმისათვის 3000 ლარი ზედმეტად იყო გადარიცხული და ეს თანხა 11 ათასამდე სანქცია-საურავებით გაიზარდა. ახობაძის ადვოკატის ალეკო ალადაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წაყენებული ბრალდება უსაფუძვლოა. სადავო თანხები დაფარულია და დაცვის მხარე ახობაძის უდანაშაულობის დამამტკიცებელ დოკუმენტებს აგროვებს, რასაც უახლოეს მომავალში გამოძიებას წარუდგენს.

გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ახობაძე ერთი თვის წინ დააკავეს.

*მედია-ნიუსი*

*ორი სიტყვით*

**რუსთავი.** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გუშინ რუსთავში ცხინვალის რეგიონში დაღუპულ ჯარისკაცთა დაკრძალვას დაესწრო.

12 აგვისტოს კონფლიქტის ზონაში მომხდარი შეტაკების დროს დაღუპულ ვაზიანის ბატალიონის წევრს, 27 წლის გიორგი ბეგაშვილსა და გულუას სპეცდანიშნულების რაზმის წევრს, 26 წლის მერაბ ფილიშვილს დღეს რუსთავის ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესიაში სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს. დღესვე ორივე ჯარისკაცი სამხედრო წესით რუსთავის სასაფლაოზე დაკრძალეს.

დაკრძალვის ცერემონიალს ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად ქვემო ქართლისა და რუსთავის ადმინისტრაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სოფელ დიღმის მოსახლეობამ გენერალური პროკურატურის შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა. როგორც ისინი აცხადებენ, 1998 წელს მათ სოფელში მიწის რეფორმა არასწორად განხორციელდა, რის შედეგადაც 600-მდე ოჯახი მიწის გარეშე დარჩა. აქციის მონაწილეები ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მოითხოვენ, გადაიხედოს მათი საკითხი და ის ოჯახები, რომლებსაც არ შეხვდათ მიწის ნაკვეთები, დააკმაყოფილონ. აქციის მონაწილეებს გენპროკურატურის წარმომადგენლები შეხვდნენ და დახმარებაც აღუთქვეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსურმა პოლიციამ ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიასთან აფხაზეთის თამბაქოს ქარხანაში დამზადებული 6 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი დააკავა.

კონტრაბანდული საქონელი "კამაზის" ტიპის სამი ავტომანქანით გადაჰქონდათ. როგორც ფინანსური პოლიციის პრესსამსახურში განაცხადეს, ფინანსურმა პოლიციამ ცხრა სახეობის, 120 ათასი დოლარის ღირებულების კონტრაბანდული სიგარეტი ნაგავსაყრელზე გაიტანა და მისი ლიკვიდაცია მოახდინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის N1 საპყრობილის თანამშრომლებმა 23 წლის ვახიდ ალიევი საპყრობილის საამანათოში ნარკოტიკის შეგზავნის ფაქტზე დააკავეს. ვახიდ ალიევის მიერ საპყრობილის 104-ე საკანში მყოფი ლევან ზარანდიასთვის მიტანილ ამანათში, წიწაკის გულში, პოლიეთილენის პარკში გახვეული იყო სამი კრისტალური ნივთიერება. ექსპერტიზის დასკვნით, კრისტალური ნივთიერება ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინია" და მისი წონა 1,72 გრამს შეადგენს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კოპიტნარის აეროპორტიდან 100 მეტრისა და თბილისი-ფოთის საავტომობილო გზიდან 70 მეტრის მოშორებით ორი მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. მათი ამოცნობა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ერთი მათგანი ქუთაისის პოლიციის სამძებრო განყოფილების თანამშრომელი თენგიზ ხურციძე, ხოლო მეორე გეგუთის კოლონიის თანამშრომელი კობა კობახიძეა. შემთხვევის ადგილზე მყოფი, იმერეთის მხარის პროკურორის მიხეილ ჩოგოვაძის თქმით, გარეგნული დათვალიერებით ვერ ხერხდება დადგენა, მკვლელობა რა სახის იარაღით არის ჩადენილი, თუმცა გვამები დაზიანებულია. კობახიძისა და ხურციძის კვალი 14 აგვისტოს დაიკარგა. მკვლელობის მოტივსა და მკვლელის ვინაობას გამოძიება ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს. პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და ექსპერტიზა დანიშნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის ლევან მამალაძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. სავარაუდოდ, მამალაძისთვის აქამდე წაყენებულ ბრალდებებს კიდევ ორი ეპიზოდი დაემატება, თუმცა სამართალდამცველები ამ ბრალდებებს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, პარლამენტის ყოფილი წევრის ნოდარ ჯავახიშვილის პატიმრობის სანქცია მისმა ადვოკატმა დავით ნიშნიანიძემ თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. საქმის განხილვის თარიღს საოლქო სასამართლო 18 აგვისტოს დანიშნავს. როგორც ცნობილია, ნოდარ ჯავახიშვილს 2000 წლის 5 ოქტომბერს მომხდარი ავტოავარიის გამო ედავებიან, რასაც ეროვნებით გერმანელი, საქართველოს მოქალაქის ალბერ ფერნგერის სიცოცხლე ემსხვერპლა. ჯავახიშვილი პროკურატურის თანამშრომლებმა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევის ბრალდებით 12 აგვისტოს დააკავეს, რაც სამიდან შვიდ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოსა და ბაღდათის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს იარაღის უკანონოდ შენახვისათვის ძებნილი, 32 წლის ელდარ თოფურია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს სოფელ დიღომში მცხოვრები, ნასამართლევი, 43 წლის მალხაზ ჯანიაშვილი, რომელსაც 22.6 გრამი მარიხუანა აღმოაჩნდა და ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთის განყოფილება.

დააკავეს, აგრეთვე, ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, სოფელ ხანდოში მცხოვრები, 23 წლის თემურ მელიქიშვილი, რომელისგანაც ამოიღეს 35.8 გრამი მარიხუანა. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის დუშეთის ქვეგანყოფილება იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს თელავის რიონის სოფელ აკურაში მცხოვრები, 19 წლის აბესალომ ბაღათრიშვილი და თბილისში, მოსკოვის გამზირზე მცხოვრები, 22 წლის ზურაბ დათუაშვილი, რომლებიც ორ პირთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხნენ ფირმა "ალდაგი ასისტანსის" ტაქსის "მერსედეს-ბენცის" მძღოლს, 53 წლის შოთა დასოშვილს. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის ისან-სამგორის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

ნიუ-იორკი - თბილისი

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

*აფხაზური წარმოშობის ამერიკელმა, დოქტორმა ინალ კაზანმა, რომელიც დღეს აფხაზური დიასპორის ორგანიზაციის - "აფხაზური ალიანსის" პრეზიდენტია "24 საათს" აქამდე სამი წერილი გამოუგზავნა. წერილებში იგი აფხაზეთში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების უკანონობის შესახებ საუბრობდა. ორიოდე დღის წინ, კაზანის კიდევ ორი წერილი მივიღეთ. ერთი ჩვეული ხასიათისაა, მეორეს კი დოქტორი საქართველოს პრეზიდენტს წერს, სადაც აკრიტიკებს აფხაზეთის საკითხის მოგვარების ერთ-ერთ კონცეფციას (კონკრეტულად რომელ კონცეფციაზეა საუბარი, ჩვენთვის, სამწუხაროდ, გაურკვეველია). ვფიქრობთ, წერილის ტონი პატივცემული დოქტორის ნაკლებინფორმირებულობის ბრალია, ვინაიდან "24 საათში" გამოქვეყნებული კონცეფციის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რასაც დოქტორი აფხაზეთისთვის ითხოვს.*

მინდა, იმედითა და ოპტიმიზმით გაგიზიაროთ ჩემი აზრი აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ქვეყანაზე ყველაზე მეტად ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობა მსურს. ამიტომ მე, როგორც აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელი, თავს მოვალედ ვთვლი გაცნობოთ, რომ დღეისათვის შედეგები ილუზორულია, ვინაიდან თქვენს არჩევამდე ქართული პოლიტიკური ელიტის ლექსიკონში კომპრომისული გამოთქმები არ შეინიშნებოდა.

2002 წლის ივნისში მოწვეული ვიყავი თბილისში საქართველოს ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად. მაშინ, პრეზიდენტ შევარდნაძეს აფხაზური დიასპორის სამშვიდობო გეგმა გადავეცით. მისი დაპირებით, პასუხს 90 დღის განმავლობაში გაგვცემდა, მაგრამ დღემდე არაფერი მიგვიღია.

ამასწინათ, კოტე კუბლაშვილმა წარადგინა აფხაზეთთან მშვიდობის დამყარების პროექტი. ეს დოკუმენტი არის არაადეკვატური, მეტისმეტად გამარტივებული და საბჭოთა ეპოქის მენტალიტეტის მატარებელი. ამ ტაქტიკით აფხაზ ხალხს ვერავინ მოატყუებს.

თავის მოტყუებაა იმის დაჯერება, რომ აფხაზეთი მიიღებს სუპერავტონომიის გადამუშავებულ სტატუსს მაშინ, როცა იგი საქართველოსგან ვირტუალურად დამოუკიდებელია. სანამ ქართველი ექსპერტები თავიანთ ინტელექტუალურ შოვინიზმს არ შეელევიან, მშვიდობა ვერ დამყარდება. ამის გარდა, მშვიდობის მისაღწევად აუცილებელია ე.წ. აფხაზეთის "დევნილი ხელისუფლების" დაშლა.

აფხაზეთი საქართველოსთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე არასოდეს დათანხმდება, თუ აფხაზები და აფხაზეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების გარანტიას არ მიიღებენ, ასევე - აფხაზეთის ტერიტორიის ფიზიკური კონტროლის უფლებას აფხაზური უშიშროების ძალების მიერ. ასეთი ვარიანტი წარმოდგენილი იყო ჩვენს სამშვიდობო პროექტში.

ბატონო პრეზიდენტო, თქვენი გამარჯვება საქართველოში პოლიტიკური ამინდის დამყარების მანდატს განიჭებთ, მაგრამ ამ მანდატის აფხაზეთის ტერიტორიაზეც გავრცელება შეუძლებელია. 1992-1993 წლების პოლიტიკურმა ავანტიურამ საქართველოსთვის ცუდი შედეგები გამოიღო. მათ შორის უმთავრესი ისაა, რომ აფხაზეთი დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

რატომ უნდა შევიდეს აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში მაშინ, როცა მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში აფხაზებს თანასწორუფლებიან პარტნიორებად არ განიხილავენ და არც იმის გარანტიას აძლევენ, რომ დაცული იქნება მათი უფლება აფხაზეთის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის განსაზღვრაზე?

ამის გარდა, ეკონომიკური ინიციატივები და ნდობის ფაქტორის აღდგენისათვის გადადგმული ნაბიჯებიც სიმბოლურია და არა არსებითი, რაც ვერასოდეს მოიტანს მშვიდობას. აფხაზეთთან მშვიდობის მისაღწევად საჭიროა სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილება აფხაზეთის სტატუსის შესახებ მომავალი საქართველოს შემადგენლობაში, როგორც ეს ახლახან აღნიშნა გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა.

ბატონო პრეზიდენტო, დარწმუნებული ვარ, რომ, როცა თქვენი მთავრობა აფხაზეთთან მშვიდობის დამყარების საკითხში მნიშვნელოვან და არა კოსმეტიკურ კომპრომისს გამოაცხადებს, ჩემი ხალხი, როგორც ფედერაციის ან კონფედერაციის ნაწილი, პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. იმისათვის, რომ გადაიდგას სამართლიანი და არა პოპულარული ნაბიჯები, საჭიროა პოლიტიკური სიმამაცის გამოვლენა.

***პატივისცემით, დოქტორი ინალ კაზანი***

## უკანონო საარჩევნო პროცესი და მართვის არშემდგარი უფლება

ჩემო ძვირფასო აფხაზებო! ჩვენი ქვეყნისათვის კრიტიკული მომენტი დგება - 2004 წლის ოქტომბრის არჩევნები. მე არაერთხელ გამოვთქვი აზრი ნამდვილი დემოკრატიული აფხაზური სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. ბოლო 10 წლის განმავლობაში კი სოხუმის რეჟიმმა კოსმეტიკური დემოკრატია შეიქმნა. ეს არის ნამდვილი დემოკრატიის უშინაარსო ფასადი. ნამდვილი დემოკრატია ნიშნავს საყოველთაო, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესს. ეს იმის მომასწავებელიც იქნებოდა, რომ სახელისუფლებო ინსტიტუტები წარმოადგენენ ხალხს და არა საბჭოთა სიმბოლოებს. სამწუხაროდ, აფხაზეთში მსგავსი არაფერი ხდება.

ოქტომბრის არჩევნები ჩვენი ხალხის მოტყუებაა. ეს არის უკანონო პროცესი და ამ პირობებში შეუძლებელია პოლიტიკური მანდატის კანონიერი გადაცემა. მე ვიცნობ აფხაზეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს და ვიცი, რომ ისინი ღირსეული ხალხია. ამიტომ, უნდა შეიცვალოს საარჩევნო პროცესი და არა კანდიდატთა სია. არძინბას რეჟიმი - სავალალო უფსკრულია. იმედი მაქვს, რომ აფხაზეთის მომავალი ლიდერი ყურადღებას მიაქცევს ყველა აფხაზს, ქართველ დევნილს და იმედს მისცემს აფხაზური საზოგადოების ყველა წევრს. ღმერთისგან მიმადლებულ ქვეყანაში ღარიბად არავინ უნდა ცხოვრობდეს.

როგორ უნდა შევადუღაბოთ ჩვენი ქვეყანა, როცა ჩვენი ხალხის უმრავლესობას არჩევნებში და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის საშუალება არ აქვს. აფხაზური დიასპორა წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრებ აფხაზებს, რომლებსაც, აფხაზეთში მაცხოვრებლებთან ერთად, სრული უფლება აქვთ, ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში მონაწილეობა მიიღონ. ჩვენ კი სათვალავშიც არ მიგვიღეს. ეს ფაქტი არჩევნების უკანონობაზე მიუთითებს.

აფხაზური დიასპორის იგნორირება სპეციალურად მოხდა, რათა მას საკუთარი კანდიდატურის წამოყენება არ შეძლებოდა. საარჩევნო პროცესიდან ასევე გამორიცხეს ქართველი დევნილები. არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ასეთ არჩევნებს არ სცნობს. ამის გარდა, ყველა აფხაზმა უნდა გაიგოს, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა, ორგანიზაციები და სამართალი ამ არჩევნების კანონიერებას არასოდეს სცნობენ. აფხაზეთის დამოუკიდებლობის დე ფაქტო სტატუსი - ილუზია და ჩვენი ხალხის მოტყუებაა.

ჩემო ძვირფასო აფხაზებო! მჯერა, პუტინის ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს აფხაზეთის ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას და საკუთარი მიზნებისათვის მის ექსპლუატაციას არ იკადრებს. აფხაზეთი პოტენციური ელექტროსადგურია, რომელსაც მილიარდობით დოლარის, რუბლისა თუ ლარის გენერირება შეუძლია. პრეზიდენტ პუტინს ეს ესმის და იგი ღონემიხდილი სამხრეთ რეგიონის განვითარებას შეეცდება.

ჩემო ძვირფასო აფხაზებო, მე დავიღალე ქართული პოლიტიკური ელიტის ისტერიული განცხადებებით იმის თაობაზე, რომ ყველაფერში რუსეთია დამნაშავე. დროა, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ შეწყვიტოს რუსეთის დადანაშაულება. აფხაზებმა თავად არ უნდა დაუშვან არადემოკრატიული არჩევნების პროცესი და არ მისცენ საბაბი ქართველებს, დემოკრატია და ქვეყნის მართვა გვასწავლონ. ჩვენს ეკონომიკაში და პოლიტიკაში საქართველოს დომინირება 1993 წელს დამთავრდა. ამის მიუხედავად, მჯერა, რომ აფხაზეთი შეძლებს მშვიდობიან თანაცხოვრებას საქართველოს ფედერაციისა თუ კონფედერაციის შემადგენლობაში, თუკი მშვიდობიანი მოლაპარაკება შედგება პოლიტიკის, ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ვერავინ შეძლებს აფხაზეთის შეყვანას ფედერაციაში ქართული პირობებით. აფხაზეთი არ არის აჭარა და, მით უმეტეს, სამხრეთ ოსეთი.

და ბოლოს, 2004 წლის არჩევნები იმედგაცრუებას წარმოადგენს ყველასთვის, ვინც დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების სასარგებლოდ გამოდის. მშვიდობიანი დარეგულირების პროცესიც დაზარალდება, ვინაიდან აფხაზეთის ახალ ხელისუფლებას კანონიერი მანდატი არ ექნება. დემოკრატია - დემოკრატიაა და არა შერეული ფაშიზმი, ან ავტოკრატია.

***"აფხაზური ალიანსის" პრეზიდენტი, ინალ კაზანი***

# მეზობრობის მატიანე

ლელა მარგიანი

*"აფხაზეთი ჩემთვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მარტო ის რად ღირს, რომ ორმოცი წელი, ორმოცი ზაფხული გავატარე სოხუმში მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად. საერთოდ უნდა გითხრათ, რომ ჩვენი - ჯანაშიების, წინაპრები წარმოშობით სამეგრელოდან იყვნენ. მერე პაპაჩემის მამა - სიმონ ჯანაშია დასახლდა აფხაზეთში. და ცოლად შეირთო მშვენიერი აფხაზი ქალი, გვარად ჟანია," - იგონებს ქალბატონი რუსუდან ჯანაშია, ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ქალიშვილი.*



*მარცხნიდან: ლილი ხაგბა, ნელი არშბა, ქეთევან ლომთათიძე, სარია ამიჭბა, რუსუდან ჯანაშია.*

რუსუდან ჯანაშია: "ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ სოხუმთან ახლოს, სოფელ აძიუბჟაში. ის ადგილები იყო ვინმე ალექსანდრე მარღანიას მფლობელობაში, რომელიც აკაკი წერეთელთან ერთად სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში და იმ დროისთვის განათლებული კაცი იყო. მას მშვენიერი სახლი ჰქონდა აძიუბჟაში, სადაც აკაკიც ყოფილა სტუმრად. მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს გადაურჩა, მამაჩემის უახლოესი მეგობარი, შეიძლება ითქვას, ძმადნაფიცი იყო. მიშა მარღანია, ძია მიშა, როგორც მას სიყვარულით ვეძახდით, მართლაც ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო. მამას გარდაცვალების შემდეგ, მან საბედნიეროდ, დიდხანს იცოცხლა და ყველა გასაჭირში მხარში გვედგა. ჩვენ მასთან და მის ოჯახთან ყოველთვის არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. სხვათა შორის, ის დიდხანს ცხოვრობდა თბილისში.

პაპაჩემი - ნიკო ჯანაშია ღვაწლმოსილი პიროვნება იყო. ის იყო პირველი ქართული სკოლის დამაარსებელი სოხუმში. ამაში მას ძალიან უწყობდა ხელს ცნობილი ქართველი მწერლის, შალვა დადიანის და, მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა, რომელიც იყო "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სოხუმის ფილიალის თავმჯდომარე.



*მარცხნიდან: სიმონ ჯანაშია, მისი აფხაზი ბებია - გიჭა ჟანია, მამიდა - მართა ჯანაშია შვილთან ერთად.*

ისიც უნდა ითქვას, რომ იქაური საზოგადოებაც მხარში ედგა ამ დიდ საქმეს. ერთ-ერთმა ვაჭარმა თავისი სახლიც კი დაუთმო პაპას სკოლისთვის, სანამ სკოლის შენობას ააშენებდნენ. მაშინდელმა რუსის მთავრობამ სკოლისთვის მიწა ყველაზე ცუდ, ჭაობიან ადგილას გამოყო და როგორც ბებია ამბობდა, სწორედ იქ დაავადდა ნიკო. იგი 1918 წელს, 45 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პაპა ნიკო სწავლობდა აფხაზურ ეთნოგრაფიას, ფოლკლორს. მაშინდელ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი სტატიები. მას, პროქართული განწყობების გამო, მეფის რუსეთის იმპერიაში ხშირად უხდებოდა საცხოვრებლის შეცვლა.

1910 წელს იგი ისევ სოხუმში სახლდება და ქართულ სკოლას აარსებს. ამ დროს ულვივდება ინტერესი აფხაზური ენის მიმართ ცნობილ მეცნიერს ნიკო მარს, რომელიც ჩამოდის აფხაზეთში და აქ მისი მასპინძელი სწორედ ნიკო ჯანაშიაა. იგი უწყობდა ექსპედიციებს ნიკო მარს ბზიფში, ოჩამჩირის რაიონში, ჩვენს სოფელ აძიუბჟაში, ცნობილი მეცნიერი ორი-სამი თვე რჩებოდა ხოლმე სტუმრად ჩვენთან. დღესაც არის ჩვენს ოჯახში დაცული ვერცხლის კოვზები, რომლებიც ნიკო მარმა ბებიაჩემს მიართვა".

**- როგორი ბავშვობა გქონდათ აფხაზეთში?**

- მამაჩემმა სრულყოფილად იცოდა აფხაზური ენა, რაც ბებიის - გიჭა ჟანიას დამსახურება იყო. ისე, ოჯახში, რა თქმა უნდა, ქართულად საუბრობდნენ.

მამას ჰყავდა ორი მამიდა, არაჩვეულებრივი ქალბატონები, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობდნენ. საერთოდ, ხშირად ჩავდიოდით აძიუბჟაში სტუმრად და ყველა ნათესავი, ახლობელი თუ შორეული, ყველა მეზობელი ძალიან კარგად გვექცეოდა. ყოველთვის სასურველი სტუმრები ვიყავით.

**- ცნობილია, რომ თქვენ აფხაზეთში ბევრი ნათესავი გყავთ.**

- მართალი ბრძანდებით. განსაკუთრებული სიყვარულით მინდა გავიხსენო მამის მამიდაშვილის ქმარი ერასტ არშბა. ასეთი სამართლიანი, კეთილშობილი, საყვარელი ადამიანი ნამდვილად არ შემხვედრია. დღესაც არ გამიწყვეტია ურთიერთობა მის შვილებთან, რომლებიც სოხუმში ცხოვრობენ.

კიდევ მინდა გავიხსენო მამის ბიძაშვილი შოთა (ბაგრატ) ჯანაშია, რომელიც პირველი "აფხაზურ-ქართული ლექსიკონის" ავტორი იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აფხაზური ენის შესწავლის საქმეში. იგი აფხაზური ენის დარგობრივ ლექსიკაზე მუშაობდა. მისი საკანდიდატო დისერტაცია იყო "მევენახეობის ლექსიკა აფხაზურში".

ძია ბაგრატმა არაჩვეულებრივად იცოდა ქართული, მეგრული, აფხაზური, რუსული ენები. იმდენად კარგად, რომ, როდესაც რომელიმე სიტყვის ეტიმოლოგია დაგვჭირდებოდა ხოლმე, ბატონი არნოლდ ჩიქობავა ამბობდა, ბაგრატს ჰკითხეთ, ყველაზე კარგად მან იცისო.

ბაგრატ ჯანაშიას შეეძლო, რამდენიმე სიტყვისთვის მთელი აფხაზეთი შემოევლო, რომ ხალხში გადაემოწმებინა ეს სიტყვები და ყველგან, სადაც გამოჩნდებოდა, სასურველი სტუმარი იყო. იგი მევენახეობის გარდა მუშაობდა მეაბრეშუმეობის ლექსიკაზე, სამშენებლო ლექსიკაზე. წლების მანძილზე აფხაზეთის სოფლებში შეგროვებული მდიდარი ლექსიკური მასალა და მრავალი შრომა მას გამოუქვეყნებელი დარჩა. მისი ნაშრომები სოხუმის ენის ინსტიტუტში ინახებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე გაჩენილი ხანძრის დროს ყველაფერი დაიწვა.

ჩვენს ოჯახს დიდი ურთიერთობები ჰქონდა პაპაჩემის - ნიკო ჯანაშიას მეგობრებთანაც. პირველ ყოვლისა, ეს იყო აფხაზი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი გულია, ასევე ანდრეი ჭოჭუა. დიმიტრი გულია და პაპა ერთად სწავლობდნენ გორის საოსტატო სემინარიაში. მახსოვს, სანამ ბებიას შეეძლო სოხუმში ჩასვლა და ბატონი დიმიტრიც კარგად იყო, აუცილებლად მოგვინახულებდა ხოლმე. მამა აფხაზური სახელმძღვანელოების შედგენაშიც ეხმარებოდა დიმიტრი გულიას. იყო, აგრეთვე, დიმიტრი გულიას მიერ აფხაზურად თარგმნილი "ვეფხისტყაოსნის" რედაქტორი.

ანდრეი ჭოჭუას ოჯახთანაც ხშირი მიმოსვლა გვქონდა. მისი სიძე იყო ცნობილი აფხაზი ენათმეცნიერი, დოქტორი ხუხუტ ბღაჟბა (ქალბატონ ქეთევან ლომთათიძის მოწაფე), რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო პაპას. მან მაშინდელ პრესაში - "ივერიაში", "დროებაში", "Христианский Восток"- ში გაბნეული, ნიკო ჯანაშიას წერილები ერთად შეკრიბა და გამოსცა მშვენიერი წიგნი, სათაურით "Страницы из летописи дружбы", რომელიც ქართულ-აფხაზურ და რუსულ-აფხაზურ კულტურულ და ლიტერატურულ ურთიერთობებს ეძღვნება.

ვმეგობრობდით ბაგრატ შინკუბას ოჯახთანაც. კარგად მახსოვს, როდესაც მან თბილისში ენათმეცნიერულ საკითხებზე დისერტაცია დაიცვა, სახლში სადილი გავუმართეთ, თუმცა მაშინ ამის საშუალება ნამდვილად არ გვქონდა, გაჭირვებული წლები იყო.

**- ისიც ცნობილია, რომ აფხაზ ენათმეცნიერთა უდიდესი ნაწილი თბილისში გაიზარდა.**

- მართალი ბრძანდებით. ჯერ კიდევ 1924 წელს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო "აფხაზური ენის" კურსის წაკითხვა. ორი წლის მანძილზე კურსი დიმიტრი გულიას მიჰყავდა. შემდეგ, აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის წარდგინებით, ეს კურსი მამას ჩაბარდა. მას იმ დროისთვის უკვე ჰქონდა გავლილი სპეციალური ენათმეცნიერული მომზადება და როგორც უკვე ვთქვი, აფხაზურ ენას პრაქტიკულადაც ფლობდა. სიმონ ჯანაშია აფხაზური ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1937 წლამდე კითხულობდა, ვიდრე ეს კურსი მისმა ასპირანტმა, ქეთევან ლომთათიძემ არ ჩაიბარა.

ახალი ეპოქა არა მხოლოდ აფხაზური, არამედ საერთოდ, კავკასიური ენების შესწავლის საქმეში დაიწყო მაშინ, როდესაც არნოლდ ჩიქობავას მიერ "კავკასიურ ენათა განყოფილება" ჯერ უნივერსიტეტში დაარსდა, შემდგომ - ენის ინსტიტუტში. ერთი სიტყვით, ცალკე უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრა, ცალკე ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილება, ცალკე ისტორიის ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, ამზადებდნენ აფხაზური კადრების 90 პროცენტს. თუკი ვინმე კარგი სპეციალისტია არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ თამამად შეიძლება ითქვას, მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ყველა მომზადებულია ჩვენთან, თბილისში.

სრულიად განსაკუთრებული ღვაწლი აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს მიუძღვის. აფხაზური ენის შესწავლას, რომ იტყვიან, ბოლომდე"ჩაყვა". ამ ურთულესი სტრუქტურისა და ისტორიის მქონე ენის არც ერთი საკითხი შეუსწავლელი არ დაუტოვებია.

ქალბატონმა ქეთევანმა აღზარდა აფხაზ ენათმეცნიერთა მთელი პლეადა: ლიდა ჭკადუა - პირველი აფხაზი დოქტორი, ლილი ხაგბა, ტარას ხალბადი, ნელი აგრბა, ხუხუტ ბღაჟბა, დები - სარია და ვალია ამიჭბები, ზაურ ავიძბა, შოთა არისთავა და მრავალი სხვა.

**- ახლა თუ აქვთ მათ კავშირი ქალბატონ ქეთევანთან?**

- მიუხედავად ყველაფრისა, აქვთ ურთიერთობა. ურეკავენ ხოლმე სოხუმიდან. შარშან "კავკასიური სახლიდან" იყვნენ სოხუმში წასულები და ქალბატონ ქეთევანს ფონოგრამა ჩამოუტანეს. მოასმენინეს, როგორ ესალმებიან მისი ყოფილი აფხაზი მოწაფეები.

**- როგორია მათი განწყობა?**

- როდესაც 2002 წელს სოხუმში ვიყავი, რა თქმა უნდა, ვნახე ისინი. ვნახე სარია, რომელიც გადამეხვია. ვიტირეთ და ვიტირეთ, - რა გვიქნეს, რა დაგვმართესო. ტელეფონზე დამირეკა ლიდა ჭკადუამ (ნაოპერაციები იყო და ამიტომ ვერ მოვიდა სანახავად) და მითხრა, თქვენზე უფრო ახლობელი, თქვენზე უფრო საყვარელი ჩვენ არავინ გვყავსო.

სოხუმში მაშინდელმა სტუმრობამ კი მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე, რადგან გაუბედურებულია იქაურობა. გალში სიცოცხლე ჯერ კიდევ იგრძნობა. კვამლი ჩანს და ხალხი, ასე თუ ისე, ცხოვრობს, მაგრამ ოჩამჩირე საშინელი სანახავია - თვალებდათხრილი, გადამწვარი სახლები. თვითონ სოხუმშიც ყველა ძირითადი დაწესებულება, მწყობრიდან არის გამოსული. საშინელი სანახაობა იყო.

**-ისევ ქართველ და აფხაზ მეცნიერთა ურთიერთობებს დავუბრუნდეთ.**

- განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონ არნოლდის მიერ დაარსებულ რეგიონულ სესიებს, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ იმართებოდა მონაცვლეობით - თბილისი, მახაჩყალა, სოხუმი, გროზნო, ნალჩიკი. დაუვიწყარია ის დღეები, რომლებიც ჩვენ ამ სესიებზე გაგვიტარებია ჩვენს მასწავლებლებთან და კოლეგებთან ერთად.

რაც შეეხება ბოლოდროინდელ ნაშრომებს, აღსანიშნავია ქალბატონი ქეთევანის ქართველ მოწაფეთაგან ყველაზე უფრო გამორჩეულის, პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის მიერ გამოცემული ორტომეული "აფხაზური და ქართული ენის შემსწავლელთათვის". წიგნი იუნესკოს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა. წიგნის ერთი ტომი ეძღვნება ქართულ ენას აფხაზებისთვის, მეორე კი - აფხაზურ ენას ქართველთავის. წიგნი ზოგადი მიმოხილვის, გრამატიკული მიმოხილვისა და ლექსიკონებისგან შედგება. ძალიან სიმბოლურია წიგნის გაფორმება. მის გარეკანზე გამოსახულია ცნობილი ბესლეთის ხიდი, ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, მეთერთმეტე საუკუნის უძველესი ქართული წარწერით. დაე, შემაკავშირებელ ხიდად გადებულიყოს ეს წიგნი ჩვენსა და აფხაზებს შორის.

უბრალო ხალხი ერთმანეთს ახლაც თავისუფლად დაუკავშირდება, თუ საქმეში "ზედა ეშელონები" არ ჩაერევიან. ბევრი იქაურის განწყობა ვიცი - ჩვენ იმდენად ბევრი საერთო გვაქვს, იმდენი ნათესაური კავშირი გვადუღაბებს, რომ ამის საბოლოოდ გაწყვეტა შეუძლებელია.

ფოსტა

# გთხოვთ თანადგომას

*საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ თემურ ლომსაძეს, ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების გენერალურ მდივანს ბატონ გიორგი არველაძეს, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ მჟავიას, თბილისის მერს ბატონ ზურაბ ჭიაბერაშვილს, თბილისის პრემიერს ბატონ ბიძინა ბრეგაძეს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ზაზა ბეგაშვილს, თბილისის საკრებულოს წევრს ქალბატონ ნანული ქაჩიბაიას, ს/ს "სასტუმრო ივერია"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ვახტანგ ცხადაძეს, კომპანია "სილქ როუდი"-ს წარმომადგენელს ბატონ დავით შენგელიას.*

გამოვხატავ რა ულრმეს პატივისცემას თბილისის ახალი მთავრობისა და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, მინდა მადლობა გადაგიხადოთ სასტუმრო "ივერიაში" შეხიზნულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვისათვის და მოგახსენოთ შემდეგი:

რევოლუციამდე თვენახევრით ადრე, გამომდინარე ჩემი ოჯახის უმძიმესი მატერიალური მდგომარეობიდან, სასტუმრო "ივერიის" მეხუთე სართულზე კეთილმოწყობილი სავაჭრო ობიექტის გახსნა გადავწყვიტე, რომელიც ოჯახის გამოკვებისა და ავადმყოფი დედის მკურნალობის საშუალებას მომცემდა. სართულის მაცხოვრებელთა თანხმობის შემდეგ, კერძო პირისგან ვისესხე 3 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხა. ამას ჩემი მეგობრების მიერ მოძიებული თანხაც დაემატა და დავიწყე სარემონტო სამუშაოები.

უპირველესად გავარემონტე არა სავაჭრო ფართი, არამედ კორიდორი, მოშლილი წყალგაყვანილობა და საკანალიზაციო მილები, კიბის უჯრედი. სრულიად გავანათე ყველა სართულის კიბე. კაპიტალურად გავარემონტე ლიფტი, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო. ბოლოს კი ავაგეთ კაპიტალური მინიმარკეტის კონსტრუქცია.

რა თქმა უნდა, ხარჯებმა კოლოსალურ თანხას მიაღწია, რის გაღებასაც არავინ მავალდებულებდა და რაც არსადაა დაფიქსირებული და რეგისტრირებული. თუმცა, არსებობს ფოტომასალა და 1 000-ზე მეტი მოწმე, რომელიც ყოველივეს დაადასტურებს.

შედეგად, ყველაზე დაბინძურებული, ფეკალური წყლებით დატბორილი და ჩაბნელებული მეხუთე სართული ყველაზე კეთილმოწყობილი, სუფთა და ლამაზია. ცხადია, ამ საქმისთვის ჩემი პირადი სახსრები დავხარჯე.

მერწმუნეთ, ეს რომ, ვთქვათ, სამი წლის წინათ მომხდარიყო, პრეტენზია არავისთან მექნებოდა, ვინაიდან თანხას ნაწილობრივ მაინც ამოვიღებდი. დღეს კი მინიმარკეტის ამუშავებიდან მხოლოდ ხუთი თვეა გასული. სარემონტო სამუშაოებზე, მთლიანობაში,

4 800-ზე მეტი აშშ დოლარი დავხარჯე. მინიმარკეტის ვალი სხვა ფირმების სადისტრიბუციო ქსელთან მიმართებაში 1 400 ლარს შეადგენს. ამ ხუთი თვის მანძილზე საქონლისათვის სხვადასხვა კერძო პირებიდან ნასესხები მაქვს 3 000 აშშ დოლარი, სამწუხაროდ, მათ შორისაა მაღალპროცენტიანი ვალებიც. სასტუმროში მობინადრე დევნილებს კი მინიმარკეტის მიმართ 4 000 ლარამდე აქვთ დავალიანება, რომლის ამოღება ასეთ პირობებში წარმოუდგენლად ძნელია და უხერხულად მიმაჩნია. მერწმუნეთ, ეს არ არის გაბერილი ციფრები და ჩემი ილუზიები. ეს ის რეალური სურათია, რომელიც მე და ყველა ჩემს გულშემატკივარს აწუხებს. ამ ფაქტების დამტკიცება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ მჯერა, რომ თქვენთან რაიმეს მტკიცება არ დამჭირდება და ზედმეტი უხერხულობა არ შემექმნება.

მოგმართავთ თქვენ, როგორც შუამავალს დევნილებსა და ინვესტორს შორის, მოგმართავთ თანადგომისათვის და გთხოვთ, ჩემი მინი-მარკეტი შეიტანოთ იმ საკომპენსაციო ნუსხაში, რომლის ანაზღაურებასაც ინვესტორი აპირებს. თქვენს გულისხმიერებაში დარწმუნებული, წინასწარ გიხდით მადლობას.

***ღრმა პატივისცემითა და მოწიწებით სოხუმიდან დევნილი დავით პაკელიანი***

## სიახლეები კარლ ლაგერფელდისგან



ლაგერფელდმა საზოგადოება, კიდევ ერთხელ, სწორედ ამით გააოცა - უნარით, კლასიკურობის ჩაკეტილ წრეში ორიგინალური დარჩენილიყო.

B3

## უკვე მუშტებსაც ვიქნევთ



B4

## სარეკლამო სატირა - რეკლამირების ახალი მეთოდი




B7

*ნომრის სტუმარი*

# მამა ავთანდილ გიორგობიანი:
# რუსეთმა კავკასიისგან გაგვაუცხოვა

ნოდარ ლადარია

*საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს სასულიერო პირთა განსაკუთრებული კატეგორია: მღვდლები, რომლებსაც აკრძალული აქვთ ღვთისმსახურება. ამ ადამიანების მდგომარეობა ერთობ გაურკვეველია — საეკლესიო კანონებით მათი განკვეთის საფუძველი არ არსებობს, მაგრამ გაბატონებული სულიერი მიმართულება და სასულიერო პირის ყველაზე გავრცელებული ფსიქოტიპი მათ ახლოს ვერ იკარებს. ამის ატანა ძალიან ძნელია შინაგანად პატიოსანი პიროვნებისთვის. უჭირთ გაძლება — მრავალი მათგანი გადაქცეულა ანაფორიან "დახადიაგად".*
*მაგრამ არსებობენ სულიერად ძლიერი ადამიანებიც. მათ რიცხვს ეკუთვნის მამა ავთანდილ გიორგობიანი, ყოფილი ფიზიკოსი, 30 გამოგონებისა და 103 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ქართულმა ყოფითმა ტრადიციებმა საეკლესიო ენაზე უნდა ჰპოვონ გამოხატულება, საეკლესიო ქადაგების ნაწილად და მიზნად უნდა იქცნენ.*

**ნ. ლ. — მამაო, ერთგვარ მსგავსებას ვგრძნობ ჩვენს ბიოგრაფიებს შორის...**

**ა. გ.** — დიახ, 1997 წლამდე, სანამ სასულიერო პირი გავხდებოდი, ფიზიკოსი ვიყავი: ტექნიკური უნივერსიტეტის, მანამდე კი პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოფიზიკის კათედრის დოცენტი გახლდით, მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის ატომური ენერგეტიკის კათედრაზეც მიმუშავია. ბევრი სტუდენტი მყავს გამოზრდილი და მრავალი მათგანი ძალიან წარმატებულიცაა.

**— თქვენს რომელიმე გამოგონებას ხომ არ აგვიწერდით.**

— რატომაც არა... აი, მაგალითად, ატომური ელექტროსადგურების კონტურში მავნებელი გაზები გროვდება ხოლმე. მათი გამოდინებისათვის რთულ ქიმიურ მეთოდებს იყენებენ. გამოგონების მთავარი იდეა ამ გაზებისაგან კონტურის გასათავისუფლებლად ხელოვნურად შექმნილი კავიტაციის ეფექტის გამოყენებაა: წყალში ვიბრაციის შედეგად წარმოიქმნება გაზის ბუშტულები — აი, როგორც ბორჯომის ბოთლში, როცა გახსნით — და მავნე აირებიც ამ ბუშტულებს გამოჰყვება.

**— სოხუმში მინახავს კავიტაციის ეფექტის მიზეზით დაჟანგული ჩქაროსნული ნავები. თქვენ ეს მოვლენა არა მარტო მოგითვინიერებიათ, სარგებლობაც კი მიგიღიათ მისგან... კი მაგრამ, ასეთი მკვეთრი ცხოვრებისეული ცვლილება რამ გამოიწვია?**

— წარმოშობით რაჭიდან, სოფელ ფუტიეთიდან ვარ. ტრადიციულად ჩემი ოჯახი ყოველთვის იყო დაკავშირებული მართლმადიდებლურ ცხოვრებასთან. პირადად მეც დიდი ხნის განმავლობაში გახლდით თბილისის წმ. სამების ტაძრის მრევლი. დღემდე დიდი სიყვარულით ვიგონებ მოძღვრებს — მამა რევაზ ტომარაძესა და მამა პავლე ბერიშვილს. სანამ სასულიერო წოდებას მივიღებდი, ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში სტიქაროსანიც ვიყავი ტაძარში. ყოველთვის ბევრს ვფიქრობდი იმაზე, რომ სულიერებაში რწმენაც და ცოდნაც აუცილებლად უნდა ერთიანდებოდეს. უფრო კონკრეტულად, მაინტერესებდა ფიზიკასა და თეოლოგიას შორის ღრმა კავშირის მოძიება. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი სამსახური გამიწია ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის წიგნმა "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". ვფიქრობ, ეს მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომია, სადაც ღრმა და ამავე დროს ცხადად და გასაგებადაა წარმოჩენილი მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთიანობა. ასეთივე ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მეუფე გაბრიელის ქადაგებებმა...

**— მორწმუნეთა შორის დღეს ხშირად გაიგონებთ თვალსაზრისს, თითქოს ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობა საკმარისი არაა ეკლესიური ცხოვრების შესაცნობად და მისაღებად; რომ დღევანდელ სინამდვილეში მართლმადიდებლობის უფრო ქმედით გზამკვლევს სხვა, მაგალითად, რუსული ტრადიცია წარმოადგენს...**

— რამდენადაც ვხვდები, თქვენი შეკითხვა ეხება დღევანდელობისა და წმინდა მამების კავშირს. ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ქართველი საეკლესიო მოძღვრები — გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელები, არსენ იყალთოელი — უაღრესად განათლებული ადამიანები იყვნენ და თავისი დროის მოწინავე ცოდნას ფლობდნენ. ეს მათ მნიშვნელოვნად ასხვავებს რუსი წმინდანების უმრავლესობისაგან. იგივე შეიძლება ითქვას ეპისკოპოს გაბრიელზე: მისი ეპოქა, XIX საუკუნე, ძალიან რთული იყო, რადგან მაშინ რწმენასა და ცოდნას შორის განხეთქილება მართლაც უფსკრულად იქცა. ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსიც, სხვა ქართველ მამებთა მსგავსად, იმ მარტივ აზრზე აგებს თავის ძირითად ქადაგებას, რომ როგორც ჩიტი ვერ იფრენს ცალი ფრთით, ასევე ადამიანი ვერ იცხოვრებს ღვთის სათნოდ და თავისთვის საკადრისად მარტო ცოდნით ან მარტო რწმენით. მეუფე გაბრიელი ამქვეყნად აპოკალიფსის ნიშნებს სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და თეოლოგიური ჭეშმარიტების დაპირისპირებაში ხედავდა.

**— ხელდასხმის შემდეგ თქვენ რაჭაში დაიწყეთ მოღვაწეობა. როგორ მოხდა ეს?**

— რაჭაში წასვლა ჩემი სურვილი იყო. ახლაც იქ ვცხოვრობ, იმ კუთხის პრობლემებს საკუთარ თავზე განვიცდი. სიძნელე არ მაშინებდა, თავიდან შორეულ მთიან სოფელში, ღებში მინდოდა მსახურება და რადგან იქ ტაძარი არაა, ლოცვა სახლში გავმართე. სოფელ ჯვრისუბანში არის ძველი ტაძარი, რომელსაც "მცხეთას" ეძახიან. 1994 წლიდან იქ ზაფხულშიც არავინ ჩადის. როცა 1999 წელს იქ წირვა აღვასრულე, დავინახე, ტაძრიდან როგორ გამოვარდა მელა და ორი ლეკვი.

ჩემთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ დაცლილ და გაპარტახებულ სოფლებს ვერავითარი მილიონები ვერ შველის, თუ მათ სულიერად არ ავაღორძინებთ. სიღარიბე რაჭისთვის უცხო ხილი არასოდეს ყოფილა. საშოვარზე რაჭველები ხშირად დადიოდნენ, უნდა ითქვას, საოცრად მობილური ხალხია. მაგრამ ყოველთვის უკან, რაჭაში ბრუნდებოდნენ. საქართველოში ქრისტიანობის თითქმის ორიათასწლიანმა ტრადიციამ ღრმად შეაღწია ყოფით ზნე-ჩვეულებებში, შექმნა შრომის, ბრძოლის, განათლების, ურთიერთობის სისტემა. სწორედ ამის დანაკლისია უბედურება და არა ძროხისა და მიწის ნაკვეთის წართმევა. ამიტომაც ხელი მივყევი ეთნოგრაფიულ-თეოლოგიურ კვლევებს. შესაბამისი სტატიებიც მაქვს გამოქვეყნებული სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში, მაგალითად, რაჭის გაზეთში "რაეო", სვანურ გაზეთში "ლილეო", კახურ გაზეთში "ჩაკრულო"...

**— თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, ვიტყვი, რომ შემეცნების ამ დონის არსებობა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჯერ ერთი, ადამიანი ისე შეჰყავს კვლევის სამყაროში, რომ მკვეთრად და ულმობლად არ უნგრევს ჩვეულ სამყაროს, ჩვეულ წარმოდგენათა წრეს, რაც არ უნდა ვიწროდ გვეჩვენებოდეს ეს წრე. მეორეც, ჩვენი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გადმოცემა ასეთ დონეზე შეიძლება გახდეს შესანიშნავი საწინდარი ადამიანში ტოლერანტობის აღსაზრდელად. თქვენც ხომ გიზიდავდათ საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება?**

— რა თქმა უნდა, მრავალფეროვნება ყველაფრის საფუძველია და ამ მრავალფეროვნებაში განსაკუთრებით საინტერესოა ფუნქციური იდენტურობის მოძიება. მაგალითად, საოცარი იდენტურობა შეინიშნება რაჭასა და ქიზიყს შორის. ამ იდენტურობის საფუძვლები მათი მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობაა...

**— რაჭისა და ქიზიყის?**

— დიახ. ერთიც და მეორეც ორი დიდი რეგიონის უკიდურესი აღმოსავლეთი მხარეებია. სტრაბონის ცნობით, წარმართთა უმთავრესი ტაძარი აღმოსავლეთ საქართველოში ქიზიყში იყო. რატომ არა მცხეთაში? ქიზიყი იყო სატაძრო მამული, რომელსაც ქურუმი განაგებდა. მზეც და მთვარეც — წარმართული თაყვანისცემის მთავარი ობიექტები აღმოსავლეთის მხრიდან ევლინებიან ქვეყნიერებას. ამიტომაც მთავარ სალოცავებს უკიდურეს აღმოსავლეთში მიუჩინეს ადგილი. ამანვე განაპირობა წმინდა ნინოს დამკვიდრება ბოდბეში, რადგან ქრისტიანულ სარწმუნოებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ წარმართული კულტის ცენტრი უნდა გაეპატიოსნებინა. იგივე მოვლენის კვალი შეიმჩნევა რაჭაში — კოლხეთის უკიდურეს აღმოსავლეთში.

**— მოახერხეთ თუ არა ამ თქვენი იდეების დამკვიდრება თქვენს სასულიერო მოღვაწეობაში?**

— სწორედ იმიტომ მომიხდა მისი შეწყვეტა, რომ მოვახერხე.

**— აქედან გამომდინარე, როგორ შეაფასებდით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობას?**

— ამ მდგომარეობის ფესვები წარსულში უნდა ვეძიოთ. 200 წლის განმავლობაში რუსულმა გავლენამ გამოიწვია ეროვნული მართლმადიდებლური ცნობიერების დაკარგვა. ქართული ყოფისთვის ეკლესია არ ყოფილა რაღაც გარეგანი და უცხო. ეკლესია იყო ერის წინამძღოლი, მან ორი იდეალი დაუსახა საერო ცხოვრებას: მამაკაცს — წმინდა გიორგი, დედაკაცს — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. ქართულ სინამდვილეში სლავური ღვთისმსახურების დამკვიდრებამ ეკლესიის გაუცხოება გამოიწვია.

გარდა ამისა, ეგზარქოსობის პერიოდში შემოვიდნენ სულ სხვა ყაიდის სასულიერო პირები. საბჭოთა დროს კი ეს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მოგეხსენებათ, საღვთო წერილის თანახმად ყველაფერი საუკეთესო ღმერთს ეკუთვნის, სამღვდელოდ განკუთვნილი ადამიანიც საუკეთესო უნდა ყოფილიყო თავისი ფიზიკური და სულიერი თვისებებით. საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სამღვდელო მსახურების კარი გაეხსნა ზნეობრივად და მორალურად დაავადებულ ხალხს. ეს მანკიერი ტრადიცია დღესაც გრძელდება.

**— არ მიწყინოთ, მამაო, მაგრამ ხშირად გამიგონია ზოგადი საუბარი ეროვნული ცნობიერების დაკარგვაზე. ამის რაიმე კონკრეტულ საბუთს ხომ არ მოიყვანდით?**

— როგორ არა. თუნდაც 1819-20 წლების საეკლესიო აჯანყება ავიღოთ. მას ქართულ მეცნიერულ ტრადიციაში "იმერეთის აჯანყებად" მოიხსენიებენ. რუსი ისტორიკოსები ამ მხრივ უფრო ზუსტები არიან: церковное восстание...

**— ეს ბუნებრივიცაა: რუსები იმპერიული საბუთების ტექსტს ვერ შეცვლიან, ქართული სახელმწიფო დოკუმენტაციის არარსებობა კი მიჩქმალვას უფრო აადვილებს...**

— სწორედ მიჩქმალვასთან და ტაბუირებასთან გვაქვს საქმე. ამბობენ, რომ აჯანყების მიზეზები სოციალური იყო. მაგრამ რატომ მონაწილეობდნენ მასში ყველა სოციალური წოდების ადამიანები? ისტორიის გადასაფასებლად უნდა დავბრუნდეთ იქ, სადაც მოხდა ცნობიერების გარდატეხა და ვნახოთ, რა ჩაიდო ისეთი, რაც ხელს გვიშლის ფაქტების მართებულ გაგებაში. აჯანყების მიზეზი ქართული საეკლესიო განძისა და სიწმინდეების იმპერიული მთავრობის მიერ ექსპროპრიაცია იყო. განსაკუთრებულად ცნობილია ფუტიეთის ბრძოლა, რომელიც 1820 წლის 3 ივლისს მოხდა და მასში 2000 კაცამდე დაიღუპა. ისტორიული მასალები სუკ-ის არქივში ინახებოდა.

1990 წელს გადაიხადეს ამ ბრძოლის 170 წლისთავი. თქვენ წარმოიდგინეთ, რაჭის კომუნისტური ნომენკლატურაც კი დაესწრო ზეიმს. საპატრიარქოდან კი არავინ მოსულა. 2000 წელს, 180 წლისთავზეც იგივე განმეორდა — საპატრიარქოს მხრიდან არავის მიუღია მონაწილეობა.

თითქოსდა ვიღაც გვაკონტროლებს გარედან. ვიღაცას სურს, რომ ეროვნულმა მართლმადიდებლურმა ცნობიერებამ არ გაიღვიძოს. ჩვენში ქრისტიანობის გაძლიერება ტაძრების რიცხვის გამრავლებასთანაა გაიგივებული, მაგრამ, როგორც წმინდა მოციქული იაკობი გვასწავლის, თვინიერ საქმეთა სარწმუნოება მკვდარია.

მშობლიურ სოფელში ფუტიეთში დავაარსე საზაფხულო სკოლა-მუზეუმი. აქ ბავშვები ცხოვრობდნენ როგორც ბანაკში და გარს ეხვიათ ტრადიციული გარემო — არქიტექტურა, ჩაცმულობა, საკვები.

2003 წლის აგვისტოს ე. წ. ფუსტობის ტრადიცია აღვადგინე. ფუსტებად სვანეთსა და რაჭაში საეკლესიო განძის მცველები, ქრისტეს მებრძოლები იწოდებოდნენ. მოვაწყვე მრევლის ექსპედიცია საჩხერიდან მესტიამდე, რომელშიც 120 კაცი მონაწილეობდა. სწორედ მაშინ, აგვისტოშივე ამიკრძალეს ღვთისმსახურება.

**— რაში ხედავთ თქვენს სულიერ მოვალეობას?**

— ქართულმა ყოფითმა ტრადიციებმა საეკლესიო ენაზე უნდა ჰპოვონ გამოხატულება, საეკლესიო ქადაგების ნაწილად და მიზნად უნდა იქცნენ. საჭიროა შეიქმნას თეოლოგიური ბაზა, რომელიც დღეს არ არსებობს. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ამ ბაზის შექმნა შეუძლებელია. ამის გამო ხდება რელიგიური აგრესია, ძალადობა, ქართველი წმინდანების უგულებელყოფა.

მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენს მთაში არსებობდა ე. წ. "მეკერძეობის" ტრადიცია, როცა ჩრდილოეთ კავკასიის ტომებსა და ქართველებს შორის ადგილი ჰქონდა ოჯახებით დანათესავებას. ერთმანეთს ძმურად ეპყრობოდნენ, ბავშვებსაც აზრდევინებდნენ, ერთმანეთის სარწმუნოებას პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ ურთიერთობისას. უეჭველია, ეს ყოველივე ეკლესიის ზედამხედველობითა და კურთხევის ძალით ხდებოდა. წარმოგიდგენიათ დღევანდელი მღვდელი, რომელიც ამის უფლებას მისცემს მრევლს? რუსეთმა კავკასიისგან გაგვაუცხოვა.

მოკლედ

## კინომსახიობთა თეატრში სამი პრემიერა მზადდება

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი ახალი თეატრალური სეზონისათვის ემზადება და მაყურებლებს სამ პრემიერას შესთავაზებს.

როგორც კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, სეზონი 1 ოქტომბერს ტრადიციულად, მიხეილ თუმანიშვილის დადგმული "ბაკულას ღორებით" გაიხსნება.

ახალ თეატრალურ სეზონში ძველი რეპერტუარის პარალელურად, რეჟისორები სამ პრემიერას წარმოადგენენ. კერძოდ: ნანა კვასხვაძე დგამს სპექტაკლს "ბერნარდა ალბას სახლი", კოტე მირიანაშვილი - "ჭიქა წყალს", ხოლო გიორგი მარგველაშვილი - "ალუბლის ბაღს".

*მედია-ნიუსი*

შოუბიზნესი

## R.E.M მზის ორბიტაზე



ჯგუფ R.E.M-ის ახალმა ალბომმა ოფიციალური სახელწოდება შეიძინა. დისკს, რომლის პრეზენტაციაც 4 ოქტომბერსაა დაგეგმილი, Around the Sun დაარქვეს, გაყიდვაში კი უკვე 27 სექტემბრიდან გამოვა. სრულიად ახალ სიმღერებთან ერთად, ალბომში შევა ჯგუფის უცნობი ჩანაწერებიც (Wanderlust, I'm Gonna DJ და Final Straw). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერებს მსმენელი სხვადასხვა საკონცერტო გამოსვლებიდან უკვე იცნობს.

რამდენიმე დღის წინათ R.E.M-მა მორიგი საკონცერტო ტურნეს - Vote for Change-ს (ხმა მიეცით ცვლილებებს) დეტალები გაუმხილა ფართო საზოგადოებას. ტურნეში ჯგუფს ბრიუს სპრინგსტინი, ჯონ ფოგერტი და Bright Eyes შეუერთდებიან. ოქტომბრის განმავლობაში ისინი შეერთებული შტატების მსხვილ ქალაქებში გეგმავენ კონცერტებს.

## მოულოდნელი ქორწილი




ნიკი და პერის ჰილტონები წვეულებების სიყვარულით არიან ცნობილნი. მილიონების მემკვიდრეები ლას ვეგასში კვირასაც რიგით წვეულებაზე იმყოფებოდნენ, რომელიც ერთი ამერიკული ილუსტრირებული ჟურნალის ინიციატივით იმართებოდა. ხოლო იმას, რაც ღამით, 2.30 საათზე დატრიალდა, არავინ ელოდა: 20 წლის ნიკი და 33 წლის ტოდ ენდრიუ მეისტერი იქვე, ლას ვეგასის "ქორწინების ეკლესიაში" დაქორწინდნენ.

ცერემონიას მხოლოდ ნიკის და, პერისი და მსახიობი ბიჟუ ფილიპსი ესწრებოდნენ. მანამდე ამ ოთხმა პერის ჰილტონის სერიალის კოლეგასთან, ნიკოლ რიჩისთან ("უბრალო ცხოვრება") ერთად ივახშმა.

იცოდნენ თუ არა ქალიშვილის გადაწყვეტილების შესახებ ნიკის მშობლებმა - ეს ჯერჯერობით უცნობია.

ჰილტონების მეგობარმა "ნიუ იორკ დეილი ნიუსს" მოახსენა, რომ ნიკის ქორწინება ბრიტნი სპირსის ქორწინება არაა. მიუხედავად იმისა, რომ ისიც სრულიად მოულოდნელად და ასევე ლას ვეგასში დაქორწინდა, აქ სულ სხვა ურთიერთობაზეა საუბარი, და ნიკი ბრიტნივით ორ დღეში განქორწინებას არ აპირებს. "ისინი მეგობრები იყვნენ, მეგობრობა კი სიყვარულში გადაიზარდა," წერს გაზეთი.

ჰილტონი და მეისტერი, ფრიად შეძლებული სადაზღვევო მაკლერის ვაჟი, 2003 წლიდან ერთად არიან.

## ახალი იმიჯი

ამ ბოლო დროს კრისტინა აგილერა ახალ იმიჯს ირგებს - ის ხომ უკვე დიდი გოგოა! როგორც ჩანს, სწორედ ამ აზრმა უბიძგა იმისკენ, რის შესახებაც ბრიტანულმა "სანმა" ინფორმაცია გაავრცელა, კერძოდ:

23 წლის მომღერალი თავის პირსინგს შეელია. დასათმობი კი ბევრი ჰქონდა, თერთმეტი ცალი, ზოგი - ყურებში, ზოგი - ჭიპზე, ზოგი - წარბში და ზოგიც ტუჩსა და ენაზე.

კრისტინამ თავის საქციელი საკუთარი თავის წინააღმდეგ აჯანყებით ახსნა. მან მხოლოდ უსაყვარლესი პირსინგი ვერ დათმო, რომელიც მარჯვენა ძუძუსთავს უმშვენებს. გარდა ამისა, კრისტინას გადაწყვეტილების "ღრმად ფსიქოლოგიურ დეტალებში" საზოგადოება მომღერლის "მეგობარმა" გაარკვია: კრისტინა აგილერა თავის ამჟამინდელ შეყვარებულთან, ჯორდან ბეიტმენთან ერთად ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს და არ უნდა, რომ პირსინგმა ცხოვრების უსიამოვნო დღეები მოაგონოს. თან ახლა არც აეროპორტებში ექმნება სირთულეები და ლითონის დეტექტორებსაც იოლად გაივლის.

# გამჭვირვალე და სამართლიანი

### კონკურსები - სამინისტროში დაწყებული რეფორმის ნაწილი

ვერა ნეფარიძე

*დღეიდან კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ კულტურული მემკვიდრეობის, თეატრალური, მუსიკალური და სახვითი ხელოვნების სფეროებში კონკურსი გამოაცხადა. ამიერიდან სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი კულტურული პროექტების დაფინანსებას სამინისტროსთან არსებული მრჩეველთა საბჭო და დარგობრივი კომისიები გადაწყვეტენ. კონკურსი არ შეეხება იმ რამდენიმე ღონისძიებას (ფესტივალებს, საერთაშორისო კონკურსებს), რომელთა ორგანიზება სახელმწიფომ საკუთარ ტრადიციულ მოვალეობად დაიტოვა.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*თამარ ქვარიანი: პირველად კულტურის სამინისტროს ისტორიაში, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პროგრამები განხორციელდება კონკურსების საფუძველზე.*

აქამდე სხვანაირად იყო. კულტურის სამინისტრო ბიუჯეტიდან მისთვის გათვალისწინებულ თანხას პირდაპირი გზით ანაწილებდა. არსებობდა რამდენიმე უწყება, ორგანიზაცია (თეატრი, შემოქმედებითი კავშირი და ა.შ), რომლებიც ყოველწლიურად იღებდნენ გარკვეულ თანხას, მაგრამ შემდეგში (რასაკვირველია, არც მანამდე არსებობდა შეთანხმება, რაში უნდა დახარჯულიყო ეს ფული) არავინ მოჰკითხავდა ამ თანხის მიზანმიმართულ გახარჯვას. თითქმის ყოველთვის, ეს ფული მიდიოდა (ხშირად არც კი ჰყოფნიდა) ამა თუ იმ დაწესებულების თანამშრომელთა სახელფასო ფონდში; რასაკვირველია, კეთდებოდა საქმეც, რომლის საჭიროება თუ მნიშვნელობა საეჭვო იყო. პარალელურად, არსებობდა საინტერესო იდეებიც, რომელთა განხორციელება დაფინანსების არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო. პირველი, რასაც განახლებული სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა შეჰპირდა საზოგადოებას, იყო კულტურული პროექტებისთვის დაფინანსების განაწილების მოწესრიგება.

პირველად კულტურის სამინისტროს ისტორიაში, სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი პროგრამები განხორციელდება კონკურსების საფუძველზე. გამონაკლისის სახით ამ ეტაპზე უკვე არსებობს რამდენიმე ღონისძიება, რომლის პატრონაჟობასაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო საკუთარ უფლებად და მოვალეობად იტოვებს.

მუშაობის მექანიზმი მარტივია. უკვე შექმნილია მინისტრის მრჩეველთა საბჭო და დარგობრივი კომისიები. მათი მოვალეობაა განსაზღვრონ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების თემატიკა. წელს ამ ყველაფრის დასაფინანსებლად, როგორც მინისტრის მოადგილემ, თამარ ქვარიანმა გვითხრა, სამინისტროს მილიონ ლარზე მეტი აქვს გათვალისწინებული. მისივე ინფორმაციით, სამინისტროში მიღებული პროექტების შერჩევისას პრიორიტეტი თანადაფინანსებულ პროექტებს მიენიჭებათ; თუმცა, არ არის გამორიცხული გამონაკლისებიც. სამინისტროში კონკურსებში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებს სექტემბრის შუა რიცხვებამდე მიიღებენ; სავარაუდოდ, ორ კვირაში კი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება შედეგები. და კიდევ ერთი დეტალი: მრჩეველთა საბჭოსა და დარგობრივ კომისიებში სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად იმუშავებენ ექსპერტებიც, რომელთაც არ ეკრძალებათ პარალელურად, საკუთარი პროექტებიც წარადგინონ კონკურსზე. თუმცა, ამ შემთხვევაში, ისინი მექანიკურად გამოირიცხებიან პროექტების განხილვის სამუშაო პროცესიდან. არ იქნება შეზღუდული თითოეულ სფეროში გამარჯვებული პროექტის რაოდენობა. თუმცა, დაკონკრეტებული იქნება ამ სფეროების დასაფინანსებლად გათვალისწინებული თანხა.

კონკურსი გამოცხადებულია: გამოჩენილი პოეტის, ანა კალანდაძის ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად (ამგვარად აღნიშნავს სამინისტრო პოეტის წლევანდელ იუბილეს); თანამედროვე უცხოური პიესების კრებულის გამოსაცემად; თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციის ხელშესაწყობად; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ღონისძიებათა მხარდასაჭერად; კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის სფეროში პროფესიული განათლების დონის ამაღლების ხელშესაწყობად და ა.შ. ამას გარდა, ყველა სფეროში გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერა თავისუფალ პროექტებზე. ამ კატეგორიაში შევა ის წინადადებები, რომლებიც სახელმწიფო პრიორიტეტებს შორის არაა, მაგრამ საინტერესო და სასარგებლო იდეებს სამინისტრო აუცილებლად დააფინანსებს. დეტალებს კონკურსების მიმდინარეობის შესახებ სამინისტროში პერიოდულად მოგვაწოდებენ.

# ჯორჯ ბენსონი ურბანულ ენაზე მეტყველებს



ბევრი ქართველი მელომანის კედლებიდან ახლაც იცქირება ჯორჯ ბენსონი. მისი პლაკატები შარშანდელი ჯაზ-ფესტივალისთვის ტყუილ-უბრალოდ დაიბეჭდა. ბენსონი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ არ ჩამოვიდა. კედლებსაც მისი ფოტო განუცდელი შთაბეჭდილებების ფონად შემორჩა.

თუმცა, ამ ფონის გაცოცხლება მაინც შეიძლება. ბენსონის მუსიკის განცდა მალე მისი ახალი ალბომით იქნება შესაძლებელი. Irreplaceable ("შეუცვლელი") მომღერლისა და გიტარისტის პირველი სტუდიური ჩანაწერი იქნება ოთხწლიანი ინტერვალის შემდეგ.

როგორც ჩანს, მუსიკოსი რიტმ-ენ-ბლუზის განწყობაზე დგას. ახალი ალბომი ხომ სწორედ ამ ჟანრს უბრუნდება. ჟანრს, რომელმაც 1970-80-იან წლებში ბენსონს პოპულარობა მოუტანა. მკვეთრად გამოხატული ჰიპ-ჰოპი, თანამედროვე ურბანული სანელებლები და სტუმრად მიწვეული ახალი ვარსკვლავები ბრაიან მაქნაითი და აშერი - ასეთი იქნება "შეუცვლელი".

თავად მუსიკოსი კი აცხადებს: "მსოფლიო ძალიან ურბანული გახდა. ურთიერთობა გვიწევს სრულიად ახალ აუდიტორიასთან, რომელიც, თავის მხრივ, სრულიად ახლებურ ენაზე მეტყველებს. ამ ახალი ალბომით სწორედ ამ ახალ პუბლიკას ვესაუბრები და თან ისე, როგორც მათ სურთ, რომ ვესაუბრებოდე".

და მართლაც, მუსიკალური კრიტიკოსების აზრით, ბენსონი სრულიად განსხვავებულ ენაზე მეტყველებს. თუ მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეისეირნებთ, წაიკითხავთ თავად ავტორის ციტატასაც, რომელიც ალბომს წინასიტყვაობად ერთვის. ბენსონი წერს: "როცა დი ჯეი გამოაცხადებს - "ახლა თქვენ უსმენდით ჯორჯ ბენსონს", ხალხი გაგიჟდება - " რაა, ეს ბენსონი იყო?" - არავინ დაიჯერებს. ჩვენც სწორედ ეს გვინდა".

არადა, მუსიკოსმა, რომელმაც წერა 10 წლიდან დაიწყო, სახელი ჯაზ-გიტარისტობით გაითქვა. ჩანაწერებმა მაილს დევისთან, ფრედი ჰაბარდთან, დექსტერ გორდონთან და ფრენკ სინატრასთან ბენსონი ყურადღების ცენტრში მოაქცია. თუმცა, დიდ პოპულარობას მან უფრო მოგვიანებით მიაღწია, როცა გამოვიდა Breezin' და This Masquerade - აქ ბენსონი უკვე წამყვან ვოკალს ასრულებდა და თან სოლო-გიტარაზეც უკრავდა. მერე იყო On Broadway და სუპერპოპულარული - Give Me the Night. ბოლოს კი, როგორც ხედავთ, ეს ჯაზურ-პოპური კერძი ისევ ჰიპ-ჰოპში გაითქვიფა. და კედლებზე ჩამოკიდებული და შთაბეჭდილებების გარეშე დარჩენილი პლაკატების შესაცვლელად მუსიკოსმა "შეუცვლელი" გვაჩუქა.

ახალ ალბომში ბენსონის ვოკალი, ცხადია, ისევ მკვეთრად ჟღერს. თუმცა, თვითონ ამბობს - "უდიდეს კვალს მუსიკის ისტორიაში მაშინ დავტოვებ, როცა ყველაფრის თქმისა და ქმნის შემდეგ, გიტარისტად მალიარებენ".

# ყველაზე ლამაზი კიბე

რომში ბაროკოს სტილში გაკეთებული ესპანეთის კიბე, მსოფლიოს კინემატოგრაფისტებისა და მოდელიორების საყვარელი ადგილი, ევროპაში ყველაზე ლამაზ კიბედ მიიჩნიეს. ასეთი შედეგით დასრულდა კომპანია Marketing e tv-ის ეგიდით გამართული გამოკითხვა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ხელოვნებათმცოდნეები და უნივერსიტეტის პროფესორები, ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან, ყველაზე ლამაზად მიიჩნიეს კიბე იტალიის დედაქალაქში, რომელიც მონტის წმიდა სამების ტაძარსა და კონდოტის ქუჩას აკავშირებს (ხმათა 80 პროცენტის აზრით).

კიბე თავის სახელწოდებას აქ მე-17 საუკუნეში მდებარე ესპანეთის საელჩოს უნდა უმადლოდეს. კიბე, რომელსაც ქალბატონები სხვადასხვა დიზაინერთა ჩვენებების სატელევიზიო ჩანაწერებიდან მაინც იცნობენ, ახალგაზრდობის საყვარელი შესაკრები ადგილია. რომის მერი კმაყოფილია შედეგებით: "ესაა აღიარება რომის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობის, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მილიონობით ტურისტი ჰყავს. ამ აღიარებამ პასუხისმგებლობის გრძნობა გაგვიზარდა". ევროპის ულამაზესი კიბეების ჩამონათვალში იტალია კიდევ ერთხელ ფიგურირებს - კერძოდ მერვე ადგილზე მოხვდა კალტაჯირონში სანტა-მარია დელ მონტეს კიბე.



*ოდესის კიბემ სახელი ეიზენშტეინის "პატიომკინის" წყალობით გაითქვა.*

გამოკითხვის შედეგებით, ევროპის რიგით მეორე ულამაზეს კიბედ აღიარეს პარიზში, მონმარტრზე მდებარე კიბე. ათეულის დანარჩენი ადგილები კი წილად ხვდათ: როდოსის კუნძულზე არსებულ ათენის ტაძრის კიბეს; ვენაში Fillgraderstiege-ს, ასევე პრაღის კავალერების კიბეს; ოდესის კიბეს, რომელმაც სახელი ეიზენშტეინის "პატიომკინის" წყალობით გაითქვა; პოტსდამის სან-სუსის, ბუქარესტისა და ბრაგის (ქალაქი პორტუგალიაში) კიბეებს.

# ის თვით კინგ კონგს უყვარდა!

## გარდაიცვალა ლეგენდარული მსახიობი ფეი რეი

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ის 100 კინოფილმშია გადაღებული. ის ეკრანის ათეულობით კერპს უყვარდა, მას აღმერთებდნენ ამერიკის უდიდესი მწერლები, მათ შორის სინკლერ ლუისი და კლიფორდ ოდეტსი. მას ასობით მილიონი კინომაყურებელი ეთაყვანებოდა, მაგრამ ისტორიასა და უკვდავებას ის ერთი ფილმით ეზიარა - "კინგ კონგით", ერთი საყვარლით - ამავე სახელის მქონე უზარმაზარი მაიმუნით.

ცხადია, ლეგენდარულ მსახიობ ფეი რეის ვგულისხმობ. ის 1907 წლის 15 სექტემბერს დაიბადა, ალბერტში, კანადურ ფერმაში, და სამი წლისა შეერთებულ შტატებში, არიზონაში გადავიდა საცხოვრებლად, სწორედ ისეთი საფოსტო დილიჟანსით, როგორებიც უამრავ ვესტერნში გვინახავს. ახლა კი ის გარდაიცვალა, მანჰეტენში, ნიუ იორკში, საკუთარ სახლში. ის 96 წლისა იყო, ჰოლივუდის მუნჯი კინოს ისტორიაში ვარსკვლავთა შორის ცხოვრების ხანგრძლივობის რეკორდი ჰქონდა დამყარებული. მისი მეგობრის, კინორეჟისორ რიკ მაკეის თქმით, რეი წყნარად, ძილში გარდაიცვალა. მან ნამდვილად დაიმსახურა მშვიდი აღსასრული, ცხოვრება ხომ ძალზე ბობოქარი ჰქონდა, და არამარტო ეკრანზე...

ამერიკაში საფოსტო დილიჟანსით ჩასული გოგონა 12 წლისა იყო, როცა მშობლები ერთმანეთს დასცილდნენ, და დიდ ოჯახს სიღატაკის აჩრდილი დაადგა თავზე. ვაინამ, დედამ, გოგონა ლოს ანჯელესში გაგზავნა, მეგობრებთან, იმის იმედით, რომ ანგელოზივით ლამაზ გოგოს კინოკარიერა ელირსებოდა. ტყუილად ხომ არ ჩასულა ამერიკაში კინემატოგრაფიული დილიჟანსით! დედის ოცნება მალე ახდა. 1923 წელს ფეი პირველ ფილმში გადაიღეს: "ბენზინის სიყვარული". ამას რამდენიმე ვესტერნიც მოჰყვა.

ფეის დიდება 1928 წელს ეწვია, როცა "ბებერმა" ერიხ ფონ შტროჰაიმმა შეამჩნია და თავის ფილმში "საქორწილო მარში" პატარძლის როლზე "აკურთხა". ეს ფილმი მუნჯი კინოს კლასიკად იქცა. სხვათა შორის, შტროჰაიმით დაიწყო ფეის მწერალი მამაკაცებით გატაცება, რასაც ის არც მალავდა და რის შესახებაც წერდა თავის ავტობიოგრაფიაში "მეორეს მხრივ". ის 19 წლისა იყო, როცა სცენარისტ ჯონ მონკ საუნდერსს გაჰყვა ცოლად. ქორწინება უილბლო იყო. სცენატრისტი მძინარე ფეის ნარკოტიკებს უკეთებდა, ხოლო შემდეგ სახლი და მთელი ავეჯი გაყიდა და ფული და ქალიშვილი მოსტაცა. ისინი განქორწინდნენ. საუნდერსმა 1940 წელს თავი ჩამოიხრჩო.

მერე უამრავი თაყვანისმცემელი გამოჩნდა, მათ შორის ზემოთ ხსენებული სინკლერ ლუისი და კლიფორდ ოდეტსიც. ამ უკანასკნელთან ფეის ხანგრძლივი რომანი ჰქონდა. 1942 წელს ის ცოლად გაჰყვა სცენარისტ რობერტ რისკინს, რომელმაც ფილმისთვის "ეს ერთხელ ღამით მოხდა" "ოსკარი" მიიღო. ხუთი წლის შემდეგ რისკინი გარდაიცვალა.



ისტორიასა და უკვდავებას ფეი რეი ერთი ფილმით ეზიარა - "კინგ კონგით", ერთი საყვარლით - ამავე სახელის მქონე უზარმაზარი მაიმუნით.

1971 წელს ფეი უკანასკნელად გათხოვდა - თავისი ქმრის მკურნალ ნეიროქირურგ სენფორდ როტენბერგს გაჰყვა. ფეიმ მასზე დიდხანსაც იცოცხლა - როტენბერგი 1991-ში გარდაიცვალა.

ფეი რეის კინოში აქტიურად იღებდნენ, 1942 წლამდე, როცა კინო ხმოვანი და ფერადი გახდა. ამის შემდეგ ის კანტი-კუნტად თუ ჩანდა ხოლმე ეკრანზე. მაგალითად, 1950 წელს მან "გედეონის საყვირში" ჰენრი ფორდთან ერთად ითამაშა. 1953-დან 1955 წლამდე ფეიმ კომედიურ სერიალში "ოჯახის სიამაყეში" ითამაშა. მომდევნო წლებში მან წერას მიჰყო ხელი და რამდენიმე პიესა დაწერა.

1997 წელს ფეიმ კვლავ დაამტკიცა, რომ წერილობითი ფორმის ერთგულია. სცენარისტ ჯულიან ეპსტინთან ერთად, რომელიც ლეგენდარული "კასაბლანკას" ავტორი იყო, მან აშშ-ს კონგრესში ჩვენება მისცა - 1960 წლის შემდეგ მოქმედ სცენარისტთა საავტორო უფლებების დასაცავად.

მიუხედავად ამისა, ფეი რეი ერთი ფილმის მსახიობია, კლასიკური და საკულტო "კინგ კონგისა". ის მისი მწვერვალი იყო, სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. კინოს ისტორიასა და ჩვენს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება კადრები, როცა ფანტასტიკური, გიგანტური მაიმუნი ნიუ იორკში ცათამბჯენ "ემპაირ სტეიტ ბილდინგის" სახურავზე დგას, ცალ ხელში აკანკალებული და აკივლებული ფეი უჭირავს და მეორე ხელით მის ირგვლივ მოტრიალე თვითმფრინავებს იგერიებს.

"კინგ კონგის" პრემიერა 1933 წელს ნიუ იორკში შედგა, ერთდროულად "რადიო სიტი მიუზიკ ჰოლსა" და "როკსიში". მსახიობის მთელი შემდგომი კარიერა მის გაგრძელებად იქცა. ფეი იხსენებდა: "როცა ნიუ იორკში ვარ და "ემპაირ სტეიტ ბილდინგს" შევცქერი, მეჩვენება, რომ ის ჩემია. ან მე ვარ მისი". ის ამ განთქმული ეპიზოდის გადაღებებსაც იხსენებდა. გახსოვთ, რა ნაზად ეკავა ურჩხულს მზეთუნახავი? თურმე, ეს გადაღებების დროს ყველაზე სახიფათო მომენტი იყო. ხანდახან გიგანტური მულიაჟი ხელს შლიდა და მსახიობს საკმაოდ დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნა ემუქრებოდა. ის რეჟისორ კუპერს ევედრებოდა, რამდენიმე წუთით მაინც დაერთო ქვემოთ ჩამოსვლის ნება, რომ სული მოეთქვა, სანამ ტექნიკოსები გორილას ხელს გაამაგრებდნენ.

ლამაზმანის კივილ-წივილიც არანაკლებ დასამახსოვრებელი იყო. მათ გადაღებების დროს არ იწერდნენ. ჩაწერა მთელი დღე გრძელდებოდა. დამდგმელი მსახიობისგან შიშის ზარის აუთენტურ ჟღერადობას მოითხოვდა და მიაღწია კიდეც. როგორ? "თავი დავირწმუნე, რომ არავინ დამეხმარება," - ხსნიდა მსახიობი.

ფეი ამბობდა, რომ წლების განმავლობაში "კინგ კონგი" მრავალი ადამიანისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, სულიერად იქცა". 1976 წელს, როცა "კინგ კონგის" რიმეიკს ამზადებდნენ, სადაც მთავარ როლს ჯესიკა ლანჟი ასრულებდა, ფეის სცენარი გაუგზავნეს და რაღაც ეპიზოდური როლი შესთავაზეს. ფეი განრისხდა და უარი განაცხადა. "სცენარი არ მომწონს და არ ვითამაშებ," - თქვა მან. "ფილმი, რომელიც მე გავაკეთე, არაჩვეულებრივი იყო, ფანტაზიით სავსე, მრავალი სპეციალური ეფექტით, რომლებიც გამეორებაც შეუძლებელია". მსახიობის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე რეჟისორმა პიტერ ჯექსონმა "კინგ კონგის" კიდევ ერთი რიმეიკი ჩაიფიქრა. მან მსახიობი ვახშამზე მიიწვია და ფილმის დასკვნითი სიტყვების გახმოვანება სთხოვა: "ამ სილამაზემ ურჩხული მოკლა". ფეის უარი არ უთქვამს, მაგრამ დასძინა: "უცნაური გამოვა. როგორ შეიძლება, ვინმემ მე მითამაშოს, როცა ჯერაც აქ ვარ?"

ახლა ფეი უკვე იქაა. მისი როლის თამაში შეიძლება. მაგრამ "კინგ კონგი", ისევე, როგორც ჩვენი გულები, მაინც მისი იქნება, მხოლოდ მისი.

# ბეჭდვით-ნოსტალგიური სიახლეები კარლ ლაგერფელდისგან

## შანელი ნიუ იორკში მიდის

სულ რაღაც ერთი თვის წინ ჯერ კიდევ აქტუალურ თემად ითვლებოდა მოდის კვირეულები და ის შედეგი, რაც კარლ ლაგერფელდმა "შანელის" სახელით პუბლიკას უჩვენა. შედეგი კი მართლაც დაუვიწყარი იყო. მან თავის ბოლო შოუშიც მოახერხა მიეღწია იმისთვის, რაც ბევრისთვის ხშირად მიუღწეველია - შეენარჩუნებინა კოკოს მიერ ნაანდერძევი კლასიკურობისა და ქალურობის ოქროს შუალედი და თან სრულიად ახლებური მოდელებიც წარმოედგინა. ლაგერფელდმა საზოგადოება, კიდევ ერთხელ, სწორედ ამით გააოცა - უნარით, კლასიკურობის ჩაკეტილ წრეში ორიგინალური დარჩენილიყო.

ცხადია, კარლ ლაგერფელდის ტვინი ამ წამებშიც განუწყვეტლივ მუშაობს. ახალი თარგები იჭრება, ახალი ქსოვილები იქმნება. თუმცა, პარალელურად მზადდება ერთი, ჯერაც ბოლომდე გაუხმაურებელი პროექტი - შანელის სახლი წარსულის გახსენებას აპირებს და მომავალი წლის გაზაფხულზე გრანდიოზული რეტროსპექტივის მოწყობას გეგმავს.

შანელის თაყვანისმცემლებს ამ ახალ ამბავში განსაკუთრებით ერთი გარემოება გააოცებთ. გამოფენა მეტროპოლიტენ მუზეუმში მოეწყობა, იმ დაწესებულებაში, რომელთანაც მოდის სახლს ოთხიოდე წლის წინ მწვავე კამათი მოუხდა.

ასეა თუ ისე, შანელი ნიუ იორკში ჩავა. ამ ვოიაჟისთვის თავს მოუყრიან ექსპონატებს მისი პარიზული არქივიდან, მეტროპოლიტენის კოსტიუმების ინსტიტუტის კოლექციიდან და სხვა დამოუკიდებელი წყაროებიდან. "მინდა, ყველას წარუშლელი შთაბეჭდილება დარჩეს და ძალიან ლამაზი შოუ გამოვიდეს. როგორ, რა ხერხებით მივაღწევთ ამას, არ მაინტერესებს", - აცხადებს კარლ ლაგერფელდი პრესასთან საუბარში.

თუმცა, იყო დრო, შანელის თავკაცი კიდევ უფრო მეტი წვრილმანებითაც ინტერესდებოდა. მეტროპოლიტენში შეღწევა მისი მოდის სახლს 2000 წლის გაზაფხულზე ხომ საშინლად გაუჭირდა. დავის მიზეზი მაშინ ძალაუფლების გაყოფა გახდა. ლაგერფელდი და მუზეუმის ხელმძღვანელები ვერ შეთანხმდნენ. "საერთოდ არ მაინტერესებს გამოფენა, რომელზეც მხოლოდ ძველი კაბებია წარმოდგენილი", - თქვა მაშინ შანელის მთავარმა დიზაინერმა და პროექტზე გული საერთოდ აიყარა. მეტროპოლიტენმა რეტროსპექტივა გააუქმა, შანელმა კი დასაფინანსებლად გამოყოფილი 1 მილიონი დოლარი უკან წაიღო.

ახლა მეტროპოლიტენს კოსტიუმების დარგში ახალი კურატორი ჰყავს, რომელსაც საგაზაფხულოდ დაგეგმილ გამოფენაში ერთი დეტალი ხიბლავს განსაკუთრებულად - შანელის რეტროსპექტივა დღემდე არავის მოუწყვია და ე.ი. მეტროპოლიტენი ამ საქმის პიონერი იქნება.



ლაგერფელდმა საზოგადოება, კიდევ ერთხელ, სწორედ ამით გააოცა - უნარით, კლასიკურობის ჩაკეტილ წრეში ორიგინალური დარჩენილიყო.

და მართლაც, ლონდონში ჯორჯო არმანისა და პარიზში გამართული ჟან პოლ გოტიეს რეტროსპექტივების შემდეგ, მოდის სამყაროს შანელის ძირფესვიანად გახსენება უთუოდ გადაახალისებს. მით უფრო, რომ მსგავსი რამ პირველად მოხდება. "არა მგონია, მე-20 საუკუნეს კიდევ ჰყავდეს რომელიმე სხვა დიზაინერი, რომელსაც ქალის ცვალებადი პიროვნება ასე სრულყოფილად გადმოეცეს. კოკო შანელი მოდის მოდერნიზმის სათავეა, დედაა", - აცხადებს მეტროპოლიტენის კოსტიუმების კურატორი და გაზაფხულისთვის ემზადება.

შანელში კი კვლავაც ამუშავებენ კოკოს კლასიკურ და უბრალო იდეებს; იდეებს, რომლებიც ერთ დროს საოცრად რადიკალური ეჩვენა საზოგადოებას და მოდის სამყაროში გადატრიალების მიზეზიც გახდა.

კარლ ლაგერფელდი კი ფუნქციონალიზმსა და ფუფუნებას შორის ოქროს შუალედის პოვნის გარდა კიდევ ერთი პროექტით ინტერესდება. ის ენდი უორჰოლს იხსენებს და მისი ჟურნალის "ინტერვიუს" 1969-79 წლების ნომრების ტომეულებად გამოშვებას გეგმავს.

ამ უნიკალურ ბეჭდვით პროექტს ლაგერფელდის საგამომცემლო კომპანია Editions 7L ახორციელებს. შეზღუდული ტირაჟის მქონე კრებული შვიდ ტომად დაიყოფა და სხვადასხვა თემატიკას მოიცავს, მაგალითად, მოდას, კინორეჟისორებსა და თვითონ ენდი უორჰოლთან ინტერვიუებს. თითოეულ ტომს ჟურნალების ორიგინალი დიზაინი დაამშვენებს. ლაგერფელდი წიგნის პრეზენტაციას ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის აპირებს. ფასი კი ისეთი იქნება, როგორიც შანელის მოდის სახლის მთავარ დიზაინერს შეჰფერის - 450 დოლარი.

ასე რომ, ლაგერფელდი მალე პუბლიკას ორი ახალი პროქტით წარუდგება. ბეჭდვითი პრეზენტაციასა და გრანდიოზულ რეტროსპექტივას შორის კი მოდის კვირეულებზე გამოტანილი ახალ-ახალი კოლექციებით იზრუნებს მსოფლიოს ესთეტიკურად გართობაზე.

# ჩვენი დროის გმირები

*ყველა დროს თავისი კერპები ჰყავს მუსიკაშიც. ზოგჯერ ეს კერპები ქმნიან მოდას, მუსიკალურ სტილს, აყალიბებენ მსოფლმხედველობას, რომელსაც შემდგომ მილიონები ითავისებენ. მაგრამ, ხდება პირიქითაც - როდესაც ჩნდებიან ჯგუფები თუ ცალკეული შემსრულებლები, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოს "პროგრესულ" იდეებს უწევენ პოპულარიზაციას. ასეა Scissor Sisters-ის (ითარგმნება, როგორც "დები მაკრატელები") შემთხვევაშიც. მათი გამოჩენა ნამდვილად "დროული" იყო: აპოკალიფსური სულისკვეთებითა და ფორმებით გამორჩეული სანახაობა ლოგიკურად ჩაჯდა ნიშაში, რომელიც სწორედ ამ ახალგაზრდებს ელოდა.*

ისინი არ გვაწუხებენ მსოფლიოს სხვადასხვა მუსიკალური გამოცემების გარეკანებიდან; სამაგიეროდ, ყველაზე სტატუსიანი გამოცემის - ინგლისური ჟურნალის Q-ს ფურცლებიდან გვეპრანჭებიან. მათ კონცერტებზე არნახული ანშლაგებია. ლოს ანჯელესის საკონცერტო დარბაზმა ვერც კი დაიტია ჯგუფის თაყვანისმცემლები. Scissor Sister გამოდის ლონდონის "უემბლის" სტადიონზე "დიურან დიურანთან" ერთად. ივლისის დასაწყისში სცენა პიტერ გაბრიელთან და AIR-თან ერთად გაინაწილეს. მათი კონცერტის "გასახურებლად" Lamb-მა დაუკრა. "დების" პირველი ალბომი Scissor Sisters დიდ ბრიტანეთში გამოსვლისთანავე იღებს პლატინის სტატუსს და, რასაკვირველია, ხვდება ბესტსელერების ათეულში. ლაიზა მინელი მათი კონცერტისთვის თვალის დევნებას კულისებიდან ამჯობინებს, რომ ხელი არავინ შეუშალოს სიმღერასა და ცეკვაში. ამ ჯგუფის შემოქმედებაზე იმასაც ამბობენ, ეს ყველაფერი მეტად ბანალური კომპოზიციებიაო. "დები" თითქოს უჩვეულო მუსიკას უკრავენ. მის დასახასიათებლად მუსიკალურ ენაზე უბრალოდ, ასე ჩამოთვლიან ხოლმე: დისკო, რეტრო, დევიდ ბოუი, ელტონ ჯონი, "დიურან დიურანი".

ნიუ იორკული კოლექტივი Scissor Sisters - წლის ყველაზე ხმაურიანი სენსაციაა; მუსიკალური ეკლექტიკურობით ყველაზე ჰიპერმასშტაბური პროექტი საკუთარ თავში აერთიანებს ფანკს, ეისიდ-ჯაზსა და სინთი-პოპს. ისინი ნამდვილი გართობის სიმბოლოებად იქცნენ. მათი კონცერტები ფერადი სანახაობებია. ექსტრავაგანტულად გამოწყობილი მუსიკოსები სცენაზე სპექტაკლებს დგამენ. The REAL FUN!, - ამიტომაც უწოდებენ ასე Scissor Sisters-ს ნიუ იორკის შოუბიზნესის ოლიმპზე. მაგრამ ძირითადი, რაც ამ კოლექტივს ახასიათებს, ეს უსქესობის პროპაგანდაა. ჯგუფში ერთი ქალბატონია, თუმცა, ერთი შეხედვით ამას ვერ მიხვდებით.



Scissor Sisters-ის გამოჩენა ნამდვილად "დროული" იყო.

Scissor Sister-ის შესრულებული ყველა სიმღერა ჰიტია, რომლებიც იმით გამოირჩევა, რომ აუცილებლად დასამახსოვრებელია. სიმღერის ტექსტები რომანებად შექმნილი, გრძელი, გასართობი და პერვერსიულია. ვოკალური შესრულების მანერა - საკმაოდ ენერგიული. ესაა გლემ-როკი; ეისიდ-ფანკი; თუმცა, 14 აგვისტოს, მოსკოვში გამართული კონცერტის შემდეგ ისიც თქვეს, Scissor Sisters, უბრალოდ, ცდილობს, დაამტკიცოს, რომ დისკო მარადიულიაო...

ნიუ იორკელი მუსიკოსების ყველა სიმღერა სარკაზმითაა გაჟღენთილი. არაფორმალები ნიუ იორკიდან; მორალური თვალსაზრისით, აბსოლუტურად ლიბერალური კოლექტივი - რას აღარ ამბობენ Scissor Sisters-ის შესახებ. ჯგუფის განსაკუთრებული ისტორია ასეთია - მათ შექმნეს "პინქფლოიდის" Comfortably Numb-ის საკუთარი ვერსია, მოულოდნელი და სრულიად ახლებური. მართალია, მუსიკოსებმა ის სადებიუტო სინგლის Electrobix მეორე მხარეს მოათავსეს, მაგრამ სწორედ ამ ჩანაწერმა მოუტანა კოლექტივს წარმატება და პოპულარობა.

ამჟამად Scissor Sisters ევროპულ და ამერიკულ გასტროლებზე არიან პირველი ალბომის მხარდასაჭერად. ალბომი "უნივერსალმა" გამოსცა და ჯერჯერობით ყველანაირი შანსი აქვს გახდეს 2004 წლის საუკეთესო ჩანაწერი.

ათენი-2004

| 17 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **ტყვიით სროლა** | | |
| სპორტული პისტოლეტი 50მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მიხეილ ნესტრუევი | რუსეთი |
| ვერცხლი | ჩჟინ ჩჟონი | სამ. კორეა |
| ბრინჯაო | კიმ ჩჟონ სუ | ჩრდ. კორეა |
| სასტენდო სროლა | | ვაჟები |
| ოქრო | აჰმედ ალ-მაქთუმი | ემირატები |
| ვერცხლი | რაჯიავარდჰან რათჰორი | ინდოეთი |
| ბრინჯაო | ვანგ ჩენგი | ჩინეთი |
| **ძიუდო** | | |
| 81კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | ილიას ილიადისი | საბერძნეთი |
| ვერცხლი | რომან გონტიუკი | უკრაინა |
| ბრინჯაო | დიმიტრი ნოსოვი | რუსეთი |
| | ფლავიო კანტო | ბრაზილია |
| 63კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | აიუმი ტანიმოტო | იაპონია |
| ვერცხლი | კლაუდია ჰაილი | ავსტრია |
| ბრინჯაო | დრიულის გონსალესი | კუბა |
| | ურშკა ჟოლნირი | სლოვენია |
| **ცურვა** | | |
| თავისუფალი სტილი. 200მ. | | ქალები |
| ოქრო | კამილა პოტეჩი | რუმინეთი |
| ვერცხლი | ფედერიკა პელეგრინი | იტალია |
| ბრინჯაო | სოლენ ფიგუესი | საფრანგეთი |
| ბატერფლაი. 200მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მაიკლ ფელპსი | აშშ |
| ვერცხლი | ტაკაში იამამოტო | იაპონია |
| ბრინჯაო | სტივენ პარი | ბრიტანეთი |
| კომპლექსური. 200მ. | | ქალები |
| ოქრო | იანა კლოჩკოვა | უკრაინა |
| ვერცხლი | ამანდა ბეარდი | აშშ |
| ბრინჯაო | კირსტი კოვენტრი | ზიმბაბვე |
| 4x200მ. თავისუფალი სტილი | | ვაჟები |
| ოქრო | აშშ | |
| ვერცხლი | ავსტრალია | |
| ბრინჯაო | იტალია | |
| **ფარიკაობა** | | |
| პირადი პირველობა. ხმალი | | ქალები |
| ოქრო | მარიელ ზაგუნისი | აშშ |
| ვერცხლი | ტან ჰუ | ჩინეთი |
| ბრინჯაო | საშა იაკობსონი | აშშ |
| პირადი პირველობა. მახვილი | | ვაჟები |
| ოქრო | მარსელ ფიშერი | შვეიცარია |
| ვერცხლი | ვანგ ლეი | ჩინეთი |
| ბრინჯაო | პაველ კოლობკოვი | რუსეთი |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| გუნდური | | ქალები |
| ოქრო | რუმინეთი | |
| ვერცხლი | აშშ | |
| ბრინჯაო | რუსეთი | |

# "სირტაკი"

კახა ფარჯაშვილი
*ათენიდან*

მსაჯის მიერ ილიას ილიადისის გამარჯვების დაფიქსირება და ძიუდოს დარბაზის "დანგრევა" ერთი იყო. ბერძნებმა "სირტაკის" ცეკვით მთელი დარბაზი შემოიარეს. გუშინ ძიუდოს დარბაზში სხვას არაფერი ესაქმებოდა; ბერძნების დღე იყო. ილიას ილიადისმა საბერძნეთის ნაკრებს ოლიმპიური ოქრო მოუპოვა, ბერძნებს კი არნახული სიხარული აჩუქა. ახლა სპორტის იმ სახეობათა ნუსხას, სადაც ბერძნებს სიტყვა ეთქმით, ძიუდოც დაემატა.

"ეს კიდევ რა არის. ზეიმი ქალაქში უნდა გენახა, მაგრამ ათენი დაცლილია და ვერაფერს გავაწყობთ", - ამბობდნენ ძიუდოს დარბაზში დაკავებული მოხალისეები. როცა ბერძნებმა ცეკვით გული იჯერეს, დაჯილდოების დროც დადგა. ილიადისის გამოჩენაზე დარბაზი ხელმეორედ "დაანგრიეს" (მაინც რა მყარი ყოფილა ძიუდოს დარბაზი). ახალი ცოცხი კარგად გვისო, - სწორედ ამაზეა ნათქვამი. ილიას ილიადისს დაფნის გვირგვინი დაახურეს, ოქროს მედალი ჩამოჰკიდეს და გუშინდელი დღეც დასრულდა.

ილიადისი ისევე, როგორც მისი მწვრთნელი, საბერძნეთში საქართველოდან გადაიხვეწა. მწვრთნელი სოხუმელი ბერძენია. მან ილიას ილიადისი იშვილა და საბერძნეთის ნაკრებში აჭიდავებს. ილიასის გარდა, მწვრთნელს კიდევ ხუთი გერი მაინც ჰყავს და ყველა მათგანი ელადის ღირსებას იცავს. ასე აგროვებს ელადისთვის "მამლუქებს" ბერძენთა მთავარი მწვრთნელი და არც გაემტყუნება. საბერძნეთმა ძიუდოში ოქრო მოიგო, ჩვენ კი კვლავ მოლოდინით ვცოცხლობთ.

"ფანტასტიკურია! არ მოველოდითქო, რომ ვთქვა, უხერხული იქნება, მაგრამ ყველაფერი მიანც ფანტასტიკის სფეროს მაგონებს, - ამბობს გამარჯვებისგან გაოგნებული ბერძენი, - ამ გამარჯვებას უდიდესი ძალისხმევა შევალიე და მოხარული ვარ, რომ დამიფასდა. მეტოქეები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ მეგონა, თუ რომელიმე მედალს მოვიგებ, ესეც ხეირია-მეთქი. ახლა კი, როგორც ხედავთ, ჩემს ხალხს ოქრო ვაჩუქე. მინდა, მათ მხარდაჭერისთვის უღრმესი მადლობა გადავუხადო. მათი თანადგომა ჩემთვის საუკეთესო ჯილდო იყო".



*ილიადისმა ბერძნულ ოქროს გემო გაუსინჯა.*

რაც მართალია, მართალი - გუშინდელი დღე მაგრად ჩავაგდეთ. გრიგოლ მამრიკიშვილმა ერთი უსუსტესი ბრძოლა ჩაატარა, ესტონელ ბუდოლინთან დამარცხდა და ოლიმპიადას დაემშვიდობა, რადგან ბუდულინიც იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ მომდევნო ბრძოლა ბრაზილიელ ფერნანდო კანტისთან იოლად დათმო.

დილით მამრიკიშვილის ბრძოლაზე გვაგვიანდებოდა. ავტობუსმა შეგვაყოვნა და მე, ალეკო ჯიბლაძე და ზურაბ თალაკვაძე ძიუდოს დარბაზისკენ თავპირისმტვრევით გავექანეთ. ამის გამო, პოლიციაც შევაწუხეთ და გვერდით მდგომი ჟურნალისტებიც. ვცდილობდით, შემოწმება სწრაფად გაგვევლო და არავის ვერიდებოდით. უცხოელი კოლეგები მივწი-მოვწიეთ და გზა გავიკვლიეთ. "ეი, ეი!" - დაგვადევნეს უცხოელებმა. თურმე, სად გავრბოდით? მამრიკიშვილი საქართველოს ნაკრებში ყველაზე სუსტი წერტილი აღმოჩნდა. მან ბუდოლინს ილეთის მსგავსიც კი ვერაფერი გაუკეთა. მოჩვენებითი აქტიურობით ესტონელს სამი გაფრთხილება კი მიაღებინა, რაც ვაზარის ტოლფასია, მაგრამ ეს იყო და ეს. სამაგიეროდ, მანამდე ბუდოლინის ფანდზე ორჯერ წამოეგო. მსაჯმა ერთხელ ვაზარი დააფიქსირა, მეორედ იუკო და ესტონელი მეორე წრეში გავიდა, სადაც ისიც დამარცხდა.

დღეს ზურაბ ზვიადაური ჭიდაობს - ჩვენი გუნდის იმედი. ის მედლის ყველაზე რეალურ კანდიდატად მოიაზრება. ოქროს მედლის ფავორიტიც იქნებოდა, მაგრამ ოლიმპიური თამაშების გამოცდილება არ აქვს. ოლიმპიადა კი, მოგეხსენებათ, სულ სხვა განზომილებაა. სწორედ ამ გამოუცდელობის გამო წააგო ზვიადაურმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ასეა თუ ისე, მედალს ველოდებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზვიადაურს ურთულესი ბადე ერგო და, თუ იქედან ფინალში გააღწია, წინ ვეღარაფერი უნდა დაუდგეს.

პირველ ეტაპზე ქართველ ფალავანს 29 წლის გამოცდილი იტალიელი ძიუდოისტი ფრანჩესკო ლეპრე ერგო მეტოქედ. ეს იტალიელი მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. მეორე წრეში თუ გაიმარჯვებს, ზვიადაურს რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხასანბი ტაოკი ელოდება. მეოთხედფინალში კი ფრანგი ფედერიკ დე მონტვაგონი - საფრანგეთის ნაკლების 31 წლის ერთ-ერთი ლიდერი. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ მთავარია ფინალამდე გაღწევა.

შოთა ხაბარელი: "მე რომ მკითხო, მამრიკიშვილს მსაჯებმა წააგებინეს. ვაზარის შემდეგ ესტონელი მთლიანად მოეშვა და, ფაქტობრივად, აღარ ინძრეოდა. თუ დაუკვირდით, ყველა კონტაქტზე ტატამზე იშხლართებოდა და მსაჯს შეჯიბრებიდან უნდა მოეხსნა. აპირებდა კიდეც მეოთხზე გაფრთხილების მიცემას, რაც ავტომატურად ხსნიდა მას ბრძოლიდან, მაგრამ გვერდითმა მსაჯებმა აღარ აცალეს.

**- ბატონო შოთა, მე კი დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მამრიკიშვილს შანსი არ ჰქონდა.**

- შანსი როგორ არ ჰქონდა, მაგრამ ესტონელი მუდმივად წვებოდა და ასეთ პირობებში ჭიდაობა ძალიან ძნელია.

**-ტატამზე გორაობისთვის ბუდოლინი სამჯერ გააფრთხილეს**

- უნდა მოეხსნათ! მეოთხედაც უნდა გაეფრთხილებინათ. აპირებდნენ კიდეც, მაგრამ დრო აღარ დარჩა.

**- როგორ ფიქრობთ, მეორე წრეში მამრიკიშვილს რაიმე შანსი ექნებოდა?**

- მერე იჭიდავებდა. უბრალოდ, სადებიუტო ბრძოლა ისე ვერააწყო, როგორც საჭირო იყო.

**- მიგაჩნიათ, რომ ის ჩვენს გუნდში ყველაზე სუსტი იყო?**

- კი, მართალია, ლიცენზია ბოლოს აიღო, მაგრამ კარგად იყო მომზადებული.

**- ხვალ ზვიადაური ჭიდაობს. როგორია მისი მდგომარეობა?**

- ზვიადაური ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. ის კარგად არის მომზადებული, ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც, მაგრამ მას უაღრესად რთული ბადე შეხვდა და პირველივე წრეში სერიოზულ მეტოქესთან უწევს ბრძოლა.

# უკვე მუშტებსაც ვიქნევთ

## იზორია მეთექვსმეტედფინალშია

გიგა გურასაშვილი

ათენში მოასპარეზე ქართველებს გუშინ მოკრივეებიც შეუერთდნენ. 57 კგ. წონით კატეგორიში მოხდა ისე, რომ 32 მონაწილეზე ნაკლები მოგროვდა - ანუ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მოკრივეთა ერთ ნაწილს მეთექვსმეტედფინალიდან მოუწია დაწყება; ხოლო ის იღბლიანები, რომლებსაც კენჭისყრაში გაუმართლათ, პირდაპირ მერვედფინალიდან აიღებენ გეზს. იმ იღბლიანთა შორისაა კონსტანტინე კუპატაძე, რომელიც 20 აგვისტოდან ჩაებმება ასპარეზობებში და პირველ შეხვედრაში ჩრდილოკორეელ კიმ სონგ გუკს, იმედია, კარგადაც უთავაზებს. გუშინდელი დაპირისპირებებიდან კი, ქართველთაგან, რინგზე მხოლოდ ნიკოლოზ იზორიას (51კგ.) უხმეს.

ევროპის ვიცე-ჩემპიონმა იზორიამ ოთხივე რაუნდში კარგად იბრძოლა. გამორჩეული აღმოჩნდა პირველი და დასკვნითი - მეოთხე რაუნდები, რომლებმაც შეხვედრის ბედი გადაწყვიტეს კიდეც; ქულათა მაქსიმუმი სწორედ პირველ და მეოთხე რაუნდებში დააგროვა - 7:3; 8:3. მეტ-ნაკლებად რთული გამოდგა შუა ნაწილი - მეორე და მესამე რაუნდები. ორივე მოკრივე რინგზე საკმარისად მოძრაობდა, მაგრამ ეს მოძრაობები უფრო ქაოტური იყო.



*იზორიამ (მარჯვნივ) პირველი ეტაპი გადალახა.*

თუმცაღა, ტუნისელმა რამდენჯერმე საკმაოდ შეუტია ქართველ მოკრივეს, მაგრამ იზორიას დაცვას ვერაფერი მოუხერხა. მეორე რაუნდიც ქართველის გამარჯვებით დასრულდა - 5:4. მესამე რაუნდი "მშვიდობიანი" აღმოჩნდა - 4:4.

ერთი სიტყვით, მსაჯთა დათვლით, იზორიამ ტუნისელ მეტოქეს საკმაო უპირატესობით სძლია. ბუნებრივია, შეხვედრის დასრულების შემდეგ, გამარჯვების ნიშნად, იზორიას აუწიეს მარცხენა მკლავი. ქართველი მოკრივე სწორედ მარცხენა დარტყმებით გამოირჩევა. არადა, ორთაბრძოლის დასრულებისთანავე ტუნისელმა ისე აღმართა ხელი, თითქოს გამარჯვება მას მოეპოვებინოს და არა - იზორიას. მართალი გითხრათ, ჩერიფის ამ საქციელმა, ცოტა არ იყოს, დამაბნია: რამე ხომ არ გამომრჩა, ტუნისელმა ხომ არ მოიგო-თქო. მაგრამ, ეს ტუნისელის უბრალო ჟესტი იყო, რომლითაც, ალბათ, საკუთარ თავს ინუგეშებდა.

ვინც გაიმარჯვა, ყველამ კარგად ნახა - ნიკოლოზ იზორია მეთექვსმეტედფინალშია.

# სიყვარულით გადარეული

გიგა გურასაშვილი

*ახლა ათენში იმდენი გულშემატკივარი თუ ტურისტია, თავს ვერავიზე დადებ, - უწყინარიაო. დაბეჯითებით ვერც იმას გეტყვით, - გიჟი იყო-თქო, მაგრამ წყალში მხტომელთა ასპარეზობაზე ერთმა კაცმა ისეთი რამ ჩაიდინა, რომ მისი ამბავი ათენს გასცდა და ჩვენამდეც მოაღწია.*

ორშაბათს, როდესაც წყალში მხტომელები სანუკვარი ჯილდოებისთვის სამმეტრიანი ტრამპლინიდან ერთმანეთის მიყოლებით სინქრონულად ეშვებოდნენ აუზში, ერთმა თავზე ხელაღებულმა იმდენი მოახერხა, რომ მომსახურე პერსონალსა თუ უსაფრთხოებაზე მზრუნველ მუშაკებს თვალსა და ხელს შუა დაუძვრა და წამებში თავად აღმოჩნდა ტრამპლინზე. ვიდრე აუზის ტერიტორიაზე განლაგებული დაცვა ყურს გამოიფხეკდა, ის თავზეხელაღებული მაყურებლებს მიესალმა და ჰოპლა... ეტყობა, წყალში მხტომელობა ბავშვობის განუხორციელებელ ოცნებად ჰქონდა შემორჩენილი. ისე, ამაზე უკეთეს ადგილს და დროს სადღა ნახავდა?! ოლიმპიურ თამაშებს ხომ მილიარდობით ტელემაყურებელი ჰყავს. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლებოდა?!

ვერ გეტყვით, მისმა ნახტომმა მსაჯებისგან რა შეფასება დაიმსახურა, მაგრამ ვიდრე ეს უკანასკნელნი გაოცებულები ერთმანეთს შეჰყურებდნენ, დაცვის მუშაკები კი იმაზე ფიქრობდნენ, როგორ ამოეყვანათ "წყალში მხტომელი" აუზიდან, ერთ-ერთმა მოხალისემ, არც აცია, არც აცხელა, და ტანსაცმლიანად წყალში გადაეშვა, რათა წესრიგის დამრღვევი აუზიდან ამოეყვანა. ეს იყო ორშაბათს, გუშინ კი იმ უცნობის ნამოქმედარის დეტალები სააშკარაოზე გამოამზეურეს. ირკვევა, რომ საარაკო ნახტომის ავტორი ვინმე კანადელი გულშემატკივარი ყოფილა და ამგვარი საქციელით ცოლისთვის სიყვარულის დამტკიცება სდომებია - ვერაფერს იტყვი, საპატიო მიზეზია.

"ათენი-2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორის მარტონ სიმიტსეკის თქმით, კანადელი გულშემატკივარი, რომელმაც ტრამპლინიდან ისკუპა, არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფილა და ახლა უკვე პოლიციის მიერ დაკავებულს ათენის რაიონულ სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა. ამბობენ, - საქმეს ჩვეულებრივი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მიმართულება მიეცაო.

აღმასრულებელმა დირექტორმა კი მომხდარი მშვიდად აღიქვა და დასძინა, რომ, ამის გამო, რაიმე განსაკუთრებული ზომების მიღებას არ აპირებენ.

შესაძლოა, უსაფრთხოების მუშაკთა რიცხვი გავზარდოთ, რომლებიც მოხლისეთა ფორმებში იქნებიან გადაცმულები. მაგრამ, არავის ვურჩევ, ოლიმპიადის უსაფრთხოების სისტემა გამოსცადოს, რადგან იგი ძალზე საიმედოაო; აბა?!

ორშაბათის წყალში მხტომელთა ასპარეზობები ისედაც სასიამოვნო, უფრო სწორად, უჩვეულო სანახაობა გამოდგა - გაიმარჯვა ბერძენთა ტანდემმა - ნიკოლაოს სირანიდისმა და ტომას ბიმისმა. უჩვეულო კი ისაა, რომ ბერძნები წყალში ხტომაში დიდი ტრადიციებით ვერ დაიკვეხნიან. ამ შემთხვევაში კვარცხლბეკის საფეხურებზე შედგომის პატივისთვის რუსები, ჩინელები, გერმანელები, ავსტრალიელები, ამერიკელები იბრძვიან ხოლმე. მასპინძლებისთვის კი, გარდა იმისა, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების პირველი ოქროს მედლები დაისაკუთრეს, ამგვარი წარმატება მთლიანად საწყლოსნო სახეობათა ისტორიაში პირველი გახლავთ 1896 წლის შემდეგ და, ბუნებრივია, პირველი - წყალში ხტომაში!

უნდა ითქვას, რომ ბერძენთა წარმატება ფავორიტების - ჩინელების და რუსების "დამსახურებაა", რომლებიც ლიდერობდნენ კიდეც, მაგრამ ჯერ იყო და ჩინელებმა დაკარგეს ორიენტაცია, მერე იგივე რუსებს მოუვიდათ. აქვე ისიც დავსძინოთ, რომ მეორეზე - გერმანელები, ხოლო მესამეზე ავსტრალიელები გავიდნენ. რუსებმა და ჩინელებმა კი, შესაბამისად, მეშვიდე მერვე ადგილები დაიკავეს.

TV-სპორტი

**ოთხშაბათი. 18 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 ოლიმპიადის დღიური
08:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 51კგ. 54კგ. წინასწარი შეხვედრები
09:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. მეორე წრე
10:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. სერბეთი და მონტენეგრო - ტუნისი
12:15 ოლიმპიური პრესცენტრი
12:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. ისლანდია - სლოვენია. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:00 ოლიმპიური პრესცენტრი
15:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. კორეა - მალი
16:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ქალები. ბირთვის კვრა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ოლიმპიური პრესცენტრი
18:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. მძლეოსნობა. ვაჟები ბირთვის კვრა. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცაია
19:40 ოლიმპიური პრესცენტრი
19:55 ოლიმპიადის დღიური
20:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცურვა. ნახევარფინალები და ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. სამჭიდი. წინაღობათა გადალახვა. პირადი პირველობა. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ვაჟები. 69კგ.
23:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 48კგ. +91კგ. წინასწარი შეხვედრები
00:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. მშვილდოსნობა. ქალები. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ფინალი
01:30 ოლიმპიადის დღიური
02:00 02:00-დან 03:25-მდე შესვენება
03:25 ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "ინტერნასიონალი". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
06:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. სერბეთი და მომნტენეგრო - ტუნისი
08:40 "ოლიმპიური ოდისეა"
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. ბრაზილია - იტალია
12:45 გადაძახილი
13:40 ოლიმპიური პრესცენტრი
13:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. სასტენდო სროლა. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 48კგ. წინასწარი შეხვედრები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტყვიით სროლა. ვაჟები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტი, 25მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:10 ოლიმპიური პრესცენტრი
17:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძიუდო. ქალები. 70კგ. ვაჟები. 90კგ. მატჩი მე-3 ადგილისთვის. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ქალები. რუსეთი - უნგრეთი
20:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ქალები. 63კგ.
20:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. ესპანეთი - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ქალები. ბრაზილია - რუსეთი
23:30 "ოლიმპიური დღე". უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
00:00 "მითი და რეალობა"
00:10 "თემა"
00:40 "ოლიმპიური ოდისეა"
01:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. გერმანია - რუსეთი
03:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. მესამე წრე
04:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. პარაგვაი - იტალია

**EUROSPORT**
06:00 ძიუდო. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:45 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
11:15 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
12:45 ნაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 ოლიმპიადის სიახლეები
14:00 ველოსპორტი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ველოსპორტი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
20:15 ოლიმპიადის სიახლეები
20:30 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:15 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
01:00 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:30 ცხენოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:30 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში

ათენი-2004

# WASHINGTON POST: "ისწავლეთ ღირსეულად წაგება!"

*ამერიკის მოცურავეთა ნაკრების წევრები ირწმუნებიან, რომ კვირას 100 მეტრზე ბრასით მოცურავეთა ფინალში გამარჯვებული იაპონელი კოსუკე კიტაჯიმა ყალთაბნდია. ერთი სიტყვით, არონ პირსოლმა და ჯეისონ ლეჟაკმა ერთგვარი საპროტესტო ტალღა ააგორეს: კიტაჯიმამ ყველანაირი წესი დაარღვია და ამგვარად მოიპოვა მეტოქეებზე გამარჯვებაო, პირველ ყოვლისა კი - ჩვენს თანაგუნდელ ბრენდონ ჰანსენზეო.*



*კიტაჭიმას ყალთაბანდობაში ადანაშაულებენ.*

პირსოლისა და ლეჟაკის აზრით, - კიტაჯიმამ სასტარტო ბაქნიდან რომ ისკუპა, საწყისი ეტაპის წყალქვეშ გაცურვისას ბატერფლაის სტილი გამოიყენაო. ბუნებრივია, ბრასით ცურვისას და ნებისმიერ დისციპლინაში სხვა სტილის გამოყენება აკრძალულია. ამერიკელები თვლიან, რომ, ბატერფლაის გამოყენებით, იაპონელმა ორი მეათედწამიანი უპირატესობა იგდო ხელთ, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის - 1 წუთი, 0,08 წამი. ბრენდან ჰანსენი კი, რომელიც, სხვათა შორის, აღნიშნულ დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდის ავტორია, აუზის კიდესთან, 0,17-წამიანი დანაკლისით, მეორე მიცურდა.

"მთელმა სტადიონმა დაინახა, ის რაც სტარტის შემდეგ მოხდა, - აცხადებს პირსოლი. - მან იცოდა, რასაც აკეთებდა. ამას ყალთაბანდობა ჰქვია".

თანაგუნდელს კვერს უკრავს ლეჟაკიც - მეტიც, მისი მტკიცებით, კიტაჯიმამ ამავე ხერხს შარშან ბარსელონას მსოფლიოს ჩემპიონატზეც მიმართაო. ბარსელონაში კი იაპონელმა 100 და 200 მეტრებზე ბრასში მოიპოვა ჩემპიონობა.

ამერიკელებს გული სტკივათ, რომ ოქროს მედალი, რომელიც ჰანსენის საკუთრება უნდა ყოფილიყო, იაპონელმა მოიპოვა. მსაჯებს, რომლებიც ოლიმპიურ აუზში 100 მეტრზე ბრასით მოცურავეთა ფინალურ გაცურვას ადევნებდნენ თვალ-ყურს, იაპონელის გაცურვაში არანაირი დარღვევა არ შეუმჩნევიათ.

ბუნებრივია, ამერიკელთა ბრალდებებს უარყოფს თავად იაპონელიც: სრულად ვიცავდი დადგენილ წესებსო.

თანაგუნდელებისგან განსხვავებით, თავშეკავებული, კეთილშობილი და თვითკრიტიკული აღმოჩნდა "დაზარალებული". ჰანსენს, იაპონელის გამარჯვების გამო, უკმაყოფილება არ გამოუთქვამს. იგი არ ეთანხმება პირსოლის აზრს. უბრალოდ, უფრო სწრაფად უნდა გამეცურაო, - ამბობს.

აღნიშნულ ეპიზოდზე საუბრისას გაზეთი Washington Post-ი თანამემამულეთა საქციელით გაღიზიანებული ჩანს: ეტყობა, ამერიკელმა ათლეტებმა არ იციან ღირსეულად წაგებაო, - და იქვე ერთი მინიშნებასაც აკეთებს, - 100 მეტრზე ფინალური გაცურვის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, რატომღაც, იმ დღეს დაემთხვა, როდესაც ამერიკელთა საესტაფეტო (4X100 "თავისუფალი") ოთხეულის შერჩევისას აშშ-ის ნაკრებში უთანხმოებებმა იჩინა თავიო.

საქმე ისაა, რომ ფინალური გაცურვის წინ ნაკრების მწვრთნელებმა, ოლიმპიური ჩემპიონის გერი ჰოლის ნაცვლად, კვარტეტში 19 წლის მაიკლ ფელპსი ჩასვეს, რომელსაც ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ამერიკელები რვაგზის ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ. ახლა, როდესაც ფელპსის ოცნება ოცნებად დარჩა, ჰოლის პირადი მწვრთნელი გულგატეხილია და აცხადებს, რომ ამგვარი ცვლილება უსამართლო გადაწყვეტილება იყო მისი შეგირდის მიმართ და თან - სერიოზული შეცდომაც, რომელმაც აშშ-ის ნაკრები წარუმატებლობამდე მიიყვანა. შეგახსენებთ, რომ ამერიკელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. პირველზე, მსოფლიოს რეკორდით, სამხრეთაფრიკელები გავიდნენ, ხოლო მეორეზე - ჰოლანდიელები.

ჭადრაკი

# გადარჩენის გზების ძიებაში

## ბობი ფიშერი ამერიკისგან თავის დასაღწევად მოქალაქეობის შეცვლას აპირებს

პაატა თოთაძე



*ფიშერი იაპონელი ხდება.*

კარგი ამბავი არ ტრიალებს ბობი ფიშერის თავს. ჭადრაკში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ამერიკაში დეპორტაცია, იქ კი პატიმრობა ემუქრება. ყველაფერი 1992 წელს დაიწყო, როცა ფიშერმა არად ჩააგდო ამერიკის ეკონომიკური სანქციები იუგოსლავიის წინააღმდეგ და, ქვეყნის მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, ბელგრადში ჩავიდა სპასკისთან სათამაშოდ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის იშვიათად ჩნდებოდა სააშკარაოზე; მარტო ყოფნას ამჯობინებდა. იმასაც ამბობდნენ, - ჭადრაკს შეეშვაო, - მაგრამ, ფიშერი - უჭადრაკოდ? ასეთი რამ ვერავის წარმოედგინა. როგორც ირკვევა, მოჭადრაკე ინტერნეტში თამაშით ირთობდა თავს. ამის შესახებ პირველი ცნობა ნაიჯელ შორტმა გაავრცელა. მისი თქმით, ეს მოხდა ინტერნეტში ერთ-ერთ კომერციულ ტურნირში მონაწილეობისას; ის დარწმუნებულია, რომ ფიშერს ეთამაშა. შეუძლებელია, ადამიანს ისე ბრწყინვალედ სცოდნოდა 60-70-იანების პარტიები, როგორც მან. ხმების გავრცელება კი იმით იყო გამოწვეული, რომ ფიშერმა, კაპაბლანკას მსგავსად, უარი თქვა ტრადიციულ ჭადრაკზე და, უმეტესად, თავისი ვარიანტით თამაშობდა. ეს ფიგურათა სხვანაირ განლაგებაში გამოიხატებოდა. პაიკები როგორც არის, ისე რჩება, დანარჩენი ფიგურები კი არეულ-დარეულად ლაგდება - ანუ, როგორც ხელში მოგხვდება. ასე რომ, სხვადასხვა პარტიაში ფიგურათა წყობა სხვადასხვაგვარია.

ფიშერი 14 წლის ასაკში გახდა ამერიკის ჩემპიონი, მომდევნო წელს კი გროსმეისტერის წოდებაც მიიღო; 29 წლის ასაკში ბორის სპასკის მოუგო ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ჭადრაკის ზოგი მოყვარულისთვის ფიშერი დღემდე მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკედ რჩება.

ის თავისი ჭირვეული ხასიათითაც გამორჩეული იყო. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია არაერთხელ წავიდა სხვადასხვა დათმობაზე, მოჭადრაკე რომ არ გაეღიზიანებინა, თუმცა საბოლოოდ მისი გული მაინც ვერ მოიგო. 1975 წელს, საერთაშორისო ფედერაციასთან კონფლიქტის გამო, ფიშერმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა. იმის მერე მოჭადრაკის ცხოვრება იდუმალებითაა აღსავსე. არავინ იცის, ზუსტად სად და როგორ ცხოვრობდა ფიშერი. ერთნი ამბობენ, რომ ის უნგრეთში ცხოვრობდა, მეორენი ფილიპინებს ასახელებენ, ზოგიერთს კი მის საცხოვრებლად კუბა მიაჩნდა. გამორიცხული არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ფიშერს არაერთხელ გაუკრიტიკებია ამერიკის მთავრობა მისი მოქმედებების გამო; შესაძლოა, ცოტა ხნით მაინც, მართლაც, ეცხოვრა კუბაზე.

ყველაზე დიდხანს კი ის, სავარაუდოდ, ფილიპინებზე ცხოვრობდა. ახლაც, როცა ის ტოკიოს აეროპორტში დაიჭირეს, ფილიპინებზე მიფრინავდა. იაპონიის მთავრობა მოჭადრაკის ამერიკისთვის გადაცემას აპირებს. ამერიკული კანონების თანახმად კი, ფიშერს, შესაძლოა, ათ წელიწადს მოუწიოს ციხეში ჯდომა. ფიშერმა იაპონელთა ტყვეობაში ყოფნისას ორჯერ მიმართა ქვეყნის მთავრობას, პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით, თუმცა ორივეჯერ უარი მიიღო. უარის მიზეზი, იაპონიის მთავრობის თქმით, ისაა, რომ ფიშერი არანაირ პოლიტიკურ დევნას არ განიცდის. ამდენად, არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ მას პოლიტიკური თავშესაფარი მისცენ.

გამოსავლის ძიებაში ფიშერმა ცოლის მოყვანა გადაწყვიტა. კარგა ხანია, მას სასიყვარულო ურთიერთობები აკავშირებს იაპონიის ჭადრაკის ასოციაციის ხელმძღვანელთან მიუკო ვატაისთან. ახლა კი, პრობლემების შექმნის შემდეგ მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. მისი თქმით, ვატაიზე დაქორწინებით და მოქალაქეობის შეცვლით, ის იაპონიის მთავრობის მხრიდან ამერიკაში დეპორტაციას გადაურჩება. თუმცა, ამერიკული გაზეთების ცნობით, მოჭადრაკეს ამის იმედი ტყუილად აქვს. ქვეყნის მთავრობა მისი საქციელით იმდენად გაღიზიანებულია, რომ მისთვის არაფერის პატიებას არ აპირებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო წლებში ის აქტიურად აკრიტიკებდა ამერიკის პოლიტიკას, 11 სექტემბრის ტარაქტის შემდეგ კი ტერორისტები საქვეყნოდ შეაქო, - ამერიკა მთელ მსოფლიოში ბოროტებას თესავს და პირისაგან მიწისა უნდა აღიგავოსო. ასეთი განცხადებების შემდეგ რაღა გასაკვირია, ამერიკელებს მისი გასამართლება რომ უნდათ. ამდენად, ფიშერს არც იაპონიის მოქალაქეობა უშველის. რაც ჩაიდინა, ყველაფერი ამერიკის მოქალაქეობის დროს ჩაიდინა და აქაური კანონებითვე გავასამრთლებთო, - იქადნებიან ამერიკელები. ამასობაში ამერიკის მთავრობას წერილით მიმართა ბორის სპასკიმაც. მისი თქმით, ამერიკის ეკონომიკური სანქციები მანაც დაარღვია, როცა ფიშერთან სათამაშოდ ჩავიდა და, ამდენად, ისიც დასაჭერია; და თუ ის თავისუფლად დადის, მაშინ ფიშერიც თავისუფალი უნდა იყოს. მოკლედ, სპასკიმ თხოვნით მიმართა ამერიკის მთავრობას, შეიწყალოს მოჭადრაკე. თუმცა საეჭვოა, ამ საქმიდან რაიმე გამოვიდეს.

ფეხბურთი

# მადრიდელი ოუენის პირველი ინტერვიუ

*ინგლისის ნაკრები დღეს უკრაინის ეროვნულ გუნდს მასპინძლობს. ამ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას იღებს მაიკლ ოუენიც - მადრიდის "რეალის" ახლად შეძენილი ვარსკვლავი. ოუენი გასულ პარასკევს ჩაფრინდა მადრიდში და სამეფო კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. შემდეგ კი ისევ ინგლისში მოუწია დაბრუნება, მოგეხსენებათ, დღევანდელ მატჩში სათამაშოდ. სამშობლოში გამგზავრებამდე კი მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის ამპლუაში მან თავისი პირველი ინტერვიუ მისცა ესპანელ ჟურნალისტებს.*



**- კეთილი იყოს შენი მობრძანება მადრიდის "რეალში".**

- დიდი მადლობა. აქ ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია. მადრიდში პარასკევს ჩამოვფრინდი, ახლა კი ინგლისში დაბრუნება მიწევს, რათა ნაკრებში ვითამაშო. მაგრამ, მე უკვე მოუთმენლად ველი ხუთშაბათის დადგომას, რათა ჩემს ახალ პარტნიორებთან ერთად "რეალში" ვარჯიშს შევუდგე.

**- შენ უკვე გქონდა შესაძლებლობა, მუზეუმში კლუბის მიერ მოპოვებული ტიტულები დაგეთვალიერებინა. როგორ მოგეწონა?**

- ფანტასტიკაა. "ლივერპულში" ამდენი ტიტული არ გვქონდა. იქ ოთხი ჩემპიონთა თასია, მაგრამ აქ ცხრა ასეთი თასი დამხვდა. მსურს, რომ ამ სეზონში კიდევ ერთი ასეთი თასი მოვიგოთ.

**- რას ნიშნავს შენთვის "რეალში" გადასვლა?**

- ყველამ იცის, თუ რას ნიშნავს "რეალი" და ამ კლუბში თამაშზე ყველა ოცნებობს. "ლივერპულში" 17 წლის ასკიდან ვთამაშობდი, ახლა კი, 24 წლის ასაკში, ახალ ეტაპს ვიწყებ. მართალი გითხრათ, აღფრთოვანებული ვარ ამ ახალი გამოწვევით.

**- რით ახსნი იმას, რომ მშობლიური "ლივერპული" მიატოვე და მადრიდში გადაბარგდი?**

- ეს წინ გადადგმული ნაბიჯია. მადრიდის "რეალში" თამაში გაცილებით მეტს ნიშნავს. ვფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემი კარიერის წინსვლას შეუწყობს ხელს. იმედი მაქვს, რომ აქ საუკეთესო წლებს გავატარებ. ეს ერთადერთია, რისი მიღწევაც მსურს, რადგან, თუ ამ გუნდში თამაშობ, ამაზე მაღლა ველარ ახვალ. ეს უკვე მწვერვალია.

**- როგორ დაახასიათებდი ოუენს, როგორც ფეხბურთელს?**

- ოეუნის მთავარი თვისება ის არის, რომ მას გოლები გააქვს. მე თავდასხმაში ვთამაშობ, ამიტომაც გოლების გატანა მევალება. იმედი მაქვს, რომ მალე შევერწყმები კოლექტივს და მივეჩვევი ესპანურ ფეხბურთს. დარწმუნებული ვარ, ასეთ გუნდში კიდევ უფრო გამიადვილდება თამაში. მსურს, რომ ჩემი შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალება მომეცეს.

**- რაული, რონალდო, ზიდანი, ბექჰემი, რობერტო კარლოსი... თანაგუნდელებიც ამას ჰქვია!**

- აქ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და ეს ძალიან ამაღელვებელია. მე განვითარება მსურს, მინდა, რომ გავიზარდო, როგორც ფეხბურთელი და როგორც ადამიანი. იმედი მაქვს, ამ არაჩვეულებრივ სტადიონზე, ამ შესანიშნავი გულშემატკივრების წინაშე თამაშს და გუნდის დახმარებას შევძლებ. ერთი ცნობილი გუნდიდან მეორე, კიდევ უფრო ცნობილ, გუნდში გადავდივარ. პროფესიონალურ ფეხბურთს 17 წლის ასაკიდან ვთამაშობ, მაგრამ ისიც მესმის, რომ გუნდისათვის კიდევ უფრო მეტი სარგებლის მოტანა შემიძლია. "რეალი" ამის საშუალებას მომცემს. ეს ფანტასტიკური გუნდია და მასთან ერთად მე მრავალი ტიტულის მოგების იმედი მაქვს.

**- ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად რაულთან, რონალდოსთან და მორიენტესთან მოგიწევს ბრძოლა.**

- ისინი უდიდესი ფეხბურთელები არიან; უკვე მრავალი წლის განმავლობაში თამაშობენ ამ გუნდში და მე ვიცი, რომ ისინი გულშემატკივრებს ძალიან უყვართ. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ტიტულების მოპოვება განვაგრძოთ. ვიცი, რომ ეს მოთამაშეები საუკეთესოები არიან მსოფლიოში და მე საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა მომიწევს, მათ სიმაღლეებს რომ მივაღწიო.

**- აქ მაკმანამანი თამაშობდა, ახლა კი ბექჰემი თამაშობს. მათთვის არაფერი გიკითხავს?**

- მათთან ადრე მისაუბრია "რეალზე". მათ უკვე კარგად იციან, რას ნიშნავს ამ კლუბში თამაში. მე კი მას ნაკლებად ვიცნობ, რადგან ყველაფერი ძალიან უცბად მოხდა. მოლაპარაკებები მხოლოდ და მხოლოდ ათი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მაკმანამანს, მართლაც, ბევრს ვეკითხებოდი, რადგან მადრიდის "რეალში" თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი. ახლა უკვე აქ ვარ და მათ კიდევ უფრო მეტს გამოვკითხავ.

**- "სანტიაგო ბერნაბეუ" როგორ მოგეწონა?**

- ეს უზარმაზარი სტადიონია. აქ ადრეც ვყოფილვარ და გეტყვით, რომ ამ სტადიონზე თამაში უდიდესი პრივილეგიაა. იმედი მაქვს, ამის კეთება მრავალი წლის განმავლობაში მომიწევს.

**- რონალდო ყოველ წელს ასახელებს იმ გოლების რაოდენობას, რომელთა გატანასაც გეგმავს. რამდენ გოლს დაგვპირდება ოუენი?**

- პაუხის გაცემა გამიჭირდება. მე მხოლოდ კარგად თამაში, მომენტების გამოყენება და ვარჯიში მსურს... ზუსტ ციფრს ვერ დავასახელებ, მაგრამ იმითაც კმაყოფილი ვიქნები, თუ აქ იმ დროის ნახევარს მაინც გავატარებ, რა დროც "ლივერპულში" დავყავი. შევეცდები, რომ მთელი ჩემი ძალა და სისწრაფე გამოვიყენო, რათა, რაც შეიძლება, მეტი გოლი გავიტანო.

**- როგორია შენი პირველი შთაბეჭდილებები ესპანეთზე?**

- ინგლისისგან ის დიდად განსხვავდება. უკანასკნელ დღეებში აქ ძალიან ცხელოდა. თუმცა, მადრიდი ძალიან მომწონს. აქ სასიამოვნო და თბილი ადამიანები ცხოვრობენ... თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. ხუთშაბათიდან თავს არ დავზოგავ, რათა საუკეთესოდ წარმოვჩნდე. მართალი გითხრათ, სულმოუთქმელად ველი ვარჯიშების დაწყებას.

# ფაშიზმი და ეკლესია



*პაპი პიუს XI*

ლიბერალიზმის ხანა რომანულენოვან ქვეყნებში საეკლესიო იერარქიისთვის მეტად მძიმე იყო: ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ძალიან გაამწვავა დაპირისპირება საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის. მხოლოდ ტოტალიტარული წყობის განვითარებასთან ერთად წარმოიშვა ეკლესიისთვის "შერიგების" პერსპექტივა.

ფაშიზმის გაძლიერებასთან ერთად კათოლიკური ეკლესია თანდათანობით თანხმდებოდა წვრილმან დათმობებზე. ერთ-ერთი ასეთი დათმობა იყო ახალგაზრდების ყველანაირი საგანმანათლებლო და აღსაზრდელი ორგანიზაციების დაშლა: ფაშიზმი მომავალი თაობის აღზრდაზე სრულ მონოპოლიას აცხადებდა, ამიტომ ეკლესიამ უკან დაიხია, რადგან რეჟიმისაგან უფრო მსხვილი ლუკმის მიღების იმედი ჰქონდა.

1928 წლისათვის ეკლესიის მოთხოვნები ნელ-ნელა ჩამოყალიბდა: სახელმწიფოს უნდა დაედო მასთან ორი ხელშეკრულება — ტრაქტატი, რომლითაც აღიარებული იქნებოდა ეკლესიის სუვერენიტეტი გარკვეულ ტერიტორიაზე კონკორდატი, რომლითაც დადგენილი იქნებოდა ეკლესიის იურიდიული სტატუსი იტალიაში. ამ დოკუმენტების მომზადება ყოველგვარი სიძნელის გარეშე მოხდა. ერთი მხრივ, პაპი პიუს XI უპრობლემოდ ამცირებდა თანდათან თავის ტერიტორიულ პრეტენზიებს და 1929 წლის 10 თებერვალს, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდა ეკლესიის ერთპიროვნული მმართველობითი იურისდიქცია იმ ტერიტორიულ ფარგლებში მოეთავსებინა, რომლებიც დღემდე წარმოადგენს ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფოს საზღვრებს. მეორე მხრივ, მუსოლინი ვერავითარ სიძნელეს ვერ ხედავდა კონკორდატის პირობათა მიღებაში. კონკორდატის პირობებით აღდგა საშუალო სკოლებში (ოღონდ არა უნივერსიტეტებში) რელიგიის სწავლება და სახელმწიფომ აღიარა საეკლესიო ქორწინება როგორც იურიდიულად სრულფასოვანი.

1929 წლის 11 თებერვალს რომში, ლატერანის სასახლეში ხელი მოეწერა ორივე დოკუმენტს. ეკლესიის მხრიდან ხელისმომწერი იყო ვატიკანის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი **პიეტრო გასპარი**, სახელმწიფოს მხრიდან — "მისი აღმატებულება სინიორ კავალერ **ბენიტო მუსოლინი**". უნდა ითქვას, რომ დოკუმენტთა პაკეტის შინაარსი ყველას აკმაყოფილებდა, მაგრამ არსებობდა სხვა სახის წინააღმდეგობა: გულწრფელ კათოლიკეებს გული ეთანაღრებოდათ, რომ ეკლესია ტოტალიტარულ რეჟიმს გაურიგდა. ხელშეკრულებათა განხილვისას საჯარო პროტესტი გამოთქვა, მაგალითად, გამოჩენილმა იტალიელმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა, **ბენედეტო კროჩემ**. მან განაცხადა, რომ დოკუმეტების შინაარსს არ ეხება, მაგრამ მათი ხელმოწერის ფაქტის წინააღმდეგ გამოსვლას თავისი სინდისის საკითხად მიიჩნევს. მორწმუნე პოლიტიკოსებიც უკმაყოფილონი იყვნენ ეკლესიის კომპრომისული გადაწყვეტილებით, მაგრამ თავიანთ აღშფოთებას მხოლოდ კერძო საუბრებში მისცეს გამოსავალი. იერარქიის მატერალურმა პრეტენზიებმა იმძლავრა, თვით მორწმუნე პოლიტიკოსებში კი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი რეჟიმის დროინდელი წარმოდგენა, თითქოს საერო გავლენებს მოკლებული ეკლესია სუსტია. სწორედ ამ ყავლგასული წარმოდგენით იყო შეპყრობილი პიუს XI, როცა განაცხადა, რომ მუსოლინი არის "კაცი, რომელიც თვით საღვთო განგებამ შეგვახვედრა".

და მაინც, რატიფიკაცია შეყოვნდა. ეკლესია ორი დოკუმენტის უფრო ორგანულ დაკავშირებას ითხოვდა და განათლების საქმეში უფრო მეტ პრივილეგიებს. პაპი იქამდეც კი მივიდა, რომ მუსოლინის ზოგიერთი გამონათქვამი განსაზღვრა როგორც "ერეტიკული და ერეტიკულზე უარესი". ეკლესიის საჭეთმპყრობელი და ფაშიზმის ბელადი მრავალჯერ შეხვდნენ ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა, სანამ 1929 წლის 7 ივნისს, ბოლოს და ბოლოს არ განხორციელდა ლატერანის პაქტად წოდებული დოკუმენტთა პაკეტის რატიფიკაცია.

მაგრამ რატიფიკაციიდან რამდენიმე თვის შემდეგ კათოლიკეთა მხრიდან ფაშიზმით უკმაყოფილებამ კვლავ გაიღვიძა. თავდაპირველად ამის ფორმალური საბაბი იყო მომავალი თაობის აღზრდაზე სახელმწიფო მონოპოლია, არსებითი წინააღმდეგობა კი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ომისა და ძალადობის პროპაგანდა, რომელსაც 1936 წლიდან რასიზმიც დაემატა, რადგან იტალიელმა ფაშისტებმა გერმანელ ნაცისტებს მიბაძეს. ეკლესია ამჯერად მხოლოდ საკუთარი ძლიერების გაზრდისთვის არ იბრძოდა: მისი სიტყვა ადამიანის ბუნებრივ უფლებებს იცავდა. გარკვეული აზრით საზოგადოების თვალში პაპი და დუჩე უკვე ერთპიროვნულ მეტოქეებად აღიქმებოდნენ. დინჯი და დაფიქრებული პაპი ადვილად უგებდა ამ დუელს გარეგანი ეგზჰიბიციონიზმისკენ მიდრეკილ, გულფიცხსა და, როგორც იტყვიან, "ცანცარა" მუსოლინის.

განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა ორი ისტორიული მომენტი: 1931 წელი, როცა სახელმწიფომ კათოლიკური სოციალური საქმიანობის შეზღუდვა გადაწყვიტა და 1938-39 წლები, როცა პირველად იქნა შემოყვანილი რასისტული კანონები, რომლებიც, სხვათა შორის, კონკორდატის ერთ-ერთ პუნქტსაც ეწინააღმდეგებოდა.

1931 წელს სახელმწიფომ ძალდატანებით დაშალა კათოლიკეთა ახალგაზრდული ასოციაციები. რის შედეგად პაპმა გამოსცა თვით მის მიერ დაწერილი ენციკლიკა, რომელშიც მოხსენიებული იყო იტალიური სახელმწიფოებრიობის ტოტალიტარული ბუნების კრიტიკა. რა თქმა უნდა, საქმე არ ეხებოდა ფაშიზმის საბოლოოს დაგმობას, მაგრამ აშკარად იყო მითითებული მისი ზოგიერთი პრინციპის სრული შეუთანხმებლობა საეკლესიო მოძღვრების პრინციპებთან.

კიდევ უფრო მძიმე იყო მეორე კონფლიქტი, როცა 1937 წელს იტალიაში ჯერ **პაოლო ორანოს** წიგნი გამოვიდა სათაურით "ებრაელები იტალიაში". წიგნი რასისტული იდეოლოგიის პირველი მცდელობა იყო. 1938 წელს კი ებრაელთა წინააღმდეგ არაორაზროვანი კანონების გამოცემა დაიწყო. ამის წინააღმდეგ ჯერ ცალკეული მღვდლები და ეპისკოპოსები გამოდიოდნენ, რომლებსაც ქრისტიანული სინდისი არ აძლევდათ მხეცური რეჟიმის წინაშე კომპრომისის საშუალებას. შემდეგ პროტესტმა სამღვდელოების უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა და მათ შორის ისინიც, ვინც თავიდანვე ამჟღავნებდა ფაშიზმის მიმართ ლოიალობას. მაგრამ საქმე ამით არ შემოფარგლულა: მოხუცმა პაპი რეგულარულად აკრიტიკებდა სახელმწიფოს რასისტულ პოლიტიკას და იმდენად გააღიზიანა მუსოლინი, რომ ათქმევინა: "თუ ლაპარაკს არ შეწყვეტს, ეკლესიას უდაბნოდ ვაქცევთ"...

ჩვენშიც ხანდახან გაიგონებთ აზრს: "სტალინს რომ თავის იდეოლოგიად მართლმადიდებლობა გამოეცხადებინა, კომუნისტებს ვერავინ მოერეოდა". შესაძლოა, ეს მართლაც ასე ჩანს, მაგრამ ამ თვალსაზრისის განსახორციელებლად არსებობს ორი აუცილებელი პირობა: ერმა არაფერი უნდა იცოდეს ქრისტიანობის არსის შესახებ და სამღვდელოება სრულიად მოკლებული უნდა იყოს სინდისს. მხოლოდ ამ ორი პირობის ერთდროული განხორციელება უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დამორჩილებასა და ბრმა იარაღად ქცევას.

# დუჩე

## (ფაშიზმი როგორც რეჟიმი)

მუსოლინის მიერ პარლამენტში 1925 წლის 3 იანვარს წარმოთქმული სიტყვა შეიძლება ჩაითვალოს ფაშიზმის აყვავების დასაწყისად. მუსოლინიმ ნელ-ნელა მთელი ძალაუფლება აიღო იტალიაში: იმიტომ კი არა, რომ იტალიელი ხალხი მას ძალიან ენდობოდა, არამედ იმიტომ, რომ სრულიად დაკარგა მისი ოპოზიციონერებისადმი ნდობა. ეს წინადადება მართებულია არა მარტო უბრალო ადამიანის, არამედ თვით მეფის მიმართაც — ვიტორიო ემანუელე მესამეს, რომელსაც მუსოლინი მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა, კიდევ უფრო მეტად სძულდა მისი მოწინააღმდეგენი.

საოცარია, მაგრამ 1925 წლის მეორე ნახევრისთვის პარლამენტზე, იტალიელ ინტელექტუალ ანტიფაშისტებსა და სამთავრობო ოპოზიციაზე უფრო მეტად მუსოლინის სულ სხვა რამის ეშინოდა და ეს სხვა რამე მის საკუთარი რაზმების თავგასულობა იყო. ძალადობა აშინებდა ახლადშეძენილ მომხრეებს, ასუსტებდა მეფის ნდობას, აღიზიანებდა ეკლესიას. ამ სამი ძალის პროვოცირება კი ნამდვილად არ იყო სასურველი. ბელადი (იტალიურად — დუჩე) გრძნობდა, რომ გადატრიალება კანონიერებაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. კანონიერებასა და უკანონობას შორის ავტორიტარულ სახელმწიფოში საკმაოდ სიფრიფანა ზღვარია, მაგრამ მუსოლინი შემდეგს ფიქრობდა: რეპრესიები და ძალადობა აუცილებელია, ოღონდ ისინი ხელისუფლების ინსტიტუტებიდან უნდა წამოვიდეს და არა ჯგუფების ან ინდივიდების დაუმოუკიდებელი მოქმედებიდან.

1926 წლის დასაწყისში მუსოლინიმ იტალიაში თავისუფალი სიტყვისა და პოლიტიკური ოპოზიციის ბოლო ნარჩენი მოსპო და ეს ისეთ ხელსაყრელ მომენტში ჩაიდინა, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია არც მეფის და არც იმ მეგობართა მხრიდან, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ იურიდიული სინდისი. ამაში დუჩეს მასზე განხორციელებული რამდენიმე წარუმატებელი თავდასხმა დაეხმარა.

რეპრესიათა წარმართვისთვის დაარსდა ეგრეთ წოდებული საგანგებო სასამართლო, რომელმაც მოქმედების 16 წლისა და ხუთი თვის განმავლობაში საერთო ჯამში 4596 მსჯავრდებულს მიესაჯა 27.237 წელი პატიმრობა (ერთ მსჯავრდებულზე საშუალოდ ექვს წელზე ოდნავ ნაკლები გამოდის), გამოტანილ იქნა 42 სასიკვდილო განაჩენი, რომელთაგან 31 შესრულდა. როგორც ვხედავთ, სტალინურ რეჟიმთან შედარებით იტალიური ფაშიზმი საბავშვო თამაში ყოფილა.

მას შემდეგ, რაც შინაგანი წინააღმდეგობა ჩაახშო და სამეფო ძალაუფლებასთან ურთიერთობა მოაგვარა, დუჩემ იტალიის ეკონომიკას მიჰხედა. აქ მთავარი პრობლემა სამი იყო: ინფლაციის შეჩერება, ბრძოლა მარცვლეულისთვის და სამუშაო ადგილების შექმნა. ინფლაციის შესაჩერებლად 1927 წელს მუსოლინიმ ცენტრალიზებულად დააწესა ეროვნული ვალუტის კურსი ინგლისური გირვანქა სტერლინგის მიმართ: 92,46 ლირა. ამ ძალადობრივმა ზომამ მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა მრეწველობას. უოლ სტრიტის კრიზისმა 1929 წელს იტალიაზეც მოახდინა დიდი გავლენა ამიტომ სულ უფრო იზრდებოდა გაკოტრებულ სამრეწველო წამოწყებათა რიცხვი. ამგვარი პოლიტიკის მიზეზი ის იყო, რომ ყველაზე მეტად ქვეყნის ყველაზე ღარიბი რეგიონები დაზარალდა და მეორე მსოფლიო ომის ბოლოს მუსოლინისთვის ყველაზე სუსტ ადგილად პროამერიკული სიცილია იქცა.

ისევე როგორც ყველა "გეგმიანი" მეურნეობა ფაშიზმიც თავის მთავარ იმედებს რაოდენობაზე ამყარებდა და არა ხარისხზე. ბრძოლა მარცვლეულისთვის იმით დასრულდა, რომ საოცრად შესუსტდა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ღვინო და ზეითუნის ზეთი უკვე ძნელი საშოვნი გახდა: პურის არნახული მოსავლების ფასი, უპირველეს ყოვლისა, თვით მომხმარებლებს დააწვა. მაგრამ პურისთვის ბრძოლას სხვა, იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა: ფაშიზმი "მიწისა და სისხლის" ღირებულებებზეა დაფუძნებული, მიწა კი გლეხის უმთავრესი ქონებაა. მუსოლინისთვის მნიშვნელოვანი იყო სოფლის მოსახლეობის ქალაქისაკენ მიგრაციის შეჩერება. "განა აგურები იჭმევა?" — ირონიულად იკითხა მან ერთხელ, როცა ამ მიგრაციის შესახებ მოახსენეს. სხვა დროს კი უკვე სერიოზულად განაცხადა: "ფაშიზმი აშკარად გამოხატავს თავის არსებითად გლეხურ ბუნებას". ეს ყველაფერი კი იმისათვის იყო საჭირო, რომ იქ, სადაც თავისუფალი წარმოება სულს ღაფავს, სადაც მთელი მრეწველობა ადმინისტრაციულ სისტემასაა დამორჩილებული, ქალაქის გაზრდილი მოსახლეობა სოციალური აფეთქების უმთავრესი პირობაა. ამიტომაც არსებობდა საბჭოთა კავშირშიც ქალაქისაკენ მიგრაციის შემაკავებელი მექანიზმები,



*მართკუთხა კოლიზეუმი - ფაშისტური არქიტექტურის ნიმუში.*




*დუჩე და კლარეტა. "მუსოლინის საყვარელი ომი" - ამერიკული კარიკატურა.*

რომელთა სიმკაცრე ისტორიულ მომენტზე იყო დამოკიდებული — გლეხის სრული უპასპორტობიდან ქალაქური ჩაწერის პრობლემურობამდე — მაგრამ არსებითად ერთი და იგივე გახლდათ.

ფაშისტური იტალიის აგრარულ სამოთხეში, რა თქმა უნდა, უმთავრესი და პატივსაცემი ადგილი მრავალშვილიანობას უნდა ჰქონოდა. დუჩემ განაცხადა: "სიმრავლე სიძლიერეა". 1927 წელს გამოცხადდა დემოგრაფიული კამპანია, რომელიც მხარს უჭერდა მოსახლეობაში გავრცელებულ ზნეობრივ განწყობასა და პურიტანულ ჩვევებს და ამით საუკეთესოდ ეთანხმებოდა, მაგალითად, კათოლიკური ეკლესიის მოძღვრებას. თვითონ დუჩეს ამ კამპანიის გამოცხადების წელს მეოთხე ვაჟი შეეძინა, ორი წლის შემდეგ კი ქალიშვილიც გაუჩნდა. აქ შეიძლება დავინახოთ კიდევ ერთი პარალელი ფაშიზმსა და საბჭოთა წყობას შორის — უშვილობის გადასახადი. იტალიაში ეს იუმორისტთა დაცინვის უპირველესი საგანი იყო, რეალურ ცხოვრებაში კი სამ მილიონზე მეტი უცოლო მამაკაცი დააზარალა. ქალები ამ გადასახადისგან განთავისუფლებულნი იყვნენ, რადგან მთავრობას მიაჩნდა, რომ გაუთხოვრებად ისინი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დარჩნენ. ამგვარი დამოკიდებულება ქალის შესაძლო არჩევანის მიმართ კვლავ ავტორიტარული რეჟიმებისთვისაა დამახასიათებელი: ქალის არჩევანი, მათი აზრით, გაცილებით უფრო განსაზღვრულია სოციალურად. ამ მხრივ საგულისხმოა იტალიური ფაშიზმის კიდევ ერთი სიახლე — "დედის დღე", სწორედ რომ დედის და არა ქალის.

დემოგრაფიული კამპანიის შედეგად დაბადებულ ბავშვებს სტანდარტიზებული ბედი ელოდათ: ვაჟები უნდა ჩაწერილიყვნენ ეროვნულ ორგანიზაციაში "ბალილა", გოგონები კი ეგრეთ წოდებული "ნორჩი იტალიელები" ხდებოდნენ. მანამდე კი დუჩეს სპეციალური ბრძანებით, ეროვნული მილიციის ყოველი რიგითი და ოფიცერი ვალდებული იყო ფაშისტური სალმით (წინ გაწვდილი მარჯვენა ხელით) მისალმდებოდა ქუჩაში შემხვედრ ყოველ ფეხმძიმე ქალს.

ყოველივე ამას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა სამუშაო ადგილების ზრდა. ერთი მხრივ, იტალიას მართლაც სჭირდებოდა ეს, მეორე მხრივ კი ამ ზრდის გარეშე მუსოლინის მთავრობას საკმაო საფრთხე ემუქრებოდა. ავტორიტეტული რეჟიმების მიერ ამ პრობლემის გადაწყვეტა ორი მახასიათებლით გამოირჩევა: 1) სამუშაო ადგილების შექმნა დიდი ეროვნული წამოწყებების საფუძველზე ხდება (საუკუნის მშენებლობები, ყამირის გატეხვა, ჭაობების ამოშრობა და ა. შ.); 2) დამსახურება, რომელიც საყოველთაო ძალისხმევითა და თითოეულის კუთვნილი ფულით ხორციელდება, საბოლოოდ ერთ კაცს ან ერთ პარტიას მიეწერება. მუსოლინის დროს განხორციელდა იტალიური რკინიზგების ელექტრიფიკაცია და რომიდან სირაკუზამდე მგზავრობის დრო ორჯერ შემოკლდა. რომის სამხრეთით მდებარე ჭაობები, მალარიის ბუდე, საბოლოოდ ამოაშრეს, რაც საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლეს იმპერატორებმა და პაპებმა. მართალია, 30-იანი წლების დასაწყისამდე რომის მიმდებარე სავარგულები წალკოტად აქციეს, ამ საქმეში მრავალი პოლიტიკური და სამეურნეო სიბეცე დაუშვეს, მრავალი დანაშაული ჩაიდინეს, წარმატების მაქებარი რიტორიკა კი ნამდვილად გროტესკული და სასაცილო იყო. და მაინც, ვერავინ უარყოფს მასების უდიდეს ენთუზიაზმს, მაგრამ განა ასეთივე ენთუზიაზმით არ მიემართებოდნენ კომკავშირლები ყამირის ამაო ათვისებაზე, ასევე ხმამაღლა არ ასხამდნენ ხოტბას ბაიკალ-ამურის მაგისტრალის, ყბადაღებული "ბამ"-ის მშენებლობას?

მაგრამ განა ძლევამოსილი ფაშიზმი წარმოსადგენია ომის გარეშე? იტალიაში 30-იანი წლების დასაწყისიდან იგრძნობოდა ანტიკური რომის იმპერიული დიდების ნოსტალგია. რა თქმა უნდა, ყველაზე სავარაუდო საომარი თეატრი კოლონიურ ტერიტორიაზე უნდა გამართულიყო, კერძოდ, ეთიოპიაში. ამას ეთიოპიის იმპერატორის, **ჰაილე სალასიეს** დაუცხრომელი პოლიტიკაც უწყობდა ხელს და მის ტერიტორიაზე მოთარეშე შეიარაღებული ბანდები.

ეთიოპიური კამპანია დაიწყო 1935 წლის 2 ოქტომბერს და 1936 წლის 5 მაისს დასრულდა, როცა მარშალმა ბადოლიომ დუჩესთან შემდეგი შინაარსის დეპეშა აფრინა: "დღეს, 5 მაისს, 16 საათზე გამარჯვებული ჯარების სათავეში მყოფმა შევაბიჯე ადის-აბებაში". სინამდვილეში ეს ყოველივე კოკისპირული წვიმის ქვეშ მოხდა — გვამებით მოკირწყლული ადის-აბება უბრძოლველად დანებდა. 9 მაისის საღამოს კი დუჩემ რომის იმპერიის ხელახალი დაბადება გამოაცხადა და ვენეციის მოედანზე შეკრებილ მრავალათასიან ბრბოს თავისი ჩვეული რიტორიკული კითხვით მიმართა: "იქნებით კი თქვენ ამის ღირსი?". ბრბომ ერთხმად უპასუხა: "დიახ!". იმ დღიდან იტალიის მეფემ ეთიოპიის იმპერატორის ტიტულიც შეითავსა. ომი იტალიას 12 მილიარდი ლირა და საერთო ჯამში 4366 კაცის სიცოცხლე დაუჯდა — მათგან 1600 ფაშისტური რეჟიმის ეთიოპიელი მომხრე იყო.

"იმპერიის" ფუძემდებელი, პრემიერ მინისტრი თვით მეფეზე მეტი ძალაუფლების მფლობელი იყო, თანაც ერთ ისეთ პრივილეგიასაც ფლობდა, რომელზედაც მეფეს არც უოცნებია. მუსოლინის ბუზებივით ეხვეოდნენ ქალები.

დუჩეს სექსუალური ცხოვრება საოცრად ინტენსიური იყო, მაგრამ თითქმის არ ახლდა გრძნობები. თავგადასვლების საძიებლად შორს წასვლა არ სჭირდებოდა: პოლიციის მიერ საგულდაგულოდ გაფილტრული თავგადასვლები თვითონ მოდიოდნენ მასთან ვენეციის სასახლეში. მუსოლინის კარისკაცმა, **ნავარამ** ამ შეხვედრების დეტალური აღწერა დატოვა — ეს მისი რუტინული სამუშაო იყო. შეხვედრები ნაჩქარევი იყო, ასე ვთქვათ, სოფლური, ელემენტარულ კომფორტს მოკლებული. ყველაფერი მსოფლიო რუკის დარბაზში ხდებოდა ქვის გრძელ მერხზე, ან ხალიჩაზე. მუსოლინის არჩევანს არასოდეს ეტყობოდა ნატიფი გემოვნება და ხანში შესულ "ფუფალებსაც" არ ერიდებოდა. ეს უკანასკნელნი ზოგჯერ ზედმეტ დაჟინებას იჩენდნენ და მაშინ საქმეში საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე, **ბოკინი** ერეოდა.

1932 წლიდან ამ ორომტრიალში **კლარეტა პეტაჩიმაც** შეაბიჯა. მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში არაფერი მომხდარა: დუჩესა და კლარეტას პაემნები წმინდად რომანტიული იყო. პირველი შეხვედრა შემთხვევით მოხდა, როცა მუსოლინი 1932 წლის 24 აპრილს თავის წითელ "ალფა-რომეოს" მიასრიალებდა ოსტიის ნავსადგურისკენ. გზა მოულოდნელად გრძელმა ლიმუზინმა გადაუღობა: დუჩემ მოუთმენლად აახმიანა კლაქსონი. სწორედ მაშინ გამოვიდა მამის ლიმუზინიდან გრძელფეხება და გამბედავი, ოცი წლის კლარეტა. ორმოცდაცხრა წლის დუჩე სახტად დარჩა. კლარეტასთან ერთად მძღოლის გარდა იმყოფებოდნენ კლარეტას ცხრა წლის და, **მირიამი**, დედა — **ჯუზეპინა** და საქმრო **რიკარდო ფედერიჩი**, საჰერო ძალების ლეიტენანტი. მას მალე მოუხდა პეტაჩების ოჯახიდან გაფრენა, რადგან კლარეტას გული და ოთხიოდე წლის შემდეგ საწოლიც თვით მისმა აღმატებულებამ, კავალერმა ბენიტო მუსოლინიმ დაიკავა.

კლარეტამ კი დუჩეს გული სულ ხუთ წუთში დაიპყრო: სულმოუთქმელად ელაპარაკებოდა თავის აღფრთოვანებაზე, ათობით წერილსა და ლექსზე, რომელიც დუჩეს მიუძღვნა და გაუგზავნა. საწყალი რიკარდო ამასობაში სმენაზე იყო გაჭიმული. მან მაინც შეირთო კლარეტა, მაგრამ ისინი მალევე განქორწინდნენ. 1936 წელს კლარეტამ მსოფლიო რუკის დარბაზში შეაბიჯა. მუსოლინის თავისთვის უჩვეულო სცენა მოუწყო ქალს: თურმე წლების განმავლობაში კლარეტას საიდუმლო პოლიცია უთვალთვალებდა. "მე თქვენში ჯერ ბავშვმა მომხიბლა, შემდეგ კი ღირსეულმა მეუღლემ. თქვენ კი პირველ შემხვედრთან ღალატობდით ქმარს!" — ამ სცენით შეშინებულმა, მაგრამ აღფრთოვანებულმა კლარეტამ თავის გამართლება სცადა. დიალოგი ქვის მერხზე დასრულდა.

კლარეტა პეტაჩიმ დუჩეს ცხოვრებაში შეაღწია, რათა ბოლო წამამდე დარჩენილიყო თავის ბელადთან.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეჟარაშვილი*

# სარეკლამო სატირა - რეკლამირების ახალი მეთოდი







იმ საბითუმო სავაჭრო ცენტრებისას ვერაფერს გეტყვით, სადაც თურქული სოფლების სარდაფებში შეკერილი ვერსაჩეს პირსახოცები და ნაიკის ფეხსაცმლები იყიდება, მაგრამ ტურისტებზე გათვლილ მაღაზიებში უხვად იწონებენ თავს ვითომდა ნამდვილი კელვინ კლაინები, პოლოები, დიზელები, გესები და ბოლოს - FCUK-ები. მეტიც, ასოთა ეს შეთანხმებაა იმდენად სასაცილო და დამაინტრიგებელი, რომ ყველაზე მეტად თვალში სწორედ FCUK-ის მაისურები ხვდებათ დამსვენებლებს.

თუმცა, როგორც ჟურნალი "ვოგი" იტყობინება, ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება, აღარც თურქეთში და აღარც სხვაგან. სექტემბრიდან აღარ იქნება აღარავითარი FCUK - ცნობილი და მოდური ინგლისური ტანსაცმლისა და აქსესუარების ბრენდის ლოგო, რომელიც საზოგადოებაში სრულიად ცალმხრივ და ერთმნიშვნელოვან ფანტაზიას აღძრავს და ყველას უჩენს სურვილს, როგორმე გადაუნაცვლოს მდებარეობა ასოებს C და U-ს, რათა ამ ფანტაზიების გამომწვევი მეორე ინგლისური სიტყვა მიიღოს.

თუმცა, როგორც უკვე გითხარით, 1997 წელს დაწყებული სარეკლამო კამპანია, რომელმაც "ფრენჩ ქონექშენის" ეს ლოგო სუპერწარმატებული გახადა, წელს გაცილებით უფრო სადა და უპრეტენზიო სარეკლამო კამპანიით შეიცვლება. 3 მილიონი გირვანქა სტერლინგის ბიუჯეტით დამზადებულ რეკლამებში ბრენდის ლოგო საერთოდ აღარ გამოჩნდება. გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვა FCUK მხოლოდ ნაგულისხმები იქნება. რეკლამებში მის შესახებ ისე ილაპარაკებენ, რომ FCUK-ს აღარც კი ახსენებენ. ასე მაგალითად: "არ მაიძულოთ, ეს სიტყვა ვთქვა"; ანდა: "რაღაც, რაც ასო F-ზე იწყება".

ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ "ფრენჩ ქონექშენი" ამ ახალი სარეკლამო კამპანიით ინტრიგის ახალ ქსელს ხლართავს - ნაგულისხმები სიტყვის არ თქმით, კიდევ უფრო ზრდის ინტერესს და ასე ეშმაკურად დაგებული მახით შარშან დაცემული მოგების მაჩვენებლის გაზრდას ცდილობს.

პროექტს ლონდონური სარეკლამო სააგენტო TBWA ახორციელებს. სპეციალისტთა აზრით, მათი წამოწყება ზოგადად რეკლამაზე გაკეთებული სატირა გახლავთ. მართლაც, როგორც სააგენტოს ხელმძღვანელი ტრევორ ბითი აცხადებს, რეკლამის ისტორიაში პირველად ხდება ასეთი რამ - სარეკლამო პროდუქტი, ამ შემთხვევაში კომპანია, რეკლამაში საკუთარი ვინაობის გამხელას ერიდება.

ერთ-ერთი სატელევიზიო რგოლში მოქმედება უდაბნოში ხდება. FCUK-ის ტანსაცმელში გამოწყობილი თინეიჯერები ცხელ ქვიშაზე მიაბიჯებენ, ფონად დადებული ხმა კი მათ ეუბნება: "ნეტავ, ვიცოდე, საით მიდიხართ?" "რეკლამამ ხომ არ იმოქმედა თქვენზე?" და ბოლოს: "ნუთუ, არ გეზიზღებათ უზარმაზარი, შეურაცხმყოფელი ლოგო ბოლოს რომ გამოჩდნება ხოლმე?" ბოლოს კი უკვე აღარაფერი ჩანს - უდაბნოს კადრის შემდეგ ეკრანს მთლიანად სიშავე იპყრობს - FCUK ამჯერადაც მხოლოდ იგულისხმება.

ამ ოსტატურ და ორიგინალურ ხერხს შედეგი - მოგების გაზრდა აუცილებლად უნდა მოჰყვეს. მანამდე კი "ფრენჩ ქონექშენი" წარსულის დავიწყებას შეეცდება. აშკარად წაკითხულ-დაწერილ-ნათქვამმა სიტყვამ FCUK-მა ხომ ფირმას უამრავი პრობლემა გაუჩინა. ჟურნალისტთა ნაწილი თავის დროზე ამტკიცებდა, რომ ბრენდი თავისი ლოგოთი თინეიჯერებს სექსისკენ აშკარად მოუწოდებდა. ნიუ იორკში კი, "მეისისა" და "ბლუმინგდეილის" მაღაზიებში ერთ ხანს "ფრენჩ ქონექშენის" პროდუქციის გაყიდვაც კი აკრძალეს. 1997 წლის დებიუტის შემდეგ რეკლამების სტანდარტების ოფისში FCUK-ის სახელზე 27 საჩივარი შევიდა. ივლისში კი კომპანიის ხელმძღვანელებს უკვე ოფიციალურად სთხოვეს, რომ სარეკლამო კამპანია ძირფესვიანად შეეცვალათ. ასე წავიდა დათმობაზე FCUK - ასოთა შეთანხმება, რომელიც სინამდვილეში ძალიან უბრალო და მეტიც, კეთილშობილური სიტყვების აბრევიატურაა - ფრანგული. კავშირი. გაერთიანებული. სამეფო.

ანუ, ჩვენი წამხდარი ფანტაზია იმ ორი ასოს C-სა და U-ს გადანაცვლებას რომ არ გვთხოვდეს ქვეცნობიერად, ყველაფერი კარგად იქნებოდა და არც "ფრენჩ ქონექშენს" მოუწევდა ახალი ღონისძიებების გატარება. თუმცა, რას ვიზამთ, ყველაფერი ხომ იმიტომ ხდება, რომ უნდა მოხდეს. FCUK-იც იმიტომ მიიჩქმალა, რომ რეკლამის ჟანრს თვითგამოხატვის ახალი იუმორისტული ხერხები ეპოვა. რეკლამაში ხომ ყველაზე მეტად სწორედ სხარტი და ორიგინალური იუმორი ფასობს.







## TV პროგრამა

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "მამა სერგი" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ქვის რომანი". მთ. რ-ში: მაიკლ დუგლასი, კეტლინ ტერნერი (15)ყ

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** იმღერე რამე **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** "ქიმერიონი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "სალსის ზღაპრული ნახტომი" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.05** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.25** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "მიამბეთ თქვენზე" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ერთადერთი გამოსავალი" (18)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "საავადმყოფო, ახალგაზრდობა და სიყვარული" (შონ იანგი) (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მეტრო" (ედი მერფი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი-3" (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "შავი წვიმა" (მაიკლ დუგლასი) (18)

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.10, 21.45** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.10** მხ. ფილმი "მომაკვდინებელი იარაღი 3" (გ) (მ. გიბსონი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "შურისძიება" (18) (სტივენ სიგალი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. სერიალი "სასტუმრო -ჟოჟრჟ მე-5" **22.00** მხ. ფილმები "მელოდია სარდაფიდან" (15)

### იმედი

**07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **07.45** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **09.15, 01.35** ტვ-მარკეტი **09.45** ოლიმპიური თამაშები: მშვილდოსნობა (ქალები), პლაჟის ფრენბურთი, ძიუდო, კალათბურთი (ქალები) იაპონია-ავსტრალია **13.10** ძიუდო (გაგრძელება), კალათბურთი (გაგრძელება) **15.10** ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (კაცები) საფრანგეთი-უნგრეთი. **17.10** მშვილდოსნობა (ქალები), ძიუდო (ფინალები) **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა (ფინალები), ძალოსნობა **22.20** ხელბურთი (კაცები) გერმანია-ბრაზილია, ფრენბურთი (ქალები) ბრაზილია-იტალია **00.05** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **02.20** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "ბილი ელიოტი" (გ) **20.10** დოკ. ფილმი **21.10** კონცერტი **20.20** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" (18)

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 10.30, 18.10** Сериал **"КЛОН". 11.30** Дневник XXVIII летних Олимпийских игр. **12.10** Лариса Голубкина в комедии **"ДАЙТЕ ЖАЛОБНУЮ КНИГУ!". 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Тамара Акулова в комедийном сериале **"АНГЕЛ НА ДОРОГАХ". 16.30** Криминальная Россия. "Сметоносное трио". **17.00** "Слабое звено" с Марией Киселевой. **19.10** **Футбол. Сборная России - Сборная Литвы.** Прямой эфир. **21.00** Время. **21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.40** На XXVIII летних Олимпийских играх. **00.00** Спецрасследование. "Старатели мертвого города". **00.50** На XXVIII летних Олимпийских играх. **02.00** Детективный сериал **"24 ЧАСА". 02.50** Барбра Стрейзанд в фильме **"ПРИНЦ ПРИЛИВОВ". 05.05** Сериал "Все путешествия команды Кусто". "За голубой завесой".

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** Кулинарный поединок. **11.20** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30** Михаил Кононов в фильме **"ТАЕЖНАЯ ПОВЕСТЬ" 14.30** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МУР ЕСТЬ МУР". 18.35** Протокол. **19.40** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ". 20.50** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 22.00** "Страна и мир" **22.45** Джонни Ли Миллер в остросюжетном фильме **"ХАКЕРЫ" 00.55** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ"**.

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი

1. ზღაპრული ფრთოსანი გველი
2. რუსი ფეხბურთელი და მწვრთნელი
3. ადამიანის თავის უკანა ნაწილი
4. ციხე-სიმაგრის მაღალი ნაწილი
5. მაჰმადიანური რელიგია
6. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი
7. ბუნებრივი წყალსატევი
8. ქართველი ბარიტონი
9. ლიტველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი
10. მუსულმანური თეოლოგიური ნორმატივების კრებული
11. რუმინელი ტანმოვარჯიშე ქალი, მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი
12. ესპანელი ტენორი
13. ხელის ან ფეხის ერთ-ერთი თითი
14. ადგილი მაყურებელთა დარბაზში
15. მე-19 საუკუნის იტალიელი კომპოზიტორი
16. მე-17 საუკუნის ფრანგი მათემატიკოსი და ფილოსოფოსი
17. ვარსკვლავი არწივის თანავარსკვლავედში
18. ქალაქის ტიპის დაბა სვანეთში
19. ირანის სახელმწიფო ენა
20. თანმხლებ პირთა ჯგუფი
21. მექსიკელი ფერმწერი-მონუმენტალისტი
22. ფილმი მადონას მონაწილეობით
23. ფილიპინების ხურდა ფული
24. მსოფლიოს სპორტსმენთა უდიდესი ფორუმი
25. სომალის დედაქალაქი
26. მეგრული სახუმარო სიმღერა
27. ოლქის პოლიციის უფროსი აშშ-ში
28. საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე
29. ჯგუფ "მწვანე ოთახის" ლიდერი
30. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში
31. რუსი პოეტი
32. არამკითხე, მატრაკვეცა ადამიანი
33. შტატი აშშ-ს ჩრდილოეთში
34. ჰომეროსის ეპიკური პოემა



# რასაც უნდა, იმას იზამს

გერმანულმა ილუსტრირებულმა გამოცემა "გალამ" მრავალი გვერდი უძღვნა მოხსენებას იმის შესახებ, რომ ჰაიდი კლუმს გათხოვების უფლება არა აქვს. ვითომდა, ამკრძალავი შეერთებული შტატების ქალის თეთრეულის მწარმოებელი "ვიქტორიას სიქრეთი" ყოფილა, რომელიც 31 წლის მოდელის იმიჯს ამგვარად უფრთხილდება.

ჰაიდი აღშფოთებულია: "ჩემს კონტრაქტში ჩემი პირადი ცხოვრება საერთოდ არსადაა ნახსენები. ეს მოხსენება ტოტალური სიცრუეა".

ჰაიდის მამა გიუნტერი აცხადებს, რომ "გალას" მოხსენება "აბსოლუტური სისულელეა" თუნდაც იმის გამო, რომ კონტრაქტის გაფორმებამდე ჰაიდი განათხოვარი იყო. მართალია, ამჯერად ჰაიდი სტილისტ რიკ პიპინოს ცოლი აღარაა, მაგრამ ხომ იყო!

ასე რომ, ჰაიდის გათხოვება თამამად შეუძლია, თუ მოუნდა, თავის ამჟამინდელ შეყვარებულ სილს გაჰყვება, თუ სხვა მოუნდა - ვინმე სხვას.



# მსოფლიოს კულინარია

კერძს, რომლის რეცეპტსაც დღეს შემოგთავაზებთ, ცენტრალურ აფრიკის ქვეყანებში ამზადებენ და რეგიონში საკმაოდ პოპულარულია, ამავე დროს ჩვენს პირობებშიც შესაძლებელია მისი მომზადება:

**ბანანები ბარდასთან ერთად**
**ინგრედიენტები:**
2 ჭიქა მშრალი ბარდა
4 მწიფე ბანანი
ნახევარი კოვზი მარილი
2 სუფრის კოვზი ზეთი
1 ხახვი
**მომზადების წესი:**

მოხარშეთ ბარდა ბევრ წყალში, როდესაც წყალი ამოშრობას დაიწყებს, გაწმენდილი ბანანები დაალაგეთ ზემოდან, ისე რომ არ აურიოთ და გააჩერეთ ათი წუთი. პარალელურად მოთუშეთ ხახვი. შემდეგ ყველაფერი ერთად გადაიტანეთ ზეთჩასხმულ ქვაბში, მოაყარეთ მარილი და ნელ-ნელა ურიეთ დაბალ ცეცხლზე. სუფრაზე გაიტანეთ ცხელ მდგომარეობაში.

ასე, რომ კულინარიის მოყვარულებო, თუ არ დაიზარებთ, შეგიძლიათ ნამდვილი აფრიკული, ეგზოტიკური კერძი მოამზადოთ, თუმცა ამ კერძის ღირსებებზე ვერაფერს გეტყვით, რადგან თავად მისი გაკეთება ნამდვილად არ მიცდია.












## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო თბილისში

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ახალი ტელეფონის ნომრები**

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თბილისში შეეცვალა ტელეფონის ნომრები. ახალი ტელეფონის ნომრებია:

91-03-32; 91-12-63.

საელჩოსთან დაკავშირება შესაძლებელია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 8.30-დან 17.00 სთ.-მდე. პარასკევობით კი 8.30-დან 15.30 სთ.-მდე. საელჩოს ფაქსის ახალი ნომერია 91-15-21. ელექტრონული ფოსტის მისამართებია: Regl@tifl.diplo.de და deut.bot.tbilissi@access.sanet.ge.

სავიზო განყოფილებასთან დაკავშირება, რომელიც მდებარეობს დავით აღმაშენებლის გამზირზე N166-ში, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით შესაძლებელია 9.30-დან 10.30 სთ-მდე, ხოლო პარასკევობით 14.00-დან 15.00 სთ-მდე. სავიზო განყოფილების ტელეფონის ნომრებია: 91-14-58 და 95-09-36. ფაქსის ნომერია: 91-16-51. სავიზო განყოფილებაში განაცხადის შემოტანა კვლავინდებურად შესაძლებელია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 9.00-დან 13.00 სთ-მდე, ხოლო პასპორტების გატანა იმავე დღეებში 14.00-დან 16.00 სთ-მდე.










## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.